საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტნიორი
მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2011
№217 (13514) ფასი 80 თეთრი

# ლელო ვერ დაგვიდეს, მაგრამ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბესიკ
ჯანგავაძე
ინვერკარგილიდან

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე
თამაში
რეპორტაჟების
სპონსორია
ონლაინ კაზინო
„ლარივინი“

6:15

SCOTLAND

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

## გულნატკენები, მაგრამ ამაყები...




8

## თურქული სენსაცია

შემთხვევითმა ტრაბზონმა მილანში მოიგო




7




## მაკედონიური ზღაპარი გრძელდება

ამ გუნდს კინალამ მოუგეთ

16

ქართული ფეხბურთი

● დინამო. ინტერვიუ ზურაბ პოლოლიკაშვილთან

# ...ამიტომაც ჩამოვიყვანეთ ესპანელები

**როგორ აფასებს თბილისის "დინამოს" ევროთასებზე გამოსვლას, შეიძლებოდა თუ არა მეტის მიღწევა, რა სარგებლობა მოიტანეს ესპანელმა ლეგიონერებმა, რა მიმართულებით მიდის გუნდი და სხვა მრავალ კითხვას თბილისური კლუბის გენერალური დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილი პასუხობს.**

**- დასრულდა ევროეტაპი, "დინამომ" ევროპის ლიგის პლეი ოფამდე მიაღწია, მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ გუნდს მეტის მიღწევაც შეეძლო.**

- თუ ასე ფიქრობენ, გამოდის, "დინამოსი" სჯერათ და მასში პოტენციალს ხედავენ. თუმცა, აქვე გაგახსენებთ, რომ ამ ეტაპამდე ქართულ კლუბებს დიდი ხანია არ მიუღწევიათ. მეტიც გვსურდა, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ალექს გარსია მთავარ მწვრთნელად ივნისის შუა რიცხვებში დაინიშნა და ნორმალურად გუნდის გაცნობის საშუალება არ ჰქონდა, როდესაც მოლდოვურ "მილსამისთან" შეხვედრა გავმართეთ. არადა, მან ბევრი ტაქტიკური და მენტალური ცვლილება განახორციელა, რომლისთვისაც მცირე დრო საკმარისი ნამდვილად არ იყო. ასე რომ, ყველაფრის გათვალისწინებით ამ ეტაპზე ორი თვის ჩამოყალიბებული გუნდით პლეი ოფში გასვლაც დამაკმაყოფილებელი შედეგია.

ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ მაყურებელი სტადიონს ევროთამაშების დროს მაინც დაუბრუნდა – აეკ-თან შეხვედრისას 43 ათასი მაყურებელი მოვიდა. ბოლო წლების სტატისტიკის გათვალისწინებით, ეს მშვენიერი მაჩვენებელია. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ ეტაპზე ვერ გავედით, ხალხმა გუნდი მაინც აპლოდისმენტებით გააცილა. აქვე ვიტყვი, რომ "დინამოს" ამ ეტაპზე გასვლაში დიდი როლი სწორედ გულშემატკივარმა ითამაშა. თუმცა გული დამწყდა, ორი დღის შემდეგ "ზესტაფონთან" პრინციპულ მატჩზე მხოლოდ 2 ათასამდე მაყურებელი რომ მოვიდა.

**- კითხვები გვაქვს ესპანელების ჩამოყვანასთან დაკავშირებით: ჩისკო ცნობილი მოთამაშეა, მაგრამ აეკ-თან მატჩი ჩააგდო, იაგუე განსაკუთრებული შედეგიანობით ვერ გამოირჩევა, კოტო უფერულად გამოიყურება, მხოლოდ ალვაროა გამორჩეული.**

- ვინც ესპანელების მიმართ ნეგატიურად არის განწყობილი, ვეტყვი, რომ ნებისმიერ მოთამაშეს კლუბთან ადაპტირებისთვის დრო სჭირდება, მით უფრო, როდესაც უცხო ქვეყანაში ჩადის. ორი თვე არც არის, რაც ესპანელები დავიმატეთ და თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოში ჩამოსვლისას მოთამაშეს ადაპტირების ბარიერის გადალახვა არ სჭირდება, ძალიან ცდება.

ჩემთვის კომპეტენტური მთავარი მწვრთნელის აზრია, ალექს გარსიას ხელში კი "დინამომ" უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე წინა პერიოდებში. ის არის შედეგზე პასუხისმგებელი და კარგად გვესმის, რომ გუნდის ჩამოყალიბება აჩქარებით წარმოუდგენელია. ვინც ასე არ ფიქრობს, არაკომპეტენტურად მსჯელობს. გარსიას დამსახურებაა, რომ ახლა გუნდის ძირითადში მოსახვედრად დიდი კონკურენციაა, ეს კი "დინამოსაც" ზრდის და თითოეულ მოთამაშესაც.

რაც შეეხება თუნდაც თქვენს ნახსენებ კოტოს, ის არის ესპანელი, იქაური საფეხბურთო განათლება აქვს და გარსიამ იმიტომ ჩამოიყვანა, რომ მწვრთნელის არა მხოლოდ ენას, საფეხბურთო გემოვნებასა და მოთხოვნებსაც იცნობს და ადვილად უგებს. მწვრთნელის დავალების შესასრულებლად კი საჭიროა მისი კარგად ესმოდეთ.

**- ჩისკომ აეკ-თან მატჩი ჩააგდო. არადა, სწორედ ასეთი შეხვედრებისთვის ჩამოიყვანეთ.**

- მატჩამდე არ გვსურდა ლაპარაკი, ახლა კი დასამალი რა არის - ათენურ შეხვედრაში ჩისკომ ფეხი იტკინა და მისი თამაში საეჭვო იყო, ტრავმამ კი თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა.

საერთოდ, არასწორი და უდროო კრიტიკა გუნდს ძალიან არყევს. 12 ოფიციალური მატჩიდან გუნდმა მხოლოდ ორი წააგო, გავიდა ევროპის ლიგის პლეი ოფში და დაკარგული ქულებით ჩემპიონატის ლიდერია. ჩვენ ბევრად უფრო ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება გვსურს, საამისოდ ყველა ღონეს ვიხმართ.

**- როგორ მიიღეს ქართველებმა ესპანელები, ხომ არ არის გუნდში ქართული და ესპანური დაჯგუფებები? დამეთანხმებით, რომ ლეგიონერებს ხშირად აგრესიულად ხვდებიან, რადგან ადგილობრივებს ადგილს და ბევრ სიკეთეს ართმევენ.**

- საბედნიეროდ, მსგავსი რამ ჩვენთან არ მომხდარა. "დინამოში" ახლა მშვენიერი ატმოსფეროა, რაც ჩვენი გუნდის მეპატრონისგან მოდის – რომან ფიფიას უშუალობამ და ფეხბურთელებთან მისმა დამოკიდებულებამ მათაც იმავესკენ უბიძგა, ინტრიგები, ლეგიონერებისა და კონკურენტებისთვის სარმების დადება უცხო ამბავია. ჩვენი მწვრთნელის ალექს გარსიას დამსახურებაა, ლეგიონერები და ადგილობრივები რომ დამეგობრდნენ. ერთმანეთს მოედანზეც მშვენივრად უგებენ და მის მიღმაც. ამიტომაც არ არის არანაირი დაჯგუფებები, ლეგიონერები და ქართველები ერთ გუნდს ემსახურებიან და მათ ეს კარგად ესმით. მერწმუნეთ, ასე რომ არ ყოფილიყო, მოედანზეც ვერაფერს მივაღწევდით.



ზურაბ პოლოლიკაშვილი

**- ცალკე სალაპარაკოა ესპანელების ხელფასები და მხოლოდ მათთვის გადაცემული მანქანები – ასეთ პირობაზე საქართველოში მალხაზ ასათიანსაც დააბრუნებდნენო.**

- "დინამოში" რომ მიმიწვია, გუნდის მეპატრონე რომან ფიფიას მოთხოვნა ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება და უცხოეთში მოთამაშე ლეგიონერების დაბრუნება იყო. დანიშვნის შემდეგ კაბინეტში რომ შევედი, პირველად სწორედ მალხაზ ასათიანს დავუკავშირდი, მისი ჩამოყვანა ძალიან მინდოდა და მშვენიერი პირობებიც შევთავაზეთ, მაგრამ უარი თქვა, საქართველოში არ ჩამოვალო. არადა, ერთი წელია, უგუნდოდ არის.

**- "დინამოს" ეს შემადგენლობა ერთი სეზონი მაინც გაძლებს?**

- "დინამოს" ამოცანა მუდმივი გაძლიერება და პროგრესია, თუმცა მიზანმიმართულად და თანამიმდევრულად. ამიტომ ცვლილების აუცილებლობას სეზონი გამოაჩენს. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ჩემპიონობის დაბრუნებაა.

**- "დინამო" დატოვეს ჯუისმა, ედნილსონმა, ჰაჯიბულიჩმა, იელიჩმა, მაროვიჩმა.**

- თითოეულთან დაკავშირებით სხვადასხვა მდგომარეობა იყო, ზოგიერთს კონტრაქტის თუ იჯარის ვადა დაუსრულდა, ზოგიც მწვრთნელმა გაუშვა.

**- "ვოლგას" ქართველების შესახებაც ვთქვათ, ხმები ხოჯავას ჩამოყვანაზე გავრცელდა.**

- ხოჯავასთან არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია. აი, გოგუას დამატება კი გვსურდა, მაგრამ ვერ მოხერხდა და ამაზე ლაპარაკი უკვე შეწყდა.

**- დიღმის ბაზის განახლება როდის დასრულდება?**

- ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული რომან ფიფია და ოქტომბრისთვის ბაზა მზად იქნება. ვფიქრობ, გუნდის საკუთარ სახლში დაბრუნება ჩვენი წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი გახდება.

**- "ვიტ ჯორჯიამ" გუნდებს პროფლიგის ნაცვლად კლუბების ასოციაციის ჩამოყალიბება შესთავაზა. რას ფიქრობთ ამ იდეაზე?**

- ევროპის კლუბების ასოციაცია მშვენიერი მაგალითია, რომ კლუბების გაერთიანება საჭირო და აუცილებელიც არის. ცოტა ხნის წინათ ჟენევაში ამ ასოციაციის ასამბლეაზე ვიყავი და მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს. "ვიტ ჯორჯიამაც" მშვენიერი იდეა წამოაყენა. საჭიროც არის, კლუბებმა ფედერაციას ნოვაციური პროექტები და პრობლემები გავუზიაროთ. ასე რომ, ამ წინადადებაზე დაფიქრება ნამდვილად ღირს.

● ლეგიონერები



## რევიშვილი კრასნოდარში მილიონად გაყიდეს?

### ქართველმა მეკარემ კიევის დინამოს უარი უთხრა

ინტერნეტ-პორტალმა lifesports.ru-მ სენსაციური ამბავი გვაუწყა: მახაჩყალის "ანჟიმ" ძირითადი მეკარე **ნუკრი რევიშვილი** "კრასნოდარში" გაყიდაო.

*"კლუბი 24 წლის მეკარის გაყიდვაზე დათანხმდა, რადგან გუნდს მოსკოვის ცსკა-ში განათხოვრებული ვლადიმირ გაბულოვი დაუბრუნდება".*

*დაღესტნელებმა გაბულოვი ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში შეიძინეს. მაგრამ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, მოსკოვის "დინამოს" ყოფილი მეკარე ცსკა-ში გაანათხოვრეს, სადაც ტრავმის გამო ხანგრძლივი პერიოდით დასვენებული იგორ აკინფეევი უნდა შეცვალოს.*

*სანდო წყარომ "ანჟიდან" "ლაიფ სპორტს" აცნობა: - გაბულოვი პერსპექტივაზე გათვლით შევიძინეთ. ახალი რეგლამენტის თანახმად, მომავალი სეზონიდან "ანჟის" მეკარე ნუკრი რევიშვილი ლეგიონერად ჩაითვლება, რადგან ორმაგი მოქალაქეობა აქვს და საქართველოს ნაკრებში თამაშობს. ლეგიონერები კი გაჯი გაჯიევის გუნდში ისედაც მრავლად არიან. ამიტომ, ახალი წლიდან (რუსეთში ახალი სეზონი 2012 წლის ზაფხულში დაიწყება) მახაჩყალელების კარს რუსი ვლადიმირ გაბულოვი დაიცავს.*

*- რევიშვილი "ანჟის" აღარ დასჭირდება. თუმცა, ის ძალიან კარგი მეკარეა და კლუბი სათადარიგოებში გადაყვანით ამ ნიჭიერ ბიჭს არ "ჩაკლავს". ამიტომ "ანჟი" უკვე შეუთანხმდა "კრასნოდარს" რევიშვილის ტრანსფერზე.*

*ჩვენი ინფორმაციით, ტრანსფერის ღირებულება მილიონ ევროს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ რევიშვილი "ანჟის" ფეხბურთელი 2010 წლიდან გახდა" – წერს "ლაიფსპორტს.რუ".*

შევიტყვეთ, რომ გუნდებმა რევიშვილის ტრანსფერზე მართლაც დაილაპარაკეს, რადგან ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტი "ანჟის" პრობლემებს უქმნის - **სამუელ ეტოოს, რობერტო კარლოსისა** და სხვა ლეგიონერების ჩაყვანით ლიმიტს გადააჭარბეს.

ისიც გვითხრეს, რომ ერთი თვის წინათ რევიშვილს კიევის "დინამოში" იწვევდნენ, მაგრამ მან უარი განაცხადა.

რუსეთის პრემიერლიგის 23-ე ტურში ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგასთან" მოგებული მატჩის შემდეგ ინტერნეტ-პორტალმა "სპორტბოქსმა" ამპლუების მიხედვით ტურის საუკეთესო მოთამაშეების გამოვლენა გულშემატკივრებს მიანდო, მათ კი 20 პროცენტით ქართველი მეკარე მესამე პოზიციაზე გაიყვანეს.

სამშაბათს კი "ანჟის" ორგანიზებულ საქველმოქმედო აქციაში ნუკრიმ ეტოოსთან, კარლოსთან, **იური ჟირკოვთან** და სხვა ცნობილ მოთამაშეებთან ერთად მიიღო მონაწილეობა, ბავშვებს ფორმები გადასცა და ავტოგრაფები ჩამოარიგა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

● ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია

# იხარე მწვანე ჯეჯილო!

## ეროვნულზე საფარი დააგეს

მას შემდეგ, რაც ეროვნული სტადიონი თბილისის "დინამოს" 49-წლიანი იჯარით გადაეცა, მოედანი აილეს და სამუშაოები სწრაფი ტემპით წარიმართა. საფრის დაგებამდე აუცილებელი სამუშაოები დასრულდა და გუშინ ბალახის პირველი პარტიაც დააგეს.

სტადიონის დირექტორის, **სანდრო შახოვის** თქმით, ბალახი ასპროცენტიანი ეგრეთ წოდებული "პუა" არის, რომელიც მაღალი ხარისხით გამოირჩევა და აქედან გამომდინარე, ძვირადღირებული სიამოვნებაა.

*"საფრის დაგება 20 სექტემბრამდე დასრულდება, თამაში კი ოქტომბერში გახდება შესაძლებელი. საფარი უკრაინულია და ჩვენს პირობებზე ყველა სხვა დანარჩენზე უკეთ არის ადაპტირებული. ის შერწყმულია არა მიწის, არამედ ქვიშის ნიადაგზე და ძლიერი ფესვთა სისტემა აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხშირი დატვირთვა ძველი საფარივით არაფერს დააკლებს, წვიმის დროს კი მოედანი არ ატალახდება"* – ამბობს მინდვრის მოვლაზე პასუხისმგებელი **დავით ენდელაძე**.



*"მიხარია, რომ სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება ეროვნულზე მოედნის პრობლემა, უცხოური გუნდებისა და ნაკრებების ჩამოსვლის დროს კი სირცხვილის ნაცვლად, სიამაყის გრძნობა დაგვეუფლება"* – ამბობს თბილისის "დინამოს" გენერალური დირექტორი **ზურაბ პოლოლიკაშვილი**.

სტადიონზე უკვე აღებულია განათების ძველი სისტემა, ახალს კი სექტემბრის ბოლოსთვის დაამონტაჟებენ.

არის ლაპარაკი, რომ შესაძლოა ეროვნულის გადახურვა შეიცვალოს და ბეტონის ფილების ნაცვლად მსუბუქი კონსტრუქციები დამონტაჟდეს.

*"სტადიონის განახლების სხვადასხვა ვარიანტი განიხილება. როდესაც "დინამოს" მეპატრონე რომან ფიფიამ სტადიონის იჯარით აღება გადაწყვიტა, პირველი მოთხოვნა ეს იყო – დაგვეკმაყოფილებინა უეფას სტანდარტები და მაყურებლის მოთხოვნები. გადახურვასთან დაკავშირებული საკითხიც ამის მიხედვით გადაწყდება, მაყურებელმა თავი, კომფორტულად უნდა იგრძნოს. იმიტომაც დავიწყეთ სტადიონის განახლება, რომ ხალხმა იაროს – ევროპის ლიგის მატჩებისას გამოჩნდა, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, ბევრის მიღწევა შეგვიძლია. ამიტომაც მოვუწოდებ გულშემატკივარს, მოვიდნენ "დინამოს" თამაშებზე"* – ამბობს პოლოლიკაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საფეხბურთო კლუბი „საბურთალო" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დამსახურებული საფეხბურთო მოღვაწის, ღვაწლმოსილი პედაგოგის
**თენგიზ კუბლაშვილის**
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი უცხოეთში



ლადო დვალიშვილი, ელიშა ლევი და გიორგი დარასელია ისრაელის ჩემპიონობას ზეიმობენ

# დარასელია: ჯერ მაქაბი, მერე შეიძლება ისრაელის ნაკრებიც

ჰაიფას "მაქაბის" მეორე მწვრთნელი **გიორგი დარასელია** ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქართველ სპეციალისტს შორის, რომელიც უმაღლეს სამწვრთნელო სერთიფიკატს, პრო-ლიცენზიას ფლობს. ამავდროულად, ამ ლიცენზიის მფლობელ ქართველებს შორის იგი ერთადერთია, რომელსაც მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე არ უმუშავია.

ბუნებრივია, დარასელია პრო-ლიცენზიის მოსაპოვებლად ტყუილად არ გაირჯებოდა. მან ეს რთული პროცედურა ისრაელში, ებრაულ ენაზე გაიარა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში რომელიმე გუნდს ჩაიბარებს.

ჰაიფას "მაქაბის" მთავარი მწვრთნელობა ამ ეტაპზე გამორიცხულია. მართალია, დარასელიასა და **ლადო დვალიშვილის** გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ გააღწია და ევროპის ლიგის ჯგუფს დასჯერდა, მაგრამ "მაქაბიში" **ელიშა ლევის** პოზიციები კვლავ მყარია. როგორც შევიტყვეთ, კლუბის ხელმძღვანელობა ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნით უკმაყოფილო დარჩა და სამწვრთნელო შტაბი და ფეხბურთელები მცირე პრემიას დააჯერეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაში ლევისა და დარასელიას ნაკლებად ადანაშაულებენ.

გიორგის ბოლო დროს ისრაელის ქვედა ლიგის რამდენიმე კლუბმა შესთავაზა გამზადებული კონტრაქტი, მაგრამ მას მაღალი დონის გუნდის ჩაბარება სურს, თუმცა ლევისთან განშორებას ჯერ არ ჩქარობს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ლევი ისრაელის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავების რეალური კანდიდატია და თუ ასე მოხდა, დარასელია იქაც მისი ასისტენტი იქნება. ნაკრებში მუშაობა კი მწვრთნელისთვის დიდი პატივიცაა და კარიერის აწყობის კარგი შესაძლებლობაც. უმთავრესი მიზეზი, რის გამოც დარასელია "მაქაბიდან" წასვლასა და მთავარ მწვრთნელობას არ ჩქარობს, სწორედ ესაა – ისრაელის ნაკრებში მუშაობის შემდეგ თვით ისრაელშიც და საზღვარგარეთაც დღევანდელზე გაცილებით დიდი "ცნობადობა" ექნება.

ისრაელში ასეთი წესია – ნაკრებიდან წასული მწვრთნელი იქ აღარ ბრუნდება და რაკი ყველაზე ცნობილ ებრაელ სპეციალისტ **ავრამ გრანტს** სამშობლოს ეროვნულ გუნდში უკვე უმუშავია, ისრაელში ყველა თანხმდება, რომ ახლა ლევის "ჯერია". **ლუის ფერნანდესს** კი წყალი აქვს შეყენებული – ებრაელებს არ აკმაყოფილებთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში დაკავებული მესამე ადგილი და ფინალურ ეტაპზე გასვლა სურთ. ფერნანდესს თანამდებობაზე ყოფნა საქართველოს ნაკრებმა "გაუხანგრძლივა" – მარტში თელ ავივში რომ არ წაგვეგო, ისრაელის ეროვნული გუნდის ფრანგ თავკაცს უმალ დაითხოვდნენ.

სწორედ სანაკრებო პერსპექტივის გამო გადაწყვიტა დარასელიამ "მაქაბიში" კიდევ ერთი სეზონით დარჩენა. ვფიქრობთ, იგი მთავარი მწვრთნელობისთვისაც მზადაა – ისრაელში მასპინძელთა და საქართველოს მატჩის გასაშუქებლად ჩასულებმა საკუთარი თვალით ვნახეთ, რომ "მაქაბის" ვარჯიშებს ლევიზე უფრო აქტიურად დარასელია უძღვება და მოედნის მიღმაც უამრავი საქმე აქვს - აწარმოებს ფეხბურთელთა ამომწურავ სტატისტიკას, მოიპოვებს მეტოქეთა ვიდეოჩანაწერებს, სისტემატურად ესწრება სამწვრთნელო სემინარებს და გუნდში ახალ-ახალ ვარჯიშებს ნერგავს.

მოკლედ, დარასელიას სამწვრთნელო კარიერა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის წინ და სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში იმაზე გაცილებით უკეთეს თანამდებობაზე ვიხილავთ, ვიდრე ჰაიფას "მაქაბის" მეორე მწვრთნელობაა.

ევრო 2016

# ევროპაზე მესამეებსაც ეპატიჟებიან

როგორც იცით, ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე, რომელსაც საფრანგეთი უმასპინძლებს, 24 გუნდი იასპარეზებს, რაც, ბუნებრივია, საქართველოს ნაკრებს იქ მოხვედრის შანსს უზრდის. გაირკვა, რომ შესარჩევ ეტაპზე 9 ჯგუფი შეიქმნება, საიდანაც საფრანგეთის საგზურს ავტომატურად მოიპოვებენ პირველ-მეორეადგილოსნები და საუკეთესო მესამეადგილოსანი, დანარჩენი რვა მესამეადგილოსანი კი პლეი ოფში ოთხ წყვილს შექმნის და ფინალურ ეტაპზე მათი გამარჯვებულებიც გავლენ.

მოკლედ, ჩვენი გაქანების გუნდებისთვის კარგი პერსპექტივაა, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები არსებობის ისტორიაში ჯგუფში მესამე ადგილს მხოლოდ ორჯერ შესწვდა...

მსაჯები

# ტური მშვიდობიანი იყო
## ევროპაში ქართველ მსაჯებსაც იწვევენ

ვაგრძელებთ ტრადიციას და სამსაჯო საკითხზე კვლავაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების უფროსს **ლევან ფანიაშვილს** მივმართავთ. უმაღლესი ლიგის გასული ტური არცთუ მღელვარე გამოდგა და მსაჯებს უხეში შეცდომები არ დაუშვიათ.

*"ერთი მატჩის გარდა, ყველას ფირი უკვე ვნახეთ და საგანგაშო შეცდომა ნამდვილად არავის მოსვლია. არის გარკვეული ხარვეზები და ამის გარეშე წარმოუდგენელია, სამუშაო პროცესში ასე ხდება ხოლმე"*, - გვითხრა ფანიაშვილმა.

როგორც იცით, ყოველი ტურის შემდეგ სამსაჯო განყოფილებაში დეტალურად ირჩევა შეხვედრების ვიდეოჩანაწერები და მსაჯთა კორპუსი საკუთარ პლუს-მინუსებს შიდა სამზარეულოში განიხილავს. ფანიაშვილი ამ შეხვედრების ეფექტურობით კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ მსგავსი ღონისძიებების წყალობით უხეში შეცდომები დროთა განმავლობაში საგრძნობლად იკლებს.

ეროვნული ჩემპიონატის დაწყებიდან უკვე თვეზე მეტი გავიდა და რამდენიმე დღეში მსაჯები ერთგვარ შემაჯამებელ შეხვედრაზე შეიკრიბებიან, სადაც გასული ერთი თვის განმავლობაში მომხდარ საინტერესო ეპიზოდებს კიდევ ერთხელ მიუბრუნდებიან.

საქართველოში უმაღლესი და პირველი ტურის მატჩები სხვადასხვა დღეს ტარდება. დავინტერესდით, ხომ არ არის ეს მსაჯთა ნაკლებობით გამოწვეული.

*"საჭიროების შემთხვევაში, თავისუფლად შეგვიძლია, უმაღლესი და პირველი ლიგის ტურები ერთ დღეს დავნიშნოთ, მაგრამ ვფიქრობ, უმჯობესია, თამაშები სხვადასხვა დროს გაიმართოს, რომ დაინტერესებულმა გულშემატკივარმა მაქსიმალურად ბევრგან მისვლა შეძლოს. მსაჯების რაოდენობა სრულიად საკმარისია, თუმცა ზოგჯერ პირველ ლიგაში ისეთი სირთულის მატჩია, რომ იქ აუცილებლად უმაღლესი ლიგის მსაჯები უნდა დავნიშნოთ. ამ მიზეზების გამო, მატჩების სხვადასხვა დროს ჩატარება უფრო მიზანშეწონილად მივაჩნია"*.

ქართველი მსაჯები საერთაშორისო მატჩებზე უახლოესი პერიოდისთვისაც არიან მიწვეულნი. **დავით ხარიტონაშვილი** და **ლევან კვარაცხელია** ევროპის 17 და 19-წლამდელთა ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირის მატჩებს განსჯიან.

თავად ფანიაშვილი კი პორტუგალიაშია მიწვეული, სადაც 29 სექტემბერს ევროპის ლიგის მატჩი ჩატარდება ადგილობრივ "ბრაგასა" და ბელგიურ "ბრიუგეს" შორის და მსაჯთა დამკვირვებელი იქნება.



ლევან კვარაცხელია

ლეგიონერი



აკაკი ხუბუტია

# დებიუტი გალასთან ან ოდნავ მოგვიანებით

**აკაკი ხუბუტია** რუმინული "გაზ-მეთანიდან" თურქულ "სამსუნსფორში" რამდენიმე დღის წინ გადავიდა და ახალი გუნდის შემადგენლობაში დებიუტის მოლოდინშია. შეგახსენებთ, მან ფეხის ტრავმა მიიღო, რის გამოც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ლატვიასა და მალტასთან მატჩებში ვერ დაეხმარა. სწორედ ამის გამო გამოტოვა მან "სამსუნსფორის" შეხვედრა თურქული სუპერლიგის პირველ ტურში – ხუბუტიას გუნდმა შინ "გენჩლერბირლიგის" 3:2 სძლია.

25 წლის მცველი ბოლომდე ჯერ არ მომჯობინებულა და არაა გადაწყვეტილი, უახლოეს ტურში ჩაატარებს სადებიუტო შეხვედრას, თუ "სამსუნსფორის" ღირსებას ოდნავ მოგვიანებით დაიცავს. ხუბუტიას ექიმები ურჩევენ, არ გარისკოს. არადა, "სამსუნი" 18 ოქტომბერს "გალათასარაის" სტუმრობს...

ორიოდე სიტყვით თვით "სამსუნსფორზე": ხუბუტიას გუნდი თურქულ სუპერლიგას ამ ზაფხულს დაუბრუნდა, დაიკავა რა რანგით მეორე ლიგაში მეორე ადგილი. "სამსუნს", რომელიც 1965 წელს დაარსდა და გამორჩეული წარმატებისთვის არასდროს მიუღწევია, საყოველთაოდ ცნობილი ფეხბურთელები არ ჰყავს, გუნდის მთავარი მწვრთნელი კი შვეიცარიელი **ვლადიმირ პეტკოვიჩია.**

U17

# მსაჯებიც ცნობილია

გაირკვა იმ მსაჯების ვინაობა, რომლებიც 21-დან 26 სექტემბრამდე მოლდოვაში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მატჩებს მოემსახურებიან. შეგახსენებთ, ჩვენი 17-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ და ელიტრაუნდში გასასვლელად ოთხგუნდიანი ჯგუფის ორ საუკეთესოში მოხვედრა დასჭირდებათ.

21 სექტემბერს ტირასპოლში საქართველოსა და ბულგარეთის ნაკრებების მატჩს მალტელი **პისანი კლეიტონი** განსჯის, 23 სექტემბერს ვადულ ლუი ვოდაში **ვასილ მაისურაძის** გუნდისა და მასპინძელთა დაპირისპირებას ჩერნოგორიელი **ნიკოლა დაბანოვიჩი** გაუძღვება, 26 სექტემბერს კი ორჰეიში საქართველო-შვედეთის არბიტრი ზემოთ ნახსენები კლეიტონი იქნება.

შეგახსენებთ, ჩვენი ნაკრები ზუგდიდშია შეკრებაზე. სამწვრთნელო შტაბს ჯერ არ დაუსახელებია ის 18 ფეხბურთელი, რომლებსაც მოლდოვაში წაიყვანს.

U19

# შემდეგი შესარჩევი ორ თვეშია

ორიოდე სიტყვით საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებსაც შევეხოთ. **გიორგი დევდარიანის** გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში 11 ნოემბრიდან ჩაერთვება. იქამდე ჯერ კიდევ არის დრო და იმედია, 19-წლამდელებიც სათანადოდ მოემზადებიან.

საკვალიფიკაციო ტურნირის სისტემა აქაც 17-წლამდელების ანალოგიურია. 11 ნოემბერს საქართველოს ნაკრები პოლონეთს შეხვდება, 13 ნოემბერს მასპინძელ თურქეთს დაუპირისპირდება, ბოლო ტურში კი, 16 ნოემბერს ქართველები ლუქსემბურგელებს ეთამაშებიან.

მატჩების ჩატარების ადგილი ჯერ არ დაზუსტებულა, თუმცა სავარაუდოდ, ამ ჯგუფის შეხვედრები ანთალიის მხარეში გაიმართება.



გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. მიმოხილვა

# ესენი უმაღლეს ლიგასაც დაამშვენებდნენ...

## იცოდეთ რეგლამენტი

ვიდრე პირველი ლიგის გათამაშება დაიწყებოდა, უკვე მაშინვე ვივარაუდეთ, წინ ერთობ საინტერესო ტურნირი გველოდა. ამ ინტერესს, უპირველეს ყოვლისა, გათამაშების ახალი ფორმატი იწვევდა, — წინა წლებთან შეცვლილი რეგლამენტი საკმარისზე მეტ ინტრიგას გვპირდებოდა. და აი, პირველი ლიგის გათამაშებიდან ჯერჯერობით ოთხი ტურია გასული, მაგრამ იმის თქმა უკვე შეიძლება, რომ ეს საინტრიგო ვარაუდი აშკარად მართლდება. სანამ გასული ოთხი ტურის მოვლენებზე ვისაუბრებდეთ, კიდევ ერთხელ გვინდა შეგახსენოთ 2011-12 წლების პირველი ლიგის გათამაშების რეგლამენტი. სულ ტურნირში მონაწილეობს 20 გუნდი და ათ-ათი გადანაწილებულია „ა" და „ბ" ზონაში. თუმცა ამ შემთხვევაში, ზონები ტერიტორიული პრინციპით ვერ დაიყოფოდა: პირველ ლიგაში მოასპარეზე 20 გუნდიდან 14 დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელია, ანუ, „ტერიტორიული ბალანსი" ირღვეოდა. თუმცა ჯობს, ისევ რეგლამენტს დავუბრუნდეთ: 20-გუნდიანი ტურნირი ორ ეტაპად ტარდება და პირველ ეტაპზე ორივე ზონის გუნდები ერთმანეთს ორჯერ შეხვდებიან. აი, ამის შემდეგ კი იწყება მართლაც საინტერესო და გადამწყვეტი ეტაპი: ორივე ზონაში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები შეუერთდებიან უმაღლეს ლიგაში პირველი ეტაპის შემდეგ IX-XII ადგილებზე გასულ ოთხ გუნდს და ახალი ტურნირიც დაიწყება! ეს რვა გუნდი ამ შეჯიბრებაში ასპარეზობას ნული ქულით დაიწყებს და ორწრიანი გათამაშების შემდეგ ოთხი საუკეთესო გუნდი 2012-13 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს, ხოლო V-VIII ადგილზე გასული გუნდები პირველ ლიგაში დარჩებიან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ ლიგაში ორეტაპიანი ტურნირია და აქედან პირველი 18 მარტს დამთავრდება. „ა" და „ბ" ზონაში ორ-ორ საუკეთესოზე უკვე მოგახსენეთ, დანარჩენი 16 გუნდი ახალ ტურნირში, „გასავარდნ პლეი ოფში" ჩაერთვება; ამ შემთხვევაშიც ორი ჯგუფი იქნება (თითოში - 8-8 გუნდი), ასევე ორწრიანი ტურნირით, ოღონდ გუნდები გათამაშებას დაიწყებენ პირველ ეტაპზე ერთმანეთში ნათამაშები ქულებითა და ბურთების სხვაობით. ეს რვაგუნდიანი ჯგუფები ასეთნაირად დაკომპლექტდება:

**„A" ჯგუფი: „ა" ზონაში III, VI, VIII, IX ადგილებზე გასული გუნდები პლუს „ბ" ზონის IV, V, VII და X გუნდები;**

**„B" ჯგუფი: „ბ" ზონაში III, VI, VIII, IX ადგილებზე გასული გუნდები პლუს „ა" ზონის IV, V, VII და X გუნდები. ამ ორწრიანი ტურნირის შემდეგ ორივე ჯგუფში ბოლო ადგილებზე გასული გუნდები პირველ ლიგას დატოვებენ; ბოლოსწინა ადგილზე გასული გუნდები კი ერთმატჩიან დაპირისპირებაში (ნეიტრალურ მოედანზე) გაარკვევენ ურთიერთობას და გამარჯვებულიც პირველ ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, დამარცხებული კი მეორე ლიგაში დაქვეითდება.**

## ლოგიკა და მოულოდნელობა

პირველი ლიგის ტურნირის დაწყებამდეც ვივარაუდეთ, რომ ორივე ზონას თითო-თითო გამოკვეთილი ფავორიტი ეყოლებოდა: ბათუმის „დინამო" და საჩხერის „ჩიხურა". ოთხი ტურის შემდეგ ჯერჯერობით ჩვენი ვარაუდი მართლდება და ორივე გუნდი თავისი ზონის ლიდერია. მოდი, ჯერ „ა" ზონაში მიმდინარე მოვლენებზე ვისაუბროთ, სადაც გამოკვეთილი ფავორიტი „დინამო" თავის სტატუსს ამართლებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — უმაღლეს ლიგაში 19 სეზონის ჩამტარებელი გუნდი მეოთხე წელია, რანგით დაბალ ლიგაში ასპარეზობს. საქართველოს თასის მფლობელს (1998 წელი), ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორსა და ევროტურნირების მუდმივ მონაწილეს (90-იან წლებში) ახალ სეზონში წარმატებული სტარტი კი ჰქონდა, მაგრამ მესამე ტურში, ბევრისთვის მოულოდნელად, პირველი ლიგის დებიუტანტთან, სტუსთან სტუმრად დიდი ანგარიშით დამარცხდა. ბათუმელებს ამ სეზონში ახალი მწვრთნელი ჰყავთ — 39 წლის **იოსებ ნასუაშვილი.** შემადგენლობაში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშია; თუმცა მხოლოდ „დინამოს" შემადგენლობაში კი არა, საერთოდ პირველი ლიგის ამ გათამაშების ყველაზე ცნობადი სახე 37 წლის **ამირან მუჯირი** გახლავთ! საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი მშობლიურ კლუბში დაბრუნდა და ახალგაზრდა პარტნიორებთან ერთად შეეცდება უმაღლეს ლიგაში გადასვლას. შეგახსენებთ, რომ ამ ტექნიკურ ნახევარმცველს სხვადასხვა დროს ბათუმის „დინამოს" გარდა უთამაშია ისრაელის, საბერძნეთის, კვიპროსისა და აზერბაიჯანის გუნდებში, ხოლო თბილისის „დინამოსა" და სოფიის ცსკა-ს შემადგენლობაში, შესაბამისად, საქართველოსა და ბულგარეთის ჩემპიონიც ყოფილა. ბათუმის „დინამოს" ლიდერობა მართლაც არავის გაჰკვირვებია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით სტუ-ს დაუმარცხებელ გამოსვლაზე — სოხუმის „ცხუმის" ყოფილი მეკარის, 45 წლის სპეციალისტის **გოჩა ჟორჟოლიანის** შეგირდების ასპარეზობა სეზონის სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ. თანაც, სტუდენტებს მხოლოდ თავის ზონაში კი არა, საერთოდ პირველ ლიგაში ყველაზე მეტი გოლი აქვთ გატანილი — 11. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი 23 წლის **მიხეილ კოსტავაა,** დანარჩენი მოთამაშეებიდან კი ის სამი ფეხბურთელიც უნდა აღვნიშნოთ, სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგაში რომ უასპარეზიათ: 30 წლის **გიორგი კვახაძე,** 26 წლის **ალექსანდრე ლალაძე** და 25 წლის **ლევან ჯიქიძე.** სტუ-სთან ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს ოზურგეთის „მერცხალი", რომლის შემადგენლობაში კვლავაც აგრძელებენ კარიერას 41 წლის მეკარე **გია გოგუა** და 37 წლის ცენტრალური მცველი **მიხეილ ქობულაძე!** ამ ორი დამსახურებული ვეტერანის გარდა, „ა" ზონის დანარჩენ გუნდებშიც მრავლად არიან ისეთი ფეხბურთელები, წლების განმავლობაში უმაღლესი ლიგის სხვადასხვა გუნდში რომ თამაშობდნენ: 28 წლის **გიორგი ქირია,** 29 წლის **დავით ქირია,** 26 წლის **შალვა ფირცხალავა,** 25 წლის **ზაურ ხაჭიპერაძე,** 29 წლის **დავით სევასტოპულო** (ყველა „ჭიათურა"), 37 წლის **გიორგი თურმანიძე,** 24 წლის **არმაზ დოლონაძე** (ორივე „ჩხერიმელა"), 30 წლის **დავით ხარძეიშვილი,** 29 წლის **პაატა ბაკარაძე,** 26 წლის **მიხეილ ბესარაშვილი,** 25 წლის **მამუკა ჭკადუა** (ყველა- „კოლხეთი"); ალარაფერს ვამბობთ ახალციხის „მესხეთზე", რომლის შემადგენლობაშიც ერთიმეორეზე გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ: 35 წლის **დავით ინასარიძე,** 29 წლის **დიმიტრი ლეკიშვილი,** 29 წლის **დავით ხანიშვილი,** 27 წლის **კობა ხანიშვილი,** 30 წლის **გელა ძამუნაშვილი** და 27 წლის **ირაკლი ცნობილაძე.** ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ჯერ კიდევ „გუშინ" და „გუშინწინ" უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე „ლოკომოტივი" და „სამტრედია" სეზონის სტარტიდანვე აუტსაიდერთა შორის არიან. თუმცა, ერთი მხრივ, ეს ფაქტი მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო — ორივე გუნდი ხომ ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული.



ამირან მუჯირი



იაგო დეისაძე

## ნაცნობი სახეები

ფავორიტი „ბ" ზონაშიც ამართლებს თავის სტატუსს — გამოცდილი სპეციალისტის, 53 წლის **სოსო ფრუიძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ჩიხურა" პირველ ლიგაში ერთადერთი გუნდია, ყველა მატჩი რომ მოიგო! ისე, საჩხერელებს ისეთი შემადგენლობა ჰყავთ, უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდს ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან და „ჩიხურას" ერთპიროვნული ლიდერობაც აბსოლუტურად ლოგიკური მოვლენაა. თანაც, ახალი სეზონის დაწყების წინ „ჩიხურამ" შემადგენლობა სერიოზულად გააძლიერა და უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის გამოცდილების მქონე არაერთი მოთამაშეც დაიმატა: მეკარე, 23 წლის **რევაზ თევდორაძე,** მცველები — 26 წლის **ლაშა ჭელიძე,** 28 წლის **ნიკა გუშარაშვილი,** ნახევარმცველები — 31 წლის **ლაშა ნოზაძე,** 26 წლის **ირაკლი ლილუაშვილი,** 25 წლის **ლევან ბაკურაძე,** 27 წლის **გიორგი სილაგავა,** 25 წლის **ლაშა ვაშაკიძე,** 23 წლის **ნიკოლოზ კვასხვაძე.** პირველი ლიგის გათამაშების ერთ-ერთ უპირობო ფავორიტს - „ჩიხურას" კვალდაკვალ ორი გუნდი მიჰყვება: დებიუტანტი „ზოოვეტი" და ბათუმის „დინამოზე" არანაკლებ ცნობილი და ტიტულიანი ლანჩხუთის „გურია"; ერთი შეხედვით, „ზოოვეტის" ასეთი წარმატებული სტარტი მართლაც სენსაციად უნდა მიგვეჩნია, მით უფრო, რომ გუნდის ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა გულშემატკივართათვის უცნობია. სამაგიეროდ, ამ შემთხვევაში მწვრთნელის ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ: „ზოოვეტის" თავკაცი ხომ გამოცდილზე გამოცდილი სპეციალისტი, 65 წლის **ელგუჯა გუგუშვილი** გახლავთ! შორს წაგვიყვანს ამ მართლაც დამსახურებული მწვრთნელის წარმატებების ჩამოთვლა, უბრალოდ, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ სწორედ ელგუჯა გუგუშვილი იყო პირველი ქართველი მწვრთნელი, სხვა ქვეყნის ნაკრებს რომ თავკაცობდა (წლების განმავლობაში თურქმენეთის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო). „ზოოვეტი" პირველი ლიგის დებიუტანტია, რაც შეეხება „გურიას", უკვე ცხრა წელიწადი ველოდებით ლანჩხუთელთა საყვარელი გუნდის უმაღლეს ლიგაში ხილვას; და აი, ამ სეზონში ამ ყველაფრის წინაპირობაც არსებობს: „გურიამ" კარგი სტარტი აიღო და ჯერჯერობით წაუგებლადაც ასპარეზობს. ლანჩხუთელთა გუნდის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი კი მთავარი მწვრთნელის პოსტზე გამოცდილი სპეციალისტის, 56 წლის **გიგლა იმნაძის** დაბრუნება იყო. შეგახსენებთ, რომ სწორედ იმნაძის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა „გურიამ" საქართველოს თასის პირველ გათამაშებაში და პირველ-მეორე ჩემპიონატშიც სწორედ ლანჩხუთელები იყვნენ „დინამოს" (მაშინდელ „იბერიას") ერთადერთი კონკურენტები (ორჯერვე ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ). მშობლიურ ლანჩხუთში დაბრუნებულ გიგლა იმნაძეს ძირითად შემადგენლობაში რადიკალური ცვლილებები არ მოუხდენია, თუმცა ის კი ფაქტია, რომ „გურიას" ერთობ წაადგა „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი ნახევარმცველის, 26 წლის **გიორგი მელქაძის** გამოცდილება. ლანჩხუთელთა შორის სხვა ფეხბურთელებიც არიან, სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგაში რომ უასპარეზიათ (25 წლის **გიგა კვერენჩხილაძე,** 25 წლის **გიორგი კვიტაიშვილი**), თუმცა ერთი ფეხბურთელი ცალკე აღნიშვნის ღირსია! 23 წლის ფორვარდი **იაგო დეისაძე** უმაღლეს ლიგაში სამი წლის წინათ, თბილისის „მერანში" ასპარეზობდა. შემდეგ ტყიბულის „მეშახტეში" გამოდიოდა, ბოლო დროს კი ლანჩხუთელთა გუნდის ღირსებას იცავს. აი, დაიწყო ახალი სეზონი და მეორე ტურიდან მოყოლებული, დეისაძე მოედანს უგოლოდ არ ტოვებს: ერთი ბურთი „იმერეთს" გაუტანა, „ნორჩ დინამოელთან" დუბლი შეასრულა, სტუმრად „სულორთან" კი სულაც ოთხი გოლი გაიტანა! ვერაფერს ვიტყვით, მართლაც შესაშური შედეგიანობაა — ოთხ შეხვედრაში გატანილი 7 გოლით იაგო დეისაძე პირველი ლიგის ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნული ლიდერია.



ელგუჯა გუგუშვილი



გიგლა იმნაძე

სხვა გუნდებიდან უნდა აღვნიშნოთ „ნორჩი დინამოელის"... ორი კამერუნელი ლეგიონერი: 20 წლის **ანდრე ნონოსი** („სამტრედიასა" და „სპარტაკში" გამოდიოდა) და 19 წლის **არნო ჩუენსუ** („გაგრას" შემადგენლობაში სადებიუტო მატჩშივე მძიმე ტრავმა რომ მიიღო). ისე, ამ ზონაში კიდევ ორ გუნდზე გვინდა ორიოდე სიტყვის თქმა: წალენჯიხის „სქურის" მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი, სოხუმის „ცხუმის" ყოფილი თავკაცი **ნუგზარ ბოჯგუა** მუშაობს; ხოლო მისი ერთ-ერთი შეგირდი „ცხუმიდან", „სამტრედიისა" და სოჭის „ჟემჩუჟინას" ყოფილი ნახევარმცველი, 40 წლის **გიორგი გოგიაშვილი** წყალტუბოს „სამგურალს" ხელმძღვანელობს.

**გია ტუხაშვილი**

● საქართველოს თასი. 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩები

| 13 სექტემბერი | 14 სექტემბერი |
|---|---|
| **ნორჩი დინამო-სიონი 1:1 პენ. 4:5**<br>პირველი მატჩი 1:1 | **ზოოვეტი-სპარტაკი 2:2**<br>პირველი მატჩი 0:4 |
| **დილა-აეტი 3:0**<br>პირველი მატჩი 2:0 | **სტუ-ვიტ ჯორჯია 0:6**<br>პირველი მატჩი 1:2 |
| **მესხეთი-ტორპედო 1:6**<br>პირველი მატჩი 0:2 | **სულორი-სამტრედია 3:0**<br>პირველი მატჩი 1:1 |
| **კოლხეთი (ფ)-კოლხეთი (ხ) 1:0**<br>პირველი მატჩი 1:2 | **მერცხალი-ბათუმი 0:4**<br>პირველი მატჩი 0:3 |
| **სქური-მერანი 0:1**<br>პირველი მატჩი 0:0 | **ჩხერიმელა-ბაია 1:3**<br>პირველი მატჩი 1:0 |
| **ლოკომოტივი-ჩიხურა 2:2**<br>პირველი მატჩი 0:5 | **ჭიათურა-გურია 2:1**<br>მატჩი 0:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დიდი დაპირისპირება



ანდრე ვილაშ ბოაშს მანჩესტერთან ბევრი სანერვიულო ექნება

# ფანტაზიები თემაზე

**სტატია "ჩელსის" ფანკლუბმა მკითხველს საკუთარ ვებგვერდზე შესთავაზა. თუმცა ამას სტატია ნაკლებად შეიძლება ეწოდოს, უფრო ბლოგია, სადაც მეტი ემოცია და მეტი ფანტაზიაა. მაშ ასე...**

"სინათლის არენა" იყო, წინ "ოცნებათა თეატრია" – "ჩელსი" პირველ დავალებას გაუმკლავდა, კერკეტი კაკალი "სანდერლენდი" დამაჯერებლად დაამარცხა, მაგრამ ეს ვერაფრით მოვა ახლოს იმასთან, რაც მოქმედმა ჩემპიონმა არანაკლებ კერკეტ "ბოლტონს" დღე დაანია – 5 გოლი და კიდევ ბევრი გაფუჭებული მომენტი. გრანდებზე დაკვირვებამ რამდენიმე ფიქრი აღგვიძრა მათი მომავალი დაპირისპირების შესახებ.

ლონდონური გუნდი უფრო კარგად გამოიყურებოდა, ვიდრე წინა თამაშებში, რაც აშკარად შემადგენლობაში მოხვედრილი ახალი ფეხბურთელების დამსახურებაა. **მეირელეში, მატა** და **სტარიჯი** – ისინი მეტოქის კარზე იყვნენ დაგეშილები. სწორედ მათ "გააკეთეს" თამაში. ჯერ სტარიჯმა გაუკეთა პასი **ჯონ ტერის**, შემდეგ კი უკვე თავად გამოეხმაურა მეირელეშის გადაცემას. ამასთან, არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ მეირელეშმა დაცვაში საუკეთესოდ ვერ ითამაშა. აშკარაა, რომ მას არ ეხალისება მეტოქის დევნა, ბრძოლა, საჭიროების შემთხვევაში კი ფეხებში ვარდნა. თუმცა მას პოზიციის არჩევის უნარი და სისწრაფე არ დაეწუნება. ამიტომაც მოსდის მას შეცდომები, რომელთაც ის წესების დარღვევით ასწორებს, მათ შორის ისეთებით, ყვითელ ბარათს რომ იმსახურებს. დასკვნა: უმრავლეს გუნდებში მეირელეშს შეუძლია საყრდენად თამაში, მაგრამ ჩემპიონობის მაძიებელში – არა. დაცვის ის განლაგება, რასაც "ჩელსის" მწვრთნელი გუნდში ამკვიდრებს, თავის თავში შეიცავს სწრაფი კონტრშეტევების გაპარვის საფრთხეს. ეს არის ზუსტად ის, რაც "სანდერლენდის" გოლის შემთხვევაში მოხდა. და პრემიერლიგის რომელი კლუბი გადადის ყველაზე სწრაფად კონტრშეტევებზე? დასკვნა: "ჩელსი" ტაქტიკის შეცვლის გარეშე საკმაოდ დიდ რისკზე მიდის, რომ "მანჩესტერისგან" გოლების წვიმა მიიღოს.

რაც უნდა გასაკვირი იყოს, გუნდში **დროგბას, ტორესის, ანელკას, ლუკაკუს, კალუსა** და **სტარიჯის** ყოფნის პირობებშიც კი "ჩელსი" "მანჩესტერთან" შეხვედრას საიმედო ცენტრფორვარდის გარეშე ხვდება. დიდიე ვერ ითამაშებს, ლუკაკუს ძნელად თუ განიხილავ "მანჩესტერთან" ძირითად შემადგენლობაში, ანელკას ძალიან უყვარს უკან დახევა, ტორესი ღრმა ფსიქოლოგიურ კრიზისშია და ვგონებ, იქიდან გამოსვლა არც უნდა. სიმართლე ითქვას, არც მწვრთნელები იკლავენ თავს დახმარებით. ნაკრებში ის სათადარიგოთა შორისაც ვერ მოხვდა, "ჩელსიში" კი შეცვლაზე მაშინ შევიდა, როცა მოედანზე აღარც მატა იყო აღარც სტარიჯი.

და "მანჩესტერ იუნაიტედი"? "მანიუმ" ყველა გააოცა - სასტარტო ტურებში "ჩელსის" შედეგიანობის შარშანდელი რეკორდი გააუმჯობესა. რუნიმ ორჯერ შეასრულა ჰეთთრიკი და მარტომ გაიტანა იმაზე მეტი, ვიდრე ყველა "არისტოკრატმა" ერთად. მაგრამ ყველაზე მეტად გვაოცებს არა შედეგიანობა, არამედ "ალისფერი ეშმაკების" მიერ შესრულებული ჰოლანდიურის მსგავსი საფეხბურთო ტოტალურობა. ყოველი ფეხბურთელი მინდვრის ორივე მხარეს მუშაობს. ასე შეიძლება მოჰკრა თვალი **ერნანდესს** საყრდენის პოზიციაზე, **ანდერსონს** ცენტრფორვარდის ადგილას, **ფილ ჯონსს** კი გამთამაშებლის მაგივრად. გუნდი პრაქტიკულად არაა მიჯაჭვული არც ერთ საფეხბურთო სქემას. ენერგია და აღმაფრენა კი გუნდს შემოქმედებით ფეხბურთში უფრო მეტად ეხმარება, ვიდრე ნებისმიერი ცბიერი ტაქტიკა. დასკვნა: დღეს "მანჩესტერთან" გახსნილი თამაში სიკვდილის ტოლფასია. ნებისმიერი "არსენალის" ბედს გაიზიარებს.

როგორ უნდა დაამარცხოს "მანიუ"? სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემით დაიწყება **ანდრე ვილაშ ბოაშისთვის** ტოპკლუბის მთავარი მწვრთნელის კარიერა. "განსაკუთრებული კაცი 2" მშვენიერ ტაქტიკოსად მიაჩნიათ. მის ნიჭს სწორედ ეს თამაში გამოცდის.

ბლოგის ავტორის უფლებებით ვისარგებლებ და ჩემს ვარიანტებს შემოგთავაზებთ:

1. მაქსიმალურად შემცირდეს სივრცეები დაცვასა და ნახევარდაცვას შორის. სწორედ ამ მონაკვეთში ავითარებს "მანიუ" თავის კონტრშეტევებს. ამისთვის საჭიროა კარგ ფორმაში მყოფი ორი სწრაფი საყრდენი ნახევარმცველი. ერთი ასეთი გუნდს ჰყავს - **რამირესი**. და რა ვქნათ, როცა **ესიენი** ტრავმირებულია? ამ სქემაში მეორე საყრდენი **დავიდ ლუიზი** ხდება.

2. გუნდს შეუძლია ითამაშოს ერთი თავდამსხმელით და კონცენტრაცია კონტრშეტევებზე გააკეთოს. ეს ერთი სტარიჯი უნდა იყოს. ტორესი სკამზეც კი ვერ ხვდება.

3. კონტრშეტევებზე თამაში დაცვაში კარგად მოთამაშე ორ განაპირა ნახევარმცველს მოითხოვს. მარცხნივ ეს იქნება **მალუდა**, მარჯვნივ... **ბოსინგვა**. პორტუგალიელი კარგია შეტევებში, დაცვაში სისუსტე კი ამ პოზიციაზე ისეთი საშიში არ არის, როგორც მისთვის ტრადიციულ მარჯვენა მცველზე.

4. ამ დროს გუნდი ბურთის დაჭერაზე არ იფიქრებს, ამიტომ უმჯობესი იქნება, ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე უპირატესობა სისწრაფეს მიენიჭოს, "თავისუფალი მხატვრის" როლი კი (დაცვაში ჩამოსვლის პირობით) მატას ჩავაბაროთ.

შედეგი: საშინელი, მშიშარა, წარმოუდგენელი სქემა ლემპარდის გარეშე და 6 მცველით. **ჩეხი – კოული, ტერი, ალექსი, ივანოვიჩი, რამირესი, ლუიზი, მალუდა, ბოსინგვა, მატა, სტარიჯი.**

აი, ასე ნამდვილად არ იქნება.

ვნახოთ, რას შემოგვთავაზებს ანდრე ვილაშ ბოაში.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები

## ვერდერს მარინი დაუშავდა

ბრემენის „ვერდერი" ბუნდესლიგაში ხუთი ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და ლიდერ მიუნხენის „ბაიერნს" უპირატესობის მოპოვების საშუალებას არ აძლევს. აქედან გამომდინარე, ბრემენელთათვის ორმაგად სამწუხარო ამბავია ის, რომ გუშინდელ ვარჯიშზე „მუსიკოსების" 22 წლის გამთამაშებელი **მარკო მარინი** დაშავდა და შაბათს, „ნიურნბერგთან" გასვლით შეხვედრაში მისი ასპარეზობა კითხვის ნიშნის ქვეშაა.

„პირველი დიაგნოზით, მარკო შაბათს ვერ ითამაშებს, თუმცა ჯერ კიდევ გვაქვს იმის იმედი, რომ შაბათამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს," - აცხადებს „ვერდერის" მთავარი მწვრთნელი **თომას შააფი**. თუ ასე არ მოხდა, მარინს „ნიურნბერგთან" კიდევ ერთი ახალგაზრდა ფლეიმეიკერი **მეჰმეთ ექიჩი** შეცვლის, რომლისაც შააფს ასევე დიდად ეიმედება.

## კანი ნოიერს აფრთხილებს

„ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ **ოლივერ კანმა** რეკორდმაისტერსა და ბუნდესგუნდში თავის შემცვლელ **მანუელ ნოიერს** რჩევა-დარიგებები მისცა.

„გლადბახთან" მანუელმა უპატიებელი შეცდომა დაუშვა და სწორედ იმ მატჩში გამოჩნდა, რაოდენ დიდი წნეხის ქვეშაა მოქცეული მას მერე, რაც მიუნხენში გადავიდა. მართალია, მას მერე აღარ შემცდარა, მაგრამ ვურჩევდი, აპრობირებულ მეთოდებს მიმართოს და ფსიქოლოგების დახმარებაზე უარი არ თქვას. ცხადია, მის საქმეში არ უნდა ვერეოდე, მაგრამ ძალიან მინდა, რომ ნოიერი უმაღლესი დონის მეკარედ ჩამოყალიბდეს და როგორც „ბაიერნის", ისე გერმანიის ნაკრების



ოლივერ კანი

კარი კარიერის ბოლომდე დაიცვას. ნოიერი ჯერ 25 წლისაა და კიდევ მინიმუმ ათი წელი უნდა ითამაშოს. დარწმუნებული ვარ, ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რომ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მძიმე წნეხის ქვეშ მოექცევა," - თქვა კანმა „შპორტბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

## როდის დაბრუნდება რობენი?

„ბაიერნის" გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ რეკორდმაისტერის ჰოლანდიელი გარემარბი **არიენ რობენი** მოედანზე ბუნდესლიგის მომდევნო ტურში მაინც დაბრუნდებოდა. დღეს ხუთშაბათია და მიუნხენში ჯერ კიდევ არ იციან, მოახერხებს თუ არა ჰოლანდიელი მომავალ უქმეებზე თამაშს. პროგნოზს ვერც თვით ბავარიული გრანდის მთავარი ექიმი **ჰანს-ვილჰელმ მიულერ ვოლფარტი** აკეთებს.

„დედამიწის ზურგზე არ არსებობს ადამიანი და მით უმეტეს ექიმი, რომელიც გადაჭრით იტყვის, როდის დაბრუნდება არიენი. პროგრესი აშკარაა, მაგრამ დღეს ზუსტი თარიღის დასახელება ნამდვილად არ შემიძლია," - უთხრა დოქტორმა მიულერ-ვოლფარტმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

**გოტფრიდ ლენცი**

● ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური




მადრიდში საბოლოოდ სელტიკი ჩაფრინდა

# ევროპალიგა დიდი სკანდალით იწყება

## ვინ გაფრინდა და ვინ ვერ მადრიდში

დღეს ევროპალიგის ჯგუფური ეტაპი იწყება - 12 ჯგუფის 24 მატჩია. საფეხბურთო ევროპაში დიდი სკანდალია - უეფამ შეჯიბრებიდან მოკვეთა შვეიცარიული „სიონი", რადგან ამ კლუბმა პლეი ოფში 5 ისეთი ფეხბურთელი ათამაშა, რომელთაც სატრანსფერო შეზღუდვის გამო ამის უფლება არ ჰქონიათ. შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე „სიონმა" ორი მატჩის ჯამში 3:1 დაამარცხა შოტლანდიური „სელტიკი" და ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა. შვეიცარიელები მადრიდში გაფრენას გეგმავდნენ, როცა უეფას სასჯელის შესახებ შეიტყვეს. რა თქმა უნდა, მათ გაასაჩივრეს განაჩენი, მაგრამ უეფა შეუვალი იყო - დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვა - მადრიდში კი შვეიცარიელების ნაცვლად შოტლანდიელები გაფრინდნენ.

„სიონი" გაჩერებას არ აპირებს და უეფას სამოქალაქო სასამართლოში უჩივის, ისინი კომპენსაციის სახით 4 მილიონ ევროს ითხოვენ. მოკლედ, გაგრძელება უსათუოდ იქნება.

ჯგუფურ ეტაპზე სამი ქართველი ითამაშებს: რუსული „რუბინის" განაცხადშია **სოლომონ კვერკველია**, „შტურმში" ითამაშებს **გიორგი ფოფხაძე** და ებრაული „მაქაბის" ღირსებას დაიცავს **ლადო დვალიშვილი**. კვერკველიას „რუბინი" ირლანდიაში ჩადის, სადაც დებიუტანტ „შემროკ როვერსს" სტუმრობს. ჰაიფელები კვიპროსულ აეკ-ს მასპინძლობენ, ხოლო „შტურმი" გრაცში მოსკოვის „ლოკომოტივს" მიიღებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| A ჯგუფი | | G ჯგუფი | |
|---|---|---|---|
| პაოკ (საბერძნეთი)<br>ტოტენჰემი (ინგლისი) | 21:00 | ალკმაარი (ჰოლანდია)<br>მალმიო (შვედეთი) | 23:05 |
| შემროკი (ირლანდია)<br>რუბინი (რუსეთი) | 21:00 | აუსტრია (ავსტრია)<br>მეტალისტი (უკრაინა) | 23:05 |
| **B ჯგუფი** | | **H ჯგუფი** | |
| ჰანოვერი (გერმანია)<br>სტანდარდი (ბელგია) | 21:00 | ბრიუგე (ბელგია)<br>მარიბორი (სლოვენია) | 23:05 |
| კოპენჰაგენი (დანია)<br>ვორსკლა (უკრაინა) | 21:00 | ბირმინგემი (ინგლისი)<br>ბრაგა (პორტუგალია) | 23:05 |
| **C ჯგუფი** | | **I ჯგუფი** | |
| ჰაპოელი თ. (ისრაელი)<br>რაპიდი (რუმინეთი) | 21:00 | ატლეტიკო (ესპანეთი)<br>სელტიკი (შოტლანდია) | 23:05 |
| პსვ (ჰოლანდია)<br>ლეგია (პოლონეთი) | 21:00 | უდინეზე (იტალია)<br>რენი (საფრანგეთი) | 23:05 |
| **D ჯგუფი** | | **J ჯგუფი** | |
| ციურიხი (შვეიცარია)<br>სპორტინგი (პორტუგალია) | 21:00 | მაქაბი ჰ (ისრაელი)<br>აეკ (კვიპროსი) | 23:05 |
| ლაციო (იტალია)<br>ვასლუი (რუმინეთი) | 21:00 | სტიაუა (რუმინეთი)<br>შალკე (გერმანია) | 23:05 |
| **E ჯგუფი** | | **K ჯგუფი** | |
| დინამო (უკრაინა)<br>სტოკი (ინგლისი) | 21:00 | ვისლა (პოლონეთი)<br>ოდენსე (დანია) | 23:05 |
| ბეშიქთაში (თურქეთი)<br>მაქაბი თ. (ისრაელი) | 21:00 | ფულჰემი (ინგლისი)<br>ტვენტე (ჰოლანდია) | 23:05 |
| **F ჯგუფი** | | **L ჯგუფი** | |
| სლოვანი (სლოვაკეთი)<br>ბილბაო (ესპანეთი) | 21:00 | შტურმი (ავსტრია)<br>ლოკომოტივი (რუსეთი) | 23:05 |
| პსჟ (საფრანგეთი)<br>ზალცბურგი (ავსტრია) | 21:00 | ანდერლეხტი (ბელგია)<br>აეკ (საბერძნეთი) | 23:05 |



გიორგი ფოფხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# პორტუ მაინც პორტუა!

## შეიძლებოდა, სათაური ბარსა-მილანზე ყოფილიყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ...

**„ბარსა"-„მილანმა" გვასიამოვნა, მაგრამ ბევრით ვერაფრით გაგვაოცა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ როცა კატალონიური გრანდი „ნოუ კამპზე" ვერ იგებს, გინდა, არ გინდა, მაინც უნდა გაოცდე. სამაგიეროდ, „პორტუმ" გადაიტანა დრამატული ბრძოლა, „გენკმა" „ვალენსიასთან" დასაფასებელ ფრეს მიაღწია და ნამდვილად გაგვაოცა ნიქოზიის აპოელ-მაც.**

**განცდები და შთაბეჭდილებები სამშაბათის მატჩების მიმოხილვაში:**

### E ჯგუფი

### ჩელსი–ლევერკუზენი 2:0

**გოლები:** 1:0 დავიდ ლუიზი (67), 2:0 მატა (92)
**ბურთის ფლობა:** 59%:41%, **დარტყმები:** 22:11, **კუთხურები:** 6:2
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ბერნდ ლენო (ლევერკუზენი)

სამშაბათ საღამოს, „სტემფორდ ბრიჯზე" მთავარი თემა **მიხაელ ბალაკის** დაბრუნება იყო – „ლევერკუზენის" თავკაცმა **რობინ დუტმა** 33 წლის გერმანელი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში გაამწესა და გერმანიის ნაკრების ყოფილ კაპიტანს თავი არ შეურცხვენია. ბალაკმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მეორე ტაიმში კი დაღლა დაეტყო და შეცვალეს. მოედნიდან გასვლისას, მიხაელს „სტემფორდ ბრიჯზე" შეკრებილი გულშემატკივარი ფეხზე წამოუდგა – ლონდონელებმა „ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელი ტაშით გააცილეს.

ლევერკუზენელები განსაკუთრებით კარგად პირველ ტაიმში გამოიყურებოდნენ, მედგრად იბრძოდნენ და „არისტოკრატების" უსწრაფეს შეტევებს მშვენივრად უძლებდნენ. თუმცა მაინც ჩანდა, რომ „ჩელსი" გაცილებით მაღალი კლასის გუნდია, „ბაიერი" კი ლონდონიდან ქულას ან მით უმეტეს ქულებს, მხოლოდ გამართლების ხარჯზე თუ წაიღებდა. „ფარმაცევტებს" პრობლემები მარჯვენა ფლანგზე ექმნებოდა, სადაც **კასტრო კოულს** და **მატას** ვერ უძლებდა. ხანდახან კი ლოდნონელთა ამ დუეტს **სტარიჯიც** ეხმარებოდა და კასტრო აშკარად დაიტანჯა. ლონდონელებმა საგოლე მომენტების უმეტესობა სწორედ ამ ფლანგიდან შექმნეს და თუ უფრო დიდი ანგარიშით ვერ მოიგეს, ეს „ლევერკუზენის" ახალგაზრდა მეკარის, **ბერნდ ლენოს** დამსახურებაა, რომელსაც ვასახელებთ კიდეც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად.

### გენკი–ვალენსია 0:0

**ბურთის ფლობა:** 36%:64%, **დარტყმები:** 7:21, **კუთხურები:** 5:6
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ადილ რამი (ვალენსია)

მიუხედავად იმისა, რომ თამაშს პირველიდან ბოლო წუთამდე აკონტროლებდნენ და საგრძნობ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, ესპანელებმა ბელგიელთა კარში გოლი ვერაფრით გაიტანეს. საუკეთესო საგოლე მომენტები **დანი პარეხომ** და **ადილ რამიმ** ვერ გამოიყენეს. ამ უკანასკნელმა ნახევრად მაკრატელა დარტყმის შემდეგ ბურთი სულაც ძელს მოარტყა.

„გენკს" საუკეთესო მომენტი მეორე ტაიმის დასაწყისში შეექმნა, რომელიც **ვოსენმა** ვერ გამოიყენა. საბოლოოდ კი 0:0, რომლითაც ვალენსიელები უკმაყოფილოები დარჩნენ, „გენკმა" კი ჩემპიონთა ლიგაში პირველივე თამაშში ქულის მოპოვებით გაიხარა.

### F ჯგუფი

### ბორუსია (დ)–არსენალი 1:1

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (42), 1:1 პერიშიჩი (88)
**ბურთის ფლობა:** 57%:43%, **დარტყმები:** 15:5, **კუთხურები:** 6:4
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მატს ჰუმელსი (ბორუსია დ)

რვა წელია, დორტმუნდის „ბორუსიას" ჩემპიონთა ლიგაში არ უთამაშია და ისედაც მუდამ ცეცხლდანთებულ „ვესტფალენშტადიონზე", რასაკვირველია, ამჯერადაც გრანდიოზული ატმოსფერო იყო შექმნილი. მართალია, გერმანიის ჩემპიონმა ჩემპიონთა ლიგაში კარგად გამობრძმედილი „არსენალი" ვერ დაამარცხა, მაგრამ დორტმუნდელებმა შესანიშნავად ითამაშეს და ქებას იმსახურებენ.

რაღა შორს წავიდეთ, მატჩის დასაწყისში დორტმუნდელებს სამი ე.წ. ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შეექმნათ და ანგარიშის გახსნამდე სამივე შემთხვევაში ძალიან ცოტა დააკლდათ. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე კი დორტმუნდელთა გამოცდილმა საყრდენმა ნახევარმცველა **სებასტიან კელმა**, რომელიც **იურგენ კლოპმა** ბოლო მომენტში ახალგაზრდა **ილქაი გიუნდოგანს** ამჯობინა, საბედისწერო, კატასტროფული შეცდომა დაუშვა, როცა ბურთი უწყინარ სიტუაციაში ლონდონელებს ჩააბარა – **თეო უოლკოტის** მშვენიერი პასით კი, რომელმაც დორტმუნდელთა მთელი უკანა ხაზი გააუვნებელყო, **რობინ ვან პერსიმ** ისარგებლა და **ვაიდენფელერს** აუღებელი დაურტყა.

მეორე ტაიმშიც ლაღი ფეხბურთი ვიხილეთ. ცხადია, დორტმუნდი მეტს ცდილობდა და ბოლოს მიაღწია კიდეც მიზანს, ოღონდ არა კომბინაციური შეტევით, არამედ უფრო საშემსრულებლო ოსტატობის ხარჯზე გატანილი გოლით: 88-ე წუთზე **ივან პერიშიჩმა** საჯარიმოს მისადგომებიდან „არსენალის" კარისკენ მაღალი ბურთი გაგზავნა და **შჩესნის** ცხრიანში ჩაუსვა – „მეთოფეების" მეკარე ამ დარტყმას ვერ აიღებდა.

### ოლიმპიაკოსი–მარსელი 0:1

**გოლი:** 0:1 ლუჩო გონსალესი (51)
**გაძევება:** ფანი (90. მარსელი)
**ბურთის ფლობა:** 54:46, **დარტყმები:** 8:11, **კუთხურები:** 2:3
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჯერემი მორელი (მარსელი)

„ოლიმპიაკოსისა" და „მარსელის" მატჩი მოსალოდნელზე საინტერესო გამოვიდა. უმაღლესი კლასის ფეხბურთი ვერ ვიხილეთ, მაგრამ დაძაბულობა საკმარისზე მეტი იყო. მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ და თითქმის მთელი შეხვედრა შეტევებში გაატარეს, ფრანგებმა კი თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და საკმაოდ კარგი მომენტებიც ჰქონდათ.

„მარსელის" გოლიც, რომელიც ველოდრომელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანეს, სწორედ ხარისხიანი კონტრშეტევის დამსახურება გახლდათ: ველოდრომელთა მარცხენა მცველმა **მორელმა**, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან აქტიურობდა და შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება ულაპარაკოდ დაიმსახურა, ხსენებულ მომენტში მარცხენა ფრთაზე გაინავარდა და ცენტრში გახსნილი **ლუჩო გონსალესი** მოძებნა, რომელმაც ანგარიში გახსნა.

ლუჩოს გოლის შემდეგ მოედანზე სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა და ბერძნები „მარსელის" საჯარიმოს მიაწყდნენ, მაგრამ ველარაფერი გააწყვეს. ამრიგად, პირველი ტურის შემდეგ „ოლიმპიკი" F ჯგუფს სათავეში ჩაუდგა.



დავიდ ლუიზი გოლს ზეიმობს


მიუხედავად მწვრთნელისა და ლიდერ ფალკაოს დაკარგვისა, პორტუ მაინც მოწოდების სიმაღლეზეა

### G ჯგუფი

### პორტუ–შახტარი 2:1

**გოლები:** 0:1 ლუის ადრიანო (12), 1:1 ჰალკი (28), 2:1 კლებერი (51)
**გაძევება:** რაკიცკი (40. შახტარი), ჩიგრინსკი (80. შახტარი)
**ბურთის ფლობა:** 60%-40%, **დარტყმები:** 28:7, **კუთხურები:** 8:7
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჰალკი (პორტუ)

გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს იყო პირველი ტურის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მატჩი, სადაც ვნახეთ ყველაფერი, რაც ფეხბურთს დრამატულობისთვის სჭირდება ხოლმე: შემოტრიალებული თამაში, გაძევებები, გაცუდებული თერთმეტმეტრიანი.

თამაში დონეცკელებმა გაცილებით უკეთ დაიწყეს. „შახტარი" უმეტესად მარჯვენა ფლანგიდან უტევდა, სადაც **დარიო სრნა** ტრადიციულად ძალიან კარგად გამოიყურებოდა. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ალოგიკური იყო ის, რომ მე-10 წუთზე „პორტუს" ანგარიშის გახსნის საუკეთესო შანსი მიეცა: **რაკიცკის** ფოლის გამო, მსაჯმა **ფელიქს ბრიხმა** „შახტარის" კარში პენალტი დანიშნა, რომელიც **ჰალკმა** ვერ გამოიყენა. არ გასულა ორ წუთზე მეტი და უკრაინელები დამსახურებულად დაწინაურდნენ: 16 მეტრიდან **ვილიანის** ძლიერ დარტყმას „პორტუს" მეკარე **ჰელტონი** ხეირიანად ვერ გაუმკლავდა, რითაც **ლუის ადრიანომ** ისარგებლა და „შახტარი" დააწინაურა.

გაფუჭებული პენალტის გამო ჰალკი უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა და გაშვებული გოლის შემდეგ ყველაზე მეტად სწორედ მან მოუმატა, მერე კი თანაგუნდელებიც აჰყვნენ, რამაც შედეგი 28-ე წუთზე გამოიღო: ჰალკმა შეცდომა 34 მეტრიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმით გამოასწორა და ანგარიში გაათანაბრა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დონეცკელთა მეკარე **რიბკას** ამ დარტყმის მოგერიება მართებდა.

მე-40 წუთზე „შახტარს" რაკიცკი გაუძევეს და მეორე ტაიმში, რასაკვირველია, ცალკარა გაჩაღდა. „პორტუ" უტევდა, „შახტარი" თავს იცავდა და 51-ე წუთზე **კლებერის** მიერ გატანილ გოლს ალოგიკურს ვერავინ უწოდებს – მან **როდრიგესის** კარგი პასით იხეირა. პორტუგალიელთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეტევები წინ გასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ, მაგრამ დონეცკელებს ანგარიშის გათანაბრების შანსი მაინც მიეცათ, მაგრამ ლუის ადრიანომ ამჯერად ველარ ივარგა. საბოლოოდ, უკრაინელებმა თამაში 9 კაცით დაამთავრეს, რადგან მატჩის მიწურულს **ჩიგრინსკიმ** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი მასაც დაატოვებინეს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „პორტუმ" დამსახურებული გამარჯვება იზეიმა. ყოველ შემთხვევაში, ლიდერ **ფალკაოს** დაკარგვა პორტუგალიელებს „შახტართან" მატჩში დიდად არ დასტყობიათ.

### აპოელ–ზენიტი 2:1

**გოლები:** 0:1 ზირიანოვი (63), 1:1 მანდუჩა (73), 2:1 აილტონ ალმეიდა (75)
**გაძევება:** ბრუნო ალვეში (76)
**ბურთის ფლობა:** 55%:45%, **დარტყმები:** 12:19, **კუთხურები:** 2:4
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** აილტონ ალმეიდა (აპოელ)

„ზენიტმა" პირველ წუთებში ისე შეუტია, ვიფიქრეთ, რუსები მთელ მატჩს ასეთ იერიშებში გაატარებდნენ, მაგრამ ნიქოზიელებმა თავიანთი თამაში ნელ-ნელა იპოვეს. მართალია, მასპინძლები მაინც უფრო დაცვიდან თამაშობდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ რუსებს პრობლემები შეუქმნეს. შესაბამისად, „ზენიტის" მიერ 63-ე წუთზე გატანილ გოლს გარკვეულწილად ალოგიკური უნდა ვუწოდოთ – **დანისთან** გათამაშებული კომბინაციით ანგარიში **ზირიანოვმა** გახსნა.

„აპოელზე" ხმაურიანმა პუბლიკამაც იმოქმედა – გაშვებული გოლის შემდეგ კვიპროსელებმა მედგრად შეუტიეს და ორ წუთში „ზენიტს" ორი გოლი გაუტანეს. თამამად უნდა ვთქვათ, რომ მიუხედავად ასეთი სცენარისა, კვიპროსელებმა მატჩი დამსახურებულად მოიგეს და წესით, საკუთარ მოედანზე პრობლემები „პორტუსა" და „შახტარსაც" უნდა შეუქმნან.

### H ჯგუფი

### ბარსელონა–მილანი 2:2

**გოლები:** 0:1 პატო (1), 1:1 პედრო (36), 2:1 ვილია (50), 2:2 ტიაგო სილვა (92)
**ბურთის ფლობა:** 69%-31%, **დარტყმები:** 22:6, **კუთხურები:** 11:2
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლიონელ მესი (ბარსელონა)

პირველი ტურის ცენტრალური მატჩისგან ყველანი თვალსასეირო სპექტაკლს ველოდით და ვიხილეთ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მატჩის დასაწყისი ნაღდად საოცარი იყო: პირველივე წუთზე **პატოს** სოლო დრიბლინგს, რომელმაც გზად **ბუსკეტსი** და **მასკერანო** დაჯაბნა, **ვალდესის** შერცხვენა მოჰყვა – ბრაზილიელმა „ბარსას" მეკარეს ბურთი ფეხებშუა გაუტარა. კატალონიელებს შოკში ჩავარდნა არ სჩვევიათ და ამჯერადაც მშვიდად შეუდგნენ საქმეს: მე-12 და მე-14 წუთებზე „ბარსელონას" ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ვერც **ვილიამ** და ვერც **მესიმ** შეტევები ხეირიანად ვერ დააგვირგვინეს.

მე-19 წუთზე მესიმ ჯარიმა უნაკლოდ კი შეასრულა, მაგრამ ბურთი „როსონერის" კარის მარჯვენა ძელს მოარტყა. მიუხედავად ამდენი რეალური საგოლე მომენტის გაცუდებისა, კატალონიელები მშვიდად უტევდნენ, ჩვეულად დომინირებდნენ და საწადელს მაინც მიაღწიეს: 36-ე წუთზე მესის დრიბლინგს გზად **აბატე** შეეწირა, ლეომ კი **პედრო** მოძებნა, რომელმაც ანგარიში გაათანაბრა.

ცხადია, „ბარსელონამ" მეორე ტაიმიც შეტევებით დაიწყო და თუკი 48-ე წუთზე **ჩავიმ** კარგი მომენტი ვერ გამოიყენა, ზუსტად ორ წუთში დავიდ ვილიამ 27 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული წინ გაიყვანა. მიუხედავად კატალონიელთა დაწინაურებისა, სცენარი არ შეცვლილა – მასპინძლები უტევდნენ, „მილანი" კი თავს იცავდა, განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ „ბარსელონას" რეალური საგოლე მომენტების შექმნა უჭირდა. კატალონიელთა გამარჯვებაში ეჭვი ალბათ აღარავის ეპარებოდა, როცა იტალიის ჩემპიონმა წონასწორობა კიდევ ერთხელ აღადგინა: მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე იტალიელთა კუთხურს **ტიაგო სილვას** ცივსისხლიანი თავური დარტყმა მოჰყვა და „ნოუ კამპის" ტაბლოზე თამაშის სცენარიდან გამომდინარე ცოტათი ალოგიკური 2:2 დაფიქსირდა. ამით „მილანის" მიღწევის დაკნინება ნამდვილად არ გვინდა – ბარსელონაში არწაგება ხომ ნებისმიერი გრანდისთვის ძალიან რთულად მისაღწევი და ყველა შემთხვევაში დიდად დასაფასებელი შედეგია.

### ვიქტორია–ბატე 1:1

**გოლები:** 1:0 ბაკოსი (45), 1:1 რენანი (69)
**ბურთის ფლობა:** 58%:48%, **დარტყმები:** 17:15, **კუთხურები:** 3:5
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** რენანი (ბატე)

„ზესტაფონს" „შტურმი" რომ გამოეგდო და მერე ბატე-ც ზედ მიეყოლებინა, საქართველოს ჩემპიონი „ნოუ კამპზე" ითამაშებდა, „სან სიროზეც" და პლზენის „ვიქტორიასთან" მატჩსაც „ავიტანდით"... ოცნებები - თქვენი მონონებული და რაც შეეხება რეალობას: ბორისოვის ბატე-მ პლზენში ფრეს მიაღწია და ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა წაგებით არ დაუწყია.

ეს ამ ჯგუფის აუტსაიდერთა დუელი გახლდათ, რომლებმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე ივაჟკაცეს, ახლა კი ჯგუფში მესამე ადგილისთვის უნდა იბრძოლონ, რადგან „მილანს" და „ბარსელონას" კონკურენციას, რა თქმა უნდა, ვერ გაუწევენ. ბატე-ს ფეხბურთელები თავიდანვე ვაჟკაცურად ირჯებოდნენ და მომენტებიც მასპინძლებზე მეტი შეექმნათ: **რუდიკს** (მე-18 წუთზე), **კეუმანს** (22) და **გორდეიჩუკს** სამგზის შეეძლოთ „ვიქტორიას" კარის დალაშქვრა, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, ანგარიში კი მაინც პლზენელებმა გახსნეს.

მეორე ტაიმშიც გახსნილი ფეხბურთი ვიხილეთ: ჯერ ისევ კეუმანს ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ მცირე მანძილით აიცილა და ანგარიში ვერ გაათანაბრა, მერე კი **პილარს** მართებდა სხვაობის გაზრდა. თუმცა ბატე-მ მაინც მოახერხა გათანაბრება: რუდიკმა **რენანი** საჯარიმოში შეგზავნა, ამ უკანასკნელმა კი პლზენელთა მეკარეს ბურთი ფეხებშუა გაუტარა. დარჩენილ 20 წუთში ორივე გუნდი უტევდა, მაგრამ გოლის გატანა ველარ მოახერხეს და საბოლოოდ 1:1, რაც ბატე-ს მესამე ადგილისთვის ბრძოლაში უპირატესობას ანიჭებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური



ბაიერნმა ლიგა მოგებით დაიწყო

# ცივი შხაპი ინტერს

ამაზე უარეს სეზონის დასაწყისს მილანის „ინტერის" გულშემატკივრები ვერც კი წარმოიდგენდნენ - მათი გუნდი დამარცხდა სერია A-ს სასტარტო მატჩში, ახლა კი შინ, სანახევროდ ცარიელ „სან სიროზე" წააგო ჩემპიონთა ლიგაზე შემთხვევით მოხვედრილ „ტრაბზონსპორთან" - 0:1. იტალიელთა ბედად, მათმა სხვა კონკურენტებმა, „ლილმა" და ცსკა-მ ფრე ითამაშეს. 76-ე წუთზე თურქთა გამარჯვების გოლი **ონდრეი ჩელუსტკამ** გაიტანა. მოსკოვის ცსკა კი **სეიდუ დუმბიას** უნდა უმადლოდეს ქულას - მან 0:2-ზე დუბლი შეასრულა და „ლილს" ორი ქულა დააკარგვინა.

სხვა თამაშებიდან აღვნიშნავთ მიუნხენის „ბაიერნის" იოლ გასეირნებას ესპანეთში, გერმანელებმა „ვილიარეალს" შანსი არ დაუტოვეს - 2:0. მანჩესტერში კი „სიტი" და „ნაპოლი" საბრძოლო ფრეზე გაიყარნენ - 1:1. „იუნაიტედი" პორტუგალიას ეწვია და ანალოგიური ანგარიშით „ბენფიკას" დაუზავდა. მადრიდის „რეალმა" კი **ანხელ დი მარიას** გოლის წყალობით მოიგო ზაგრებში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### A ჯგუფი

**მანჩესტერ სითი–ნაპოლი 1:1**

**მანჩესტერ სიტი (4-3-3):** ჰარტი - კომპანი, საბალეტა, ლესკოტი, კოლაროვი (75. კლიში) - ბერი, ნასრი (76. ჯონსონი), ი. ტურე - ჯეკო (81. ტევესი), აგუერო, სილვა.

**ნაპოლი (4-4-2):** დე სანკტისი - არონიკა, კამპანარო, კანავარო, მაჯო - ჰამშიკი (89. სანტანა), სუნიგა, გარგანო, ინლერი - კავანი (83. პანდევი), ლავეცი (57. ძემალი).

**გოლები:** 0:1 კავანი (69), 1:1 კოლაროვი (75)

**გაფრთხილება:** საბალეტა - მაჯო, კანავარო, არონიკა, ინლერი

**კუთხური:** 9-8; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 20-10 (12-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 44 026

**ვილიარეალი–ბაიერნი 0:2**

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - გასპარი, მუსაჩიო, მარჩენა, საპატა - კატალა, დე გუზმანი (72. კამუნიასი), სენა (46. კანი), ბრუნო - ნილმარი (58. რუბენი), როსი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი (22. რაფინია), ვან ბუიტენი, ბადშტუბერი - შვაინშტაიგერი, ტიმოშჩუკი - რიბერი, კროოსი (80. გუსტავო), მიულერი - გომესი (46. პეტერსენი).

**გოლები:** 0:1 კროოსი (7), 0:2 რაფინია (76)

**გაფრთხილება:** მარჩენა - ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 15-23; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 4-12 (2-9); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 19 168

### B ჯგუფი

**ლილი–ცსკა 2:2**

**ლილი (4-2-3-1):** ლანდრო - როზენალი, ბერია, ბაშა, დებიუში - ბალმონი, ობრანიაკი (76. კოული) - აზარი, პედრეტი (76. გიე), მავუბა - სოვი (86. როდელინი).

**ცსკა (4-4-2):** გაბულოვი - იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ნაბაბკინი, ვ. ბერეზუცკი - ძაგოევი, ცაუნია (66. სეკუ), ტოშიჩი, ალდონინი (80. მამაევი) - დუმბია (90. შემბერასი), ვაგნერ ლავი.

**გოლები:** 1:0 სოვი (45), 2:0 პედრეტი (57), 2:1 დუმბია (72), 2:2 დუმბია (90)

**გაფრთხილება:** ბაშა, აზარი, პედრეტი - ნაბაბკინი, ძაგოევი

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 21-8 (12-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 15 274

**ინტერი–ტრაბზონი 0:1**

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი - ძანეტი, ლუსიო, რანოკია, ჯონათანი - ნაგატომო, სნეიდერი, კამბიასო, ობი (55. ალვარესი) - პაცინი (55. მილიტო), სარატე (77. კოუტინიო).

**ტრაბზონი (5-3-2):** თოლგა - ჩეხი, გლავაცკი, კაჩარი, ჩელუსტკა, სერკანი - ზოკორა, კოლმენი, ალანზინიო (64. საპარა) - ჰალილ ალთინთოპი (87. აკგუნი), პაულო ენრიკე (74. ვიტეკი).

**გოლი:** 0:1 ჩელუსტკა (76)

**გაფრთხილება:** ნაგამოტო, სარატე - კაჩარი, ალანზინიო, ალთინთოპი, ჩეხი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 12-5 (6-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 24 444

### C ჯგუფი

**ბაზელი–ოცელული 2:1**

**ბაზელი (4-4-2):** ზომერი - პარკი, დრაგოვიჩი, აბრაამი, შტაინჰოფერი - ჰუგელი, ფ. ფრაი (90. პაკი), კაბრალი, ჩაკა (78. ზუა დაოგარი) - შტრელერი, ა. ფრაი (90. კოვაჩი).

**ოცელული (5-4-1):** გრაჰოვაცი - რაპა, ანტალი, ილიე (89. ფრუნზა), კოსტინი, სალაგეანუ - პერენდია, ფილიპი (86. ვილიანტი), იბე, გიურგიუ - პენა (70. პარასკივი).

**გოლები:** 1:0 ფ. ფრაი (39), 1:1 პენა (58), 2:1 ა. ფრაი (84-პენ)

**გაფრთხილება:** შტრელერი, ჰუგელი - რაპა, ანტალი, გრაჰოვაცი

**გაძევება:** სალაგეანუ (83), ჰუგელი (87)

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 6-11 (4-6); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 30 126

**ბენფიკა–მანჩესტერ იუნაიტედი 1:1**

**ბენფიკა (4-4-2):** არტური - ემერსონი, ლუიზაო, მ. პერეირა, გარაი - გარსია, აიმარი (75. მატიჩი), გაიტანი (90. სეზარი), ვიტსელი - ამორიმი (56. ნოლიტო), კარდოსო.

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-2-3-1):** ლინდეგაარდი - ფაბიო (78. ჯონსი), ევანსი, სმოლინგი, ევრა - პარკი, კერიკი - გიგზი, ფლეტჩერი (69. ერნანდესი), ვალენსია (69. ნანი) - რუნი.

**გოლები:** 1:0 კარდოსო (24), 1:1 გიგზი (42)

**გაფრთხილება:** აიმარი, პერეირა, გაიტანი - რუნი, კერიკი

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 13-8; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15-5 (7-3); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 59 671

### D ჯგუფი

**დინამო (ზ)–რეალი 0:1**

**დინამო (4-5-1):** კელავა - იბანიესი, ტომეჩაკი, ტონელი, ვიდა - კალელიო (86. შიტუმი), ლეკო, სამირი, ბადელი, კოვაჩიჩი (62. პოკრივაცი) - რუკავინა (75. ბეჩირაი).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, რ. კარვალიო, მარსელო - კოენტრაო, ჩაბი ალონსო - რონალდო, იოზილი (77. იგუაინი), დი მარია (77. დიარა) - ბენზემა (81. არბელოა).

**გოლი:** 0:1 დი მარია (53)

**გაფრთხილება:** ლეკო, პოკრივაცი - მარსელო, პეპე

**გაძევება:** მარსელო (73)

**კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 9-20 (2-12); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 27 055

**აიაქსი–ლიონი 0:0**

**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი - ვან დერ ვილი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, ბოილესენი - ერიქსენი, დე იონგი, იანსენი (70. ანიტა) - სულეიმანი (86. ებესილიო), სიგტორსონი (81. ბულიკინი), ბოერიგტერი.

**ლიონი (4-4-2):** ლორისი - რევეიერი, კონე, ლოვრენი, სისოხო - კალსტრიომი, გრენიე, გონალონსი, ბაშტოში - გომისი (85. ბელფოდილი), ბრიანი (90. ფოფანა).

**გაფრთხილება:** კალსტრიომი, ლოვრენი, გომისი

**კუთხური:** 10-7; **ჯარიმა:** 7-8; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-13 (4-2); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 49 504

● ლაციო

# კალჩოს ახალი ვარსკვლავი

## ამბიციური მიზნებით

**ჯიბრილ სისე** შესანიშნავად მოერგო ახალ გარემოს და მოკლე დროში "ლაციოს" გულშემატკივართა კერპად იქცა. როდესაც დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ **კლაუდიო ლოტიტო** ფრანგი ფორვარდის შეძენას აპირებდა, ბევრმა გააკრიტიკა კიდეც "ბიანკოჩელესტეს' პრეზიდენტი, რადგან სისე უკვე დიდი ხანია ჩამოშორებულია ევროპული ფეხბურთის ელიტას. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მოუწონეს ლოტიტოს გადაწყვეტილება და ჯიბრილზე დიდი იმედებიც დაამყარეს. ჯერჯერობით, სწორედ ამ უმცირესობის პროგნოზი მართლდება – აფრიკული წარმოშობის ფრანგი თავდამსხმელი იმ შეხვედრებშიც საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, რომლებშიც "ლაციომ" დადებით შედეგს ვერ მიაღწია, ასეთი კი სულ ორი იყო, ისიც საკონტროლო შეხვედრები და დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებთ.

სერია A-ს მეორე ტურში, რომელიც ჩემპიონატის გამხსნელი გახლდათ, "ლაციომ" "მილანს" გასვლაზე აართვა ქულა და ამაში ლომის წილი სწორედ სისემ დაიდო. მეტად ეფექტური გოლი გაიტანა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტი პრობლემა შეუქმნა "როსონერის" მცველებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ იტალიელმა ჟურნალისტებმა სისე ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. ბუნებრივია, ჯიბრილის მიმართ აპენინელი ჟურნალისტები დიდ ინტერესს გამოხატავენ – ფრანგი ფორვარდი საკმაოდ საინტერესოდ საუბრობს მისთვის ახალ გარემოზე, კლუბში არსებულ ვითარებაზე და სხვა მრავალზე. ასე რომ, სიტყვას სწორედ ჯიბრილ სისეს გადავცემთ.

## მილანი-ლაციო

მილანელებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ, რაც გასულ სეზონში ნათლად გამოჩნდა. მხოლოდ იმის გახსენებაც კმარა, რომ **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია და ამ სეზონშიც სკუდეტოს მოპოვების მთავარ ფავორიტად ითვლება. მიუხედავად ამისა, ჩვენ დამაჯერებლად წარვმართეთ თამაში და ძალიან საჭირო ქულა მოვიპოვეთ. რაც შეეხება ჩემს წარმატებულ ასპარეზობას, ნამდვილად არ გამკვირვებია, რადგან თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, არც ფიზიკურ მომზადებას ვუჩივი და არც მოტივაციას. იტალიაში გადმობარგება ჩემთვის ახალი ცხოვრების დასაწყისია, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ფეხბურთის თამაში ახალი დაწყებული მაქვს და ყველას უნდა დავუმტკიცო, რომ უმაღლეს დონეზე თამაში ძალმიძს. უკვე მივხვდი, რომ აპენინებზე თავის გამოსაჩენად გაცილებით უფრო მაღალ დონეზე ასპარეზობაა საჭირო, ვიდრე საბერძნეთში, ან თუნდაც საფრანგეთში – ასე რომ, გაორმაგებული ენერგიით ვვარჯიშობ და მჯერა, რომ ეს სასურველ შედეგს მომცემს.

## მიზნები

ძალიან მინდა, რომ "ლაციომ" სკუდეტოსთვის იბრძოლოს, თუმცა დღეს ამაზე საუბარი ნაადრევი მგონია. მხოლოდ ერთი ტური გაიმართა და ბუნებრივია, გუნდებმა ჯერ კიდევ უნდა აჩვენონ რეალური ძალა. რაც უნდა მოხდეს, ჩვენი ვალია, რომ არ გავტყდეთ და თითოეულ მატჩში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ. ისე კი, ჩემი ღრმა რწმენით, არავიზე ნაკლები შემადგენლობა არ გვყავს და თავისუფლად შეგვიძლია გავუწიოთ კონკურენცია "მილანს", "ინტერს", "იუვენტუსს" და "რომას". ბევრისთვის ეს ფანტასტიკის სფეროა, მაგრამ მე ასე ნამდვილად არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, **მიროსლავ კლოზეს** სახით, "ლაციოს" სულაც თანამედროვეობის საუკეთესო ფორვარდი ჰყავს.



ჯიბრილ სისე

## ლაციო-ჯენოა

მომდევნო ტურში "ჯენოასთან" გვიწევს დაპირისპირება და თითოეული ჩვენგანი ამ მატჩზე ვართ კონცენტრირებულნი. გენუელთა დამარცხება კიდევ უფრო გააღრმავებს ჩვენში იმის რწმენას, რომ უკვე ამავე სეზონში შეგვიძლია მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა. მართალია, "ჯენოა" იტალიური ფეხბურთის გრანდებს არ მიეკუთვნება, მაგრამ ისტორიული გუნდია, საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით და მათი დამარცხება, წესით, იოლი არ უნდა იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში, სამი ქულის მოსაპოვებლად ყველაფერი უნდა ვილონოთ – ეს იქნება ჩვენი პირველი საშინაო შეხვედრა ოლიმპიკოზე და დიდი იმედი მაქვს, რომ გულშემატკივრები მხურვალედ დაგვიჭერენ მხარს.

## ედუარდო რეია

მსმენოდა, რომ იტალიაში ტაქტიკა ყველაზე მთავარია, თუმცა ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყოველ დღე ერთი საათი მაინც გვიწევს სწორედ ტაქტიკურ მონახაზზე თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. თითოეული ჩვენთაგანის წინაშე კონკრეტული ამოცანები დგას, რომელთა გადაჭრის შემთხვევაში, მწვრთნელისგან საქებარ სიტყვებს ვიღებთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სრულიად ახალ სამყაროში მოვხვდი, სადაც ფეხბურთი სულ სხვანაირად ესმით. მწვრთნელი შეიძლება კმაყოფილი დარჩეს მარცხის შემდეგ, თუ მის დავალებებს კარგად შეასრულებ. ამ შემთხვევაში კონკრეტულად **ედი რეიაზე** არ მაქვს საუბარი, უბრალოდ ამის შესახებ თანაგუნდელებმა მითხრეს. შეიძლება თუ არა წააგო, როდესაც მწვრთნელის დავალებას კარგად შეასრულებ? – რა თქმა უნდა, ეს ხომ ფეხბურთია, ყველაზე ალოგიკური თამაში დედამიწაზე.

რეიას თავისი ხელწერა აქვს, რა ტაქტიკური მონახაზიც არ უნდა აირჩიოს, მუდმივად ერთი და იმავეს გვიმეორებს – ვაკონტროლოთ ჩვენი ზონა და ვეცადოთ, რომ კონკრეტულ მონაკვეთში ბურთი მეტოქეს არ დავანებოთ. ასეთი სტრატეგიით "ლაციომ" გასულ სეზონში საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა და ვგონებ, კიდევ უკეთესი წინ გველის.

## მიროსლავ კლოზე

უნდა ნახოთ, როგორი მონდომებით ვარჯიშობს კლოზე და როგორ ასრულებს მწვრთნელის დავალებებს – ზემოთაც აღვნიშნე, რომ ჩემი აზრით, მირო საუკეთესო თავდამსხმელია მსოფლიოში და ეს მიუხედავად იმისა, რომ კარიერის საუკეთესო წლები უკან მოიტოვა. ამდენი წელია უმაღლეს დონეზე ასპარეზობს და თითოულ ვარჯიშზე ბოლომდე იხარჯება. ამასთან, დიდებული პიროვნებაა, იმდენად უშუალო, რომ მასთან საუბარში ვერაფრით წარმოიდგენ, რა დონის მოთამაშესთან გაქვს ურთიერთობა. ჩემთვის დიდი პატივია კლოზეს მხარდამხარ თამაში და დიდი იმედი მაქვს, რომ ერთად "ლაციოს" დიდ წარმატებებს მოვუტანთ.

**ლაშა ნიკლაური**

● ფიორენტინა

# ჯილარდინოს ახალი კონტრაქტი

"გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უახლოეს დღეებში "ფიორენტინას" მესვეურები **ალბერტო ჯილარდინოსთან** ახალ ხელშეკრულებას გააფორმებენ, რომელიც სამ წელზე იქნება გათვლილი და ამით ყველანაირ სპეკულაციას მოეღება ბოლო, რომელიც მის სხვა გუნდში შესაძლო გადაბარგებასთან არის დაკავშირებული. ერთი ხანობა, "ფიორენტინას" მესვეურებსა და ფეხბურთელს შორის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, ჯილას მომავალი კი "ჯენოას" დაუკავშირეს, თუმცა ბოლო ცნობებით, მხარეები კომპრომისზე წავიდნენ და ყველაფერი მოგვარდა. ამასთან დაკავშირებით კომენტარი "ვიოლას" სპორტულმა დირექტორმა **პანტელეო კორვინომ** გააკეთა:

*"ჯილარდინო გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მასთან განშორება აზრადაც არ მოგვსვლია. იყო გარკვეული სირთულეები მოლაპარაკებების დროს, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა და უახლოეს დღეებში, ხელშეკრულებას გავაფორმებთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ასეც მოხდებოდა, რადგან შეთანხმების მიღწევით ორივე მხარე დაინტერესებული იყო. ალბერტო სიმბოლოა ჩვენი გუნდის და მართალია ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, მაგრამ კარიერა სწორედ "ვიოლაში" უნდა დაასრულოს".*

თავად ჯილარდინომაც კმაყოფილება გამოთქვა მიღწეული შეთანხმებით და დასძინა, "ფიორენტინადან" აბარგება ჩემს ინტერესებში არ შედისო. ჯერჯერობით არ ხმაურდება ხელშეკრულების ფინანსური დეტალები, მაგრამ ალბათ ფლორენციული გუნდის გულშემატკივრებისთვის ეს ნაკლებად საინტერესოა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ჯილას გადაბირება ამ ზაფხულს „ჯენოას" პრეზიდენტმა დაისახა მიზნად და როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ფლორენციელ კოლეგასთან შეთანხმებასაც მიაღწია, რომლის თანახმად, ალბერტომ იანვარში "ჯენოას" უნდა მიაშუროს, თუმცა როგორც გამოჩნდა, რეალობა სხვაგვარი ყოფილა. ძნელი სათქმელია, რაში დასჭირდა **ენრიკო პრეციოზის** ცრუ ინფორმაციის გავრცელება.

**ლაშა ნიკლაური**



lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჭანგავაძე ინვერკარგილიდან

● რაგბი. მსოფლიოს თასი

# გულნატკენები ვართ, მაგრამ – ამაყები

**საქართველო 6:15 შოტლანდია**

საქართველო: (15-9) გიგაური, მაჩხანელი, კაჭარავა, ზიბზიბაძე, თოდუა (ურჯუკაშვილი 65), კვირიკაშვილი, აბუსერიძე. (1-8) ხინჩაგიშვილი, ბრეგვაძე (გიორგაძე 62), ზირაქაშვილი (ქუბრიაშვილი 53), დათუნაშვილი, მაისურაძე (ჩხაიძე 48), სუთიაშვილი, გორგოძე, ბასილაია (კოლელიშვილი 62).
2ს: კვირიკაშვილი
შოტლანდია: (15-9) რ.ლამონტი (პატერსონი 70), ევანსი, დე ლუკა, მორისონი, შ.ლამონტი, პარქსი, ლაუსონი. (1-8) იაკობსენი, ფორდი, მურეი, ჰაინსი (გრეი 70), ჰამილტონი, სტროკოში, რენი, ბრაუნი.
4ს,ა: პარქსი
მსაჯი: ჯორჯ კლენსი (ირლანდია)

შოტლანდიის ნაკრებთან თამაშის წინა დღეს „ბორჯღალოსნებმა“ საქართველოს პრეზიდენტის წერილი მიიღეს, რომელიც მათ რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** გააცნო. ცხადია, ქვეყნის პირველი პირი გუნდს თანადგომას უცხადებდა და მთლიანობაში საკმაოდ თბილი, ემოციური მიმართვა გამოუვიდა.

მერე სავახშმოდ გამზადებულ გუნდს ორი ვიდეო მიმართვა უჩვენეს. დიდგორის ველიდან ბასიანის გუნდის გალობის თანხლებით, საქართველოს ნაკრებს ბიზნესმენმა **ლევან ვასაძემ** მიმართა, ყოველივე ამის გვირგვინი კი საქართველოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის **ილია მეორის** დალოცვა იყო.

საღამო ძალიან ემოციური გამოდგა, ბიჭები ისედაც საბრძოლველად სრულ მზადყოფნაში იყვნენ, ნანახმა და გაგონილმა კი მათი ბრძოლის ჟინი კიდევ უფრო გაამძაფრა.

საქართველოს ნაკრები ინვერქარგილში 11 სექტემბერს ჩავიდა. მას შემდეგ ამ ქალაქს არაფერი ეტყობოდა საიმისო, რომ აქ რაიმე სერიოზული ღონისძიება ტარდება, თუმცა თამაშის დღეს ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. დილიდან ინვერქარგილის ქუჩებში, სასტუმროებსა და კაფე-ბარებში შოტლანდიელი ქომაგები გამოჩდნენ. აქა-იქ ქართული დროშებიც ფრიალებდა. ძირითადად ინგლისელები და არგენტინელები აპირებდნენ „ბორჯღალოსნების“ ქომაგობას. ძალიან უნდოდათ, ქართველებს მათი კონკურენტი შოტლანდია დაემარცხებინათ.

ეს ქართველ მორაგბეებსაც ძალიან სურდათ, საამისოდ დიდხანს ემზადებოდნენ, მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, მაგრამ არ გამოვიდა.

თამაშის წინ ყველა ერთხმად ამბობდა, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შერკინება ჰყავს და თუ **ენდი რობინსონმა** და მისმა ბიჭებმა მისი განეიტრალება ვერ შეძლეს, საქმე ცუდად წაუვათ. „სკოტებმა“ ჩვენს შერკინებას თავისი საუკეთესო თვისებების გამოვლენის საშუალება არ მისცეს, რაც საბოლოოდ გამარჯვების საწინდარად იქცა. „ნარშავების“ თავკაცმა ენდი რობინსონმა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე თქვა:

„ბიჭებმა დავალება შესანიშნავად შეასრულეს. ჩვენ შევძელით ქართველების შერკინების განეიტრალება, მეტიც, მათზე ვდომინირებდით კიდეც, სწორედ ამიტომ გავიმარჯვეთ“.

არადა, თამაშის საწყისი ათი წუთი ჩვენი ნაკრების უპირატესობით წარიმართა. მეხუთე წუთზე მორკინალებმა საკმაოდ სახიფათოდ შეუტიეს, 22-მეტრიან ზონაში შეაღწიეს და აილე-მიეძალეს ხერხით წინ იმდენად წაიწიეს, რომ ლელომდე ათიოდ მეტრილა ჰქონდათ დარჩენილი. ცხრა ნომერმა **ირაკლი აბუსერიძემ** რაკიდან ბურთი უკან მგეზავ **მერაბ კვირიკაშვილს** მიაწოდა, რომელმაც კარის დალაშქვრა 20 მეტრიდან სცადა, მაგრამ უშედეგოდ.


სკოტების შეტევა






როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

## რაგბი

მეორე, საკმაოდ კარგი იერიშის ინიციატორი რვა ნომერი **დიმა ბასილაია** იყო. შერკინება შოტლანდიელთა ნახევარზე ათმეტრიან ხაზთან ახლოს დაიწყო. ... ნიშნა ჩვენს სასარგებლოდ. ბასილაიამ ბურთი სწრაფად გამოიტანა და მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე შეუტია, მერე იქვე მიმყოლ გარემარბ **ალექსანდრე თოდუას** გაატანა, რომელიც შოტლანდიელებმა ლელოდან 10 მეტრში შეაჩერეს.

„სკოტებმა“ რამდენჯერმე სცადეს მწყობრი იერიშის წამოწყება, მაგრამ „ბორჯღალოსანთა“ გადაულახავ დაცვის კედელს წააწყდნენ. ანგარიში მე-17 წუთზე გაიხსნა. საქართველოს ნაკრების მგეზავმა მერაბ კვირიკაშვილმა ერთი შეხედვით ავანტიურული გადაწყვეტილება მიიღო. არბიტრმა შოტლანდიელები რაკში ბურთის შეყოვნებისთვის დააჯარიმა ჩვენი მოედნის ნახევარზე. კარამდე 53 მეტრი იყო. „მეკომ“ დარტყმა გადაწყვიტა და არც შემცდარა. ბურთმა ზუსტად ძელებს შორის გაიარა – 3:0.

„სკოტებს“ ანგარიშის გათანაბრების საშუალება სამ წუთში მიეცათ, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მათმა მგეზავმა, **დენ პარქსმა** საკმაოდ არახელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

ალსანიშნავია, რომ პარქსმა კიდევ ორი საჯარიმოს გატანა ვერ შეძლო, არადა, საბოლოოდ გამარჯვებას „ნარშავებმა“ სწორედ მისი დარტყმების წყალობით მიაღწიეს. ჩვენი გუნდისთვის საკმაოდ შემაშფოთებელი სტატისტიკაა. „ბორჯღალოსნები“ მატჩში სულ თვრამეტჯერ დაჯარიმდნენ, აქედან შოტლანდიელებმა კარში შვიდი დაარტყეს და მხოლოდ ოთხი გაიტანეს.

პარქსმა ანგარიშის გათანაბრება 23-ე წუთზე მაინც მოახერხა. ამ დროისთვის სათამაშო უპირატესობას უკვე შოტლანდიელები ფლობდნენ – 3:3. გადამწყვეტი მატჩში, როგორც მოგვიანებით გაირკვა, პირველი ტაიმის ბოლო ათი წუთი აღმოჩნდა. 33-ე წუთზე, როცა „სკოტებმა“ ქართველთა გაუვალ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს, დენ პარქსმა არეკნი დაჰკრა და გაიტანა, ხუთ წუთში მანვე 26 მეტრიდან საჯარიმოც მიითვალა - 9:3, ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ 29 წუთი ისე მიილია, რომ გუნდებმა მონაგრის გაზრდა ვერაფრით შეძლეს. ამ დროისთვის კი ისევ პარქსმა იყოჩაღა და საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა ცხრამდე გაზარდა. „მეკომ“ საპასუხოდ საჯარიმო ზუსტად ერთ წუთში დაარტყა 39 მეტრიდან და გაიტანა – 6:12.

თამაშის დასრულებამდე 10 წუთი რჩებოდა. ცხადია, ამ დროის განმავლობაში 6-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა სულაც არ არის აუხდენელი ოცნება, მაგრამ „სკოტებმა“ ყველაფერი იღონეს, რათა გამარჯვება ხელიდან არ გაეშვათ. თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კი პარქსმა ანგარიშში სხვაობა ისევ გაზარდა – 15:6.

თამაშის მიწურულს სალელოვე შეტევის განხორციელების შანსი მოგვეცა, მაგრამ მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დერეფანში ბურთი უხეიროდ მოვაწოდეთ და შეტევა ჩაიშალა.

შოტლანდიელებს გამარჯვებით გამოწვეული სიხარული რატომღაც არ გამოუხატავთ, სამაგიეროდ, ქართველი მორაგბეები ჩანდნენ საკმაოდ დამწუხრებულნი.

### მატჩის შემდეგ

**ილია ზედგინიძე:**

„ბიჭებმა ძალიან მოინდომეს, მაგრამ მეტოქე ძლიერი გვყავდა და რთული თამაში გამოვიდა. სამწუხაროდ, ბევრი შეცდომა დავუშვით, რის გამოც რამდენჯერმე უაზროდ დავჯარიმდით და მეტოქეს ქულების დაგროვების საშუალება მივეცით.

სწორედ ეს მიმაჩნია ჩვენი ნაკრების დამარცხების მთავარ მიზეზად. უდისციპლინობითა და თვითკონტროლის დაკარგვით თავად დავისაჯეთ საკუთარი თავი.

ვფიქრობ, მსოფლიოს რაგბიში დიდ და პატარა გუნდებს შორის კლასში სხვაობა სულ უფრო მცირდება. ჩვენც ვიზრდებით, მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და უკეთესი შედეგისთვის უნდა ვიბრძოლოთ“.

**რეზო გიგაური:**

„ოფიციალურ მატჩში პირველად ვითამაშე ფულბეკად. თავიდან ცოტას კი ვნერვიულობდი, მაგრამ მაინც ყველანაირად მობილიზებული ვიყავი, ვცდილობდი გუნდი არ დამელალატებინა. ვფიქრობ, რომ ცუდად არ მითამაშია.

რაც შეეხება მთლიანად გუნდის გარჯას, ბიჭებს მადლობა მინდა გადავუხადო. ვეცადეთ ქართველი ქომაგები გაგვეხარებინა, მაგრამ დავმარცხდით. სპორტში ასეა, ხან მოიგებ, ხან წააგებ. იმედი მაქვს, მომავალში უფრო კარგად ვითამაშებთ და გულშემატკივარსაც გავახარებთ“.

**დიმიტრი ბასილაია:**

„დაძაბული თამაში იყო. კმაყოფილები ვართო, როგორ უნდა ვთქვათ – წავაგეთ, მაგრამ ფაქტია, მეტოქემ ლელო ვერ გაგვიტანა“

**ირაკლი აბუსერიძე:**

„ვიცოდით, რომ ძალიან ძნელი თამაში გველოდა. ბევრი პოზიტიური იყო ჩვენს თამაშში, თუმცა შეცდომებიც ბლომად დავუშვით. ხშირად ვჯარიმდებოდით, რაც მეტოქემ კარგად გამოიყენა“.

**ჯაბა ბრეგვაძე:**

„გულნატკენები ვართ, მაგრამ - ამაყები“

**რიჩი დიქსონი:**

„დაცვაში გუნდმა კარგად ითამაშა, ცხადია, იყო შეცდომებიც. მაგრამ მე ყველაზე მეტად ის მაღელვებს, რომ შეტევის ორგანიზებას ვერ ვახერხებდით. ვეცდებით, ინგლისთან მატჩამდე ამ პრობლემაზე ვიმუშაოთ და ხარვეზი გამოვასწოროთ.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. შოტლანდია – 9 ქულა, 2. ინგლისი – 4, 3. არგენტინა -1, 4. საქართველო – 0, 5. რუმინეთი - 0

#### A ჯგუფი

კანადა-ტონგა 25:20

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ახალი ზელანდია – 5 ქულა, 2. საფრანგეთი – 5, 3. კანადა – 4, 4. ტონგა – 1, 5. იაპონია - 0

#### D ჯგუფი

სამოა-ნამიბია 49:12

#### სატურნირო მდგომარეობა

1. სამოა – 5 ქულა, 2. ფიჯი – 5, 3. სამხრეთ აფრიკა – 4, 4. უელსი – 1, 5. ნამიბია - 0




## ქართული სპორტი

### იუბილარი


გენო ყაზარაშვილი

# ძველი ფალავანი დააფასეს

გორში ფალავნების დაფასება რომ კარგად იციან, ცნობილი ამბავია. გუშინწინ ქართული ჭიდაობის ფალავანთა ძველი თაობის ერთ-ერთ წარმომადგენელს **გენო ყაზარაშვილს** 80 წელი შეუსრულდა და იუბილეს, **გურამ პაპიტაშვილის** მონდომებით, „საჭიდაოსა“ და მოჭიდავეთა პაექრობის გარეშე არ ჩაუვლია. ყაზარაშვილი 40-50 –იან წლებში ასპარეზობდა გორისა და საქართველოს სხვარეგიონების ნახერხმოყრილ სარბიელზე. **ილო ალაზნელი** თავის წიგნში „შესართაველი ფალავანები“ ყაზარაშვილის მიერ 1951 წელს ერთ-ერთ რესპუბლიკურ პირველობაზე რვა შეხვედრის სულ რაღაც 10-11 წუთში წმინდად მოგებაზე აღტაცებით წერს. დაჯილდოებისას ქართული სპორტის ერთ-ერთ მესვეურს **ანდრო ზამბახიძეს** ყაზარაშვილისთვის უთქვამს: *„რა ხარ ასეთი, შენი ჭიდაობის რიგიანად ნახვას ერთხელ ვერ ველირსე, არ შეგიძლია ცოტა დიდხანს გაჩერდე არენაზე?“.*

იუბილარისადმი მიძღვნილი ტურნირი გორელ ჭაბუკ და ახალგაზრდა სპორტსმენთა მონაწილეობით გაიმართა სამ წონით კატეგორიაში. პირველი ადგილები მოიპოვეს **ნოდარ რაზმაძემ** (60 კგ), **ვანო თოთლაძემ** (70 კგ) და **გიგა მიქუტაშვილმა** (80 კგ). სამივეს პრიზები თავად იუბილარმა გადასცა.

გორის სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან სამახსოვრო საჩუქრები თვით იუბილარმაც მიიღო.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
*დავით ასპანიძის ფოტო*

### სუმო. აკი ბაშო. 11-25 სექტემბერი

# აბა, მივაწვეთ ქართველებო!



აკი ბაშო ჩვენთვის ჩინებულად გრძელდება - ზედიზედ ორი დღეა, რაც ქართული ტრიო მხოლოდ იგებს ტოკიოს დოჰიოზე. განსაკუთრებით აღვნიშნავთ **კოკაის (ლევან გორგაძე)** წარმატებას - ელიტაში დაბრუნებული ფალავანი ჯერაც დაუმარცხებელია სექტემბრის ბაშოზე და ლიდერთა ხუთეულშია. „შავმა ზღვამ“ **ტაამასუკას** მავაში მოიგდო ხელთ და იოლად გაიყვანა მეტოქე რკალიდან. 4-0 - ასეთია ჩვენებურის ბალანსი, დღეს მას მე-13 მაეგაშირა **იოშიაზუმა** დაეჭიდება.

მოიგო მე-4 მაეგაშირა **ტოჩინოშინმაც (ლევან გორგაძე)**. მან **ვაკაკოიუს** აჯობა და ივლისის ბაშოზე მარცხისთვის შური იძია. იაპონელმა ორი ხელით მოიცილა ქართველი, მაგრამ ტოჩინოშინმა შეინარჩუნა წონასწორობა, შეტევაზე გადავიდა და მეტოქეს მიაწვა, სანამ ეს უკანასკნელი ხაზს იქით არ გავიდა. ლევანს 3-1 ბალანსი აქვს და დღეს მე-5 მაეგაშირა გოეიდოს ხვდება. 199-კილოგრამიანმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** 197-სანტიმეტრიან იოშიაზუმას აჯობა, მას შემდეგ, რაც ყელში ხელი წაუჭირა და მთელი მასით მიაწვა. გაგამარუსაც 3-1 ბალანსი აქვს და დღეს ელიტის ვეტერანს (37 წლის) **კიოკუტენჰოს** შეეჯიბრება.

გუშინ ოძეკი **ჰარუმაფუჯიმ** მეორე მარცხი იგემა და პრაქტიკულად მოისპო შანსი, გახდეს დიდი ჩემპიონი.

#### IV დღე

ჰაკუჰო-ვაკანოსატო (იორიკირი), ჰომაშო-ჰარუმაფუჯი (ოშიტაოში), ბარუტო-ოკინოუმი (ოშიდაში), კოტოოშუ-იოშიკაძე (ცუკიტაოში), კოტოშოგიკუ-ტაკეკაძე (კოტენაგე), კისენოსატო-არანი (ცუკიდაში), კაკურიუ-ტოიონოშიმა (ოშიტაოში), ტოჩიოძანი-გოეიდო (იორიკირი), ტოკიტენკუ-ტაკაიასუ (სუსოჰარაი), **ტოჩინოშინი**-ვაკაკოიუ (ოშიდაში), მიაბიამა-ტოიოჰიბიკი (ოშიდაში), ტოჩინოვაკა-მასუნოიამა (ოშიტაოში), კაისეი-ფუჯიაზუმა (იორიკირი), კიტატაიკი-საგაცუკასა (ოშიდაში), კიოკუტენჰო-ტამავაში (იორიკირი), **გაგამარუ**-იოშიაზუმა (ოშიდაში), ასასეკირიუ-ტაკანოიამა (ოკურიჰიკიოტოში), დაიდო-ამინიშიკი (კოტენაგე), შოტენრო-კიმურაიამა (ოშიდაში), **კოკაი**-ტამაასუკა (იორიტაოში), ჰოჩიამა-ტოსაიუტაკა (იორიკირი).

#### სატურნირო მდგომარეობა

4-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), კისენოსატო (სეკივაკე), კიოკუტენჰო (მაეგაშირა 10), **კოკაი** (მ 15)... **3-1: ტოჩინოშინი** (მ 4), **გაგამარუ** (მ 11).

#### V დღე

ჰაკუჰო-იოშიკაძე, ბარუტო-ტოიონოშიმა, კოტოოშუ-ვაკანოსატო, ჰარუმაფუჯი-ტაკეკაძე, კისენოსატო-ოკინოუმი, კაკურიუ-არანი, კოტოშოგიკუ-ჰომაშო, ტოჩიოძანი-ტაკაიასუ, **ტოჩინოშინი**-გოეიდო, ტოკიტენკუ-ვაკაკოიუ, მიაბიამა-ფუჯიაზუმა, ტოჩინოვაკა-საგაცუკასა, კაისეი-ტოიოჰიბიკი, მასუნოიამა-ტამავაში, **გაგამარუ**-კიოკუტენჰო, კიტატაიკი-ამინიშიკი, ასასეკირიუ-კიმურაიამა, **კოკაი**-იოშიაზუმა, ტამაასუკა-ტაკანოიამა, ტოსაიუტაკა-შოტენრო, დაიდო-ჰოჩიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ქართული სპორტი

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს პირველობა

# მორიგი ალიყური კვირკველიასგან

## ვითომ, ვენესუელას გავუსწარით?

ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მანუჩარ კვირკველიამ** (74) სტამბოლში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მორიგი ალიყური გვაგემა - პირველ წრეში ფინელ **ჰენრი ესკოველიმაკის** ძირითად დროში კი მოუგო 4:0; 1;0, მაგრამ მეორე წრეში ხორვატ **ნევენ ზუგაისთან** დამატებითში წააგო. სამწუხაროდ, ტურნირი ორგანიზაციულად დიდად ვერ დაიკვეხნის - ჯერ მარტო გახსნის ცერემონიალი რას ჰგავდა, როცა ტრადიციული მოკლე, ეფექტური პროგრამის ნაცვლად ლამის კონცერტი შემოგვთავაზეს და დაახლოებით საათნახევრიანი ტაშ-ფანდურა გამართეს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მერე კი ტრანსლაცია, პრაქტიკულად, არ ხდება - წინასწარ შეხვედრებში მარტო საკუთარი ფალავნების ჭიდაობას აჩვენებენ, თითქოს სხვები არც არსებობენ. ვინაიდან გუშინ ვაჟთაგან 74-ის ფალავნები ასპარეზობდნენ, მათი ქალები კი ადრევე გავარდნენ, პრაქტიკულად, ოპერატორებმა მხოლოდ მომავალ ვიცე-ჩემპიონ **სელჯუკ ჩების** შეხვედრები გვანახეს. ამიტომ კვირკველიასა და ხორვატის ორთაბრძოლის პერიპეტიებს მხოლოდ ოქმიდან თუ ამოვკრიფავთ, ვიდრე ჩანაწერს მაინც გვალირსებენ. ოქმის მიხედვით დავადგინეთ, რომ ორთაბრძოლა ჩვენებურის უპირატესობით დაიწყო - პირველი პერიოდი 4:1 მოიგო, მაგრამ მერე მისი შემართება სადღაც გაქრა, ჯერ მეორე პერიოდი წააგო მინიმალური ანგარიშით, ბოლოს კი ვერც დამატებითში შეძლო მობილიზება, რომელიც 0:2 დათმო. კვირკველიას შემდეგ ხორვატმა კიდევ ერთი ტიტულოვანი ფალავანი ჩამოიცილა - ევროპის წლევანდელი აზერბაიჯანელი ჩემპიონი **რაფიგ ჰუსეინოვი**, რითაც ჩვენებურს სანუგეშო წრეში გადასვლის შანსი გაუხანგრძლივა, მაგრამ ნახევარფინალში ეს იმედიც ჩაკვდა, როცა ზუგაი მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან, რუს **რომან ვლასოვთან** დამარცხდა. ამდენად, დამამშვიდებელში ხორვატი გადავიდა, კვირკველია კი საბოლოოდ გამოეთიშა შეჯიბრებას.

ჩვენებური ნევენ ზუგაისთან შარშანაც დამარცხდა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რამაც მაშინ სპორტის მმართველთა სერიოზული გულისწყრომა გამოიწვია, ხორვატთან როგორ უნდა ვაგებდეთო. ალბათ, ეს კითხვა წლეულსაც აქტუალური იქნება, მასზე პასუხს კი დაინტერესებულნი ინტერნეტში იპოვიან, თუ მოიძიებენ ვიდეოს, როგორ ვარჯიშობენ ძმები ზუგაები. მგონი, ჩვენებს საერთოდ არ მოეპოვებათ მსგავსი არც ინვენტარი და არც სავარჯიშო სისტემა. შედეგად შარშან ერთი ძმა - **ნენად ზუგაი** მსოფლიოს ბრინჯაოს მფლობელი გახდა 84 კილოგრამში, ახლა კი ნევენმა მოიპოვა იმავე სინჯის მედალი.

ამდენად, ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა ერთი მედლით და ამდენივე ლიცენზიით დაასრულა, რაც 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გასული **მანუჩარ ცხადაიას** დამსახურებაა. მისი გამოსვლა ახლა კიდევ უფრო დასაფასებელი ჩანს. თან, როგორც ვიდეოჩანაწერებიდან ირკვევა, მან რამდენიმე შეხვედრა მართლაც მაღალ დონეზე ჩაატარა და საოლიმპიადოდ სოლიდური იმედებიც მოგვცა. ოღონდ ეგაა, ამ ტურნირზე 6 ორთაბრძოლის გამართვამ მოუწია და ფინალში ძალები არ ეყო.

თითო მედალი და ლიცენზია ძალზე ცოტაა ახლო წარსულში მსოფლიოს საუკეთესო გუნდისთვის და თუნდაც იმ ამბიციების გათვალისწინებით, რაც ჩვენი საჭიდაო ისტორიის პატრონებს ნებისმიერ ტურნირზე, უპირველესად კი მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიადის სადარ მასშტაბურ შეჯიბრებებზე გაგვაჩნია. ერთი ლიცენზიით სამშობლოში ვენესუელაც კი ბრუნდება და არა მგონია, ჩვენთვის დიდი შეღავათი იყოს, მათთან შედარებით მედალიც რომ მოვიპოვეთ. თან ამ ტურნირმა, ძიუდოისტებისა არ იყოს, საოლიმპიადოდ კარგი პერსპექტივა ვერ დაგვანახვა. იგი ერთგვარი ბარომეტრია ოლიმპიადისთვის - აქ ნაჩვენები სურათით უკვე შეიძლება მიახლოებით მსჯელობა იმაზე, რა შედეგით დავასრულებთ თამაშებს. მართალია, იქამდე ჯერ კიდევ მთელი წელიწადია, მაგრამ ეს არაა საკმარისი დრო საიმისოდ, რაღაც ახალი ვისწავლოთ, ეს დრო მხოლოდ აქამდე შესწავლილის დასახვეწად გამოგვადგება. როგორც წესი, დარჩენილ პერიოდში სერიოზულ პროგრესს მხოლოდ ერთეულები თუ განიცდიან, მართლაც ძლიერები, რომლებსაც ახლა ობიექტური მიზეზით მოეცარათ ხელი, თორემ სუსტებისთვის მაქსიმუმი ლიცენზიის მოპოვება იქნება. თუმცა ამჯერად ესეც გაძნელდება. ჩვენებს საგზურისთვის საბრძოლველად ორიოდე სალიცენზიო შეჯიბრება ისევ რჩებათ, მაგრამ ძალიან ბევრი ძლიერი მოჭიდავე დარჩა უსაგზუროდ. მაგალითად, **რევაზ ლაშხის** (მარცხის მიუხედავად, ის ოლიმპიადაზე მაინც ფავორიტად მიგვაჩნია) წონაში - 60 კილოგრამში ულიცენზიოდ დარჩნენ აზერბაიჯანელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ჰასან ალიევი**, სერბი ევროპის პრიზიორი **დავორ სტეპანეკი**, რუმინელი და ფინელი ევროპის ჩემპიონები - **ეუსებიო დიაკონუ** და **იარკკო ტაპანი ალა-ჰუიკკუ**, თურქი და პოლონელი ევროპის პრიზიორები - **მუსტაფა საგლამი** და **ედუარდ ბარსეგიანი**, 55-დან ამონაცვლებული უზბეკი მსოფლიოს ჩემპიონი **დილშოდ არიფოვი**, იაპონელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **რუიტარო მაცუმოტო**... ცხადია, ასეთ კომპანიაში ბრძოლა იოლი არ იქნება. მით უფრო, იქ მსაჯთა ფაქტორი და კულისებსმიღმა ბრძოლები კიდევ უფრო გამძაფრდება. სხვა წონებშიც ძალიან ბევრი ტიტულოვანი ფალავანი დარჩა უსაგზუროდ (მათ შორის უცხოელთა სახელით მოჭიდავე ქართველებიც - რუსთა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი **ამბაკო ვაჩაძე** (66), აზერბაიჯანელთა ევროპის პრიზიორი **შალვა გადაბაძე** (96) და ბელარუსთა ევროპის მძიმეწონოსანი მედალოსანი **ბესარიონ ჩუგოშვილი**). არადა, ჩვენი გუნდისგან ლიცენზიების სრულ კომპლექტს იმედოვნებდნენ.

წლევანდელი შედეგი შარშანდელ უმედლო გამოსვლას კი სჯობია, მაგრამ ცუდია, რომ ნაკრები ბოლო წლებში ერთი კაცის გუნდად იქცა ანუ თითო სპორტსმენის წარმატებაზეა დამყარებული. სამწუხაროდ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა უმთავრესი ტურნირებიდან სხვადასხვა სინჯის რამდენიმე მედალი მოგვქონდა. ახლა ჩვენი მთავარი საფიქრალი ისაა, როგორმე ვინმემ ერთი ჯილდო მაინც დაისაკუთროს.

თავად ტურნირს რაც შეეხება, ის მასპინძელთათვის ტრაგიკული ფინალით დასრულდა - ზემოხსენებულმა ჩებიმ, ვინაც მსოფლიოს ბოლო ორი პირველობა მოიგო, მესამე ფინალი წააგო. შარშან მან რუსეთში გაიმარჯვა, ახლა კი საკუთარ სახლში რუს ვლასოვთან დამარცხდა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ვლასოვი სახელოვანი **ალექსანდრ კარელინის** მწვრთნელ **ვლადიმერ კუზნეცოვის** აღზრდილია.

დღეს სტამბოლში მხოლოდ ქალები იჭიდავებენ, სადაც მონაწილე არ გვყავს, ხვალ კი მსოფლიოს პირველობაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან. იქ ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **შალვა მუზიაშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120).

**ირაკლი თავაძე**

● კალათბურთი. ინტერვიუ იგორ კოკოშკოვთან



# მეტი ყურადღება ახალგაზრდებს

**ყოველი პრესკონფერენციის შემდეგ რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დევიდ ბლატი მინიმუმ ნახევარ საათს ჟურნალისტებთან საინტერესო საუბარში ატარებდა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელ იგორ კოკოშკოვსაც არაერთი კორესპონდენტი აჩერებდა, მაგრამ ძირითადად ექსიუგოსლავიური ქვეყნებიდან და სერბულ ენაზე ლაპარაკობდა. ცხადია, კითხვებით ქართველებსაც არაერთხელ მიგვიმართავს, თუმცა ევრობასკეტის ბოლო დღეს პრესკონფერენცია რომ დასრულდა, იგორ კოკოშკოვს ვრცელი ინტერვიუ ჩამოვართვი. ვილაპარაკეთ, როგორც ლიტვაში გუნდის გამოსვლაზე, ნატურალიზებულთა თემაზე, ასევე საქართველოს ნაკრებში მის სამომავლო პერსპექტივებზე.**

**- როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრებმა ლიტვაში შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა?**

- ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდის მთავარი მიზანი ჯგუფიდან გასვლა იყო. პირველი ეტაპის ბარიერი დავძლიეთ რუსეთთან და სლოვენიასთან ერთად და საუკეთესო 12 გუნდს შორის მოვხვდით. ეს იმას ნიშნავს, რომ შედეგს, რასაც ჩვენგან ითხოვდნენ, მივაღწიეთ. როგორც ყველა მწვრთნელს, მეც ყოველთვის მეტზე ვფიქრობ და მიმაჩნია, რომ რაც ევრობასკეტზე გავაკეთეთ, საქართველოს ნაკრების მაქსიმუმი არ იყო. გუნდს მეტი შეუძლია. ასეა თუ ისე, ლიტვის ევრობასკეტზე გამოსვლა ისტორიაში ჩაიწერება, დებიუტი შედგა.

**- რეგულარულად ევროპის 12 გუნდში მოხვედრა გაგვიჭირდება, მაგრამ 24 ნაკრებს შორის კი ნამდვილად ვიმსახურებთ ადგილს.**

- ჩვენმა ნაკრებმა უკვე დაამტკიცა, რომ ელიტის ღირსეული წევრია. თუმცა ადგილს შენარჩუნება უნდა, ევროპის ჩემპიონატზე რეგულარულად თამაშისათვის დიდი შრომაა საჭირო. პირველ რიგში, მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალგაზრდებს. ახალი თაობის გამორჩეული კალათბურთელები ნაკრებთან ერთად უნდა გაიზარდონ. მაგალითისთვის, თორნიკე შენგელია ნაკრებში რომ გამოვიძახე, 16 წლისა იყო (2008 წელს). ამ მიმართულებით საქართველოში მუშაობს ჩემი ასისტენტი დავით უსტიაშილი, რომელიც პარალელურად 20-წლამდელთა ნაკრების თავკაცია.

**- საინტერესოა თქვენი მოსაზრება ნატურალიზებულ მარკიზ ჰეინსზე. სხვა ნაკრებებში ჩამოყვანილმა ამერიკელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს.**

- ჰეინსი საქართველოში წლეულს ჩამოვიდა. ახალ გუნდთან, ახალ კულტურასთან შესაგუებლად დრო დასჭირდა. ვფიქრობ, მან ლიტვაში შესაძლებლობები სანახევროდაც ვერ გამოავლინა. გაცილებით დიდი პოტენციალი გააჩნია, სწრაფად პროგრესირებს და ვფიქრობ, ამერიკაში თამაშის შანსიც აქვს. საამისოდ სწორ გზას ადგას: საფრანგეთში ჩატარებული ეფექტური სეზონის შემდეგ ესპანეთში გადავიდა, სადაც ევროპის საუკეთესო ლიგაში ითამაშებს.

**- მას ხშირად უცვლიდით პოზიციას.**

- დიდი საფიქრალი მქონდა, მსროლელად გამომეყენებინა თუ პლეიმეიქერად. ჰეინსს საჭიროებისამებრ ხან ერთ პოზიციაზე ვათამაშებდი, ხან მეორეზე. შესაძლოა, უფრო შედეგიანი ყოფილიყო მხოლოდ ერთ ამპლუაში რომ გარჯილიყო...

**- ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე მეტი ქომაგი ლიტველთა შემდეგ საქართველოს ჰყავდა. ეს გუნდზე როგორ მოქმედებდა?**

- კარგია, ეს კითხვა რომ დასვით. საქართველოში დარბაზი ყოველთვის ბოლომდე ივსება და გულშემატკივარი მოთამაშეებს დიდ მუხტს გადასცემს. სხვა ქვეყანაში ამდენი ქომაგის ხილვა კალათბურთელებისთვის დიდი სტიმული იყო. ცდილობდნენ, მაყურებელთა გასახარად, რაც შეიძლება მეტი გაეკეთებინათ.

**- იქნებ ადრეა ამის კითხვა, მაგრამ საქართველოს ნაკრებთან ოთხწლიანი კონტრაქტი წლეულს გიმთავრდებათ და საინტერესოა, რას ფიქრობთ გუნდში დარჩენაზე.**

- ევროპის ჩემპიონატი ახლა დასრულდა. ჯერ საკონტრაქტო საკითხებზე არც მიფიქრია, თუმცა ოთხი წელიწადია, საქართველოს ნაკრებში ვმუშაობ და მოხარული ვარ, რომ ასეთ კოლექტივთან მომიწია მუშაობამ. ასევე აუცილებლად უნდა აღვნიშნო ფედერაციის წევრთა თანადგომა. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რაც გუნდს სჭირდება. ამისთვის მათ მადლობას მოვახსენებ. რაც შეეხება სამომავლოდ გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხს, ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრებში სიამოვნებით ვიმუშავებ. თუმცა, მთავარი არა მწვრთნელი, არამედ ისაა, რომ გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული და ყოველწლიურად პროგრესირებს.

**- საქართველო ევრობასკეტს კი დაემშვიდობა, მაგრამ ჩემპიონატი გრძელდება და საინტერესოა, ვის ქომაგობთ პირველობაზე.**

- ფავორიტად ესპანეთი ითვლება. სამართლიანადაც. ამ გუნდს საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს და დომინანტია. თუმცა ესპანელებს არ ვქომაგობ, რადგან პირველობისთვის ჩემი სამშობლო, სერბეთიც იბრძვის. მიმდინარე ევრობასკეტზე სერბეთს კარგი ნაკრები ჰყავს და ვფიქრობ, ბევრის მიღწევა შეუძლია.

**- მეოთხედფინალში რუსეთს ხვდება...**

- ამ ბარიერის დაძლევა სერბეთის ნაკრებს ნამდვილად შეუძლია, თუმცა იოლი რომ არ იქნება, ამაში ყველა დარწმუნებულია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში

# ლომელში ახალგაზრდები იწყებენ

დღეს ბელგიურ ლომელში ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი იწყება, რომელშიც ჩვენი ბიჭების ნაკრები სრული შემადგენლობით გამოვა: **ლერი ჭელიძე** და **გიორგი მესაბლიშვილი** (ორივე - 55), **ვაჟა მარგველაშვილი** და **გიორგი კაცია** (ორივე - 60), **ლაშა შავდათუაშვილი** და **ოთარ არჩუაძე** (ორივე - 66), **ფრიდონ გიგანი** და **მიხეილ ჩოხელი** (ორივე - 73), **შალვა ნინიძე** და **ბექა რატიანი** (ორივე - 81), **გიორგი მერმანიშვილი** და **გიორგი ქავთარაძე** (ორივე - 90), **ელგუჯა ბიბილაშვილი** და **გიორგი ცნობილაძე** (ორივე - 100), **უშანგი კოკაური** და **ლევან მატიაშვილი** (+100). ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი გუგავამ** ახლა კი წაიყვანა სრული გუნდი, მაგრამ მსოფლიოსთვის სერიოზულ გადარჩევას აპირებს - ვინც ევროპაზე თავს ვერ გამოიჩენს, შანსს აღარ მისცემს.

ოთხი მონაწილე გვეყოლება გოგოებში: **ნონა მერაბიშვილი** (52), **სოფო ბერიძე** (57), **თეა სუხიტაშვილი** (70) და **ელენე ქებაძე** (+78).

დღეს ბიჭებიდან 55-60, გოგოებიდან კი 44, 48 და 52-ის წარმომადგენლები იასპარეზებენ. ზეგ ტატამზე 66, 73 და 81-კილოგრამიანი ბიჭები გავლენ. ასევე სამი წონა იჭიდავებს გოგოებიდანაც - 57, 63 და 70, დანარჩენები კი 18 სექტემბერს ჩაებმებიან ტურნირში.

აქვე შეგახსენებთ, რომ შარშან ანალოგიურ პირველობაზე ჩემპიონები **ოთარ კაიდარაშვილი** (55) და **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) გახდნენ, **გიორგი ნოზაძე** (90) ფინალში დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

# უკეთ, ვიდრე წინა ტურებში

ალგენაში ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე გუშინდელმა მე-4 ტურის შეხვედრებმა ლიდერთა რაოდენობა საგრძნობლად შეამცირა. სასიამოვნოა, რომ 18-წლამდელ ვაჟთა შეჯიბრებაში ზედიზედ მე-4 გამარჯვება იზეიმა **ზურაბ ჯავახაძემ** (რეიტინგი – 2363), რომელმაც შავი ფიგურებით 44-ე სვლაზე ანგელ ლოპეს არიბასი დაამარცხა, არადა, ესპანელს რეიტინგში 77 პუნქტით ჩამორჩება. ამავე ასაკში შვედმა ნილს გრანდელიუსმა (2536) თურქ ბურაკ ფირატს სძლია და 4 ქულით ჯავახაძესთან ერთად მეწინავეობს. დღეს სწორედ ისინი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და ოქროსთვის პაექრობაში ეს პარტია, შესაძლოა, გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს.

18-წლიან გოგონებში ნახევარი ქულა დათმო **მერი არაბიძემ** – ლაზიერების ენდშპილში იგი 57-ე სვლაზე დიანა ბასიუს (მოლდოვა) დაუზავდა. აქ 4 ქულით ერთპიროვნულად ფიდეს ოსტატი დარია პუსტოვოიტოვა (რუსეთი) დაწინაურდა. გუშინ მან ეკატერინი პავლიდუს (საბერძნეთი) სძლია. მონაგარი სამ ქულამდე გაზარდა **მარიამ დანელიამ**, რომელმაც მე-4 ტურში ანა ივეკოვიჩს (ხორვატია) აჯობა.

ქართველთაგან გათამაშების ცხრილში მე-4 ქულა ჩაიწერა **თამარ ესაძემ**.შავი ფიგურებით მან რუმინელი ელენა ბობოჩი 55-ე სვლაზე დააშამათა და რვაწლიანებში ერთპიროვნულად ლიდერობს. საერთოდ, გუშინდელი ტური ჩვენებისთვის წარმატებული გამოდგა – 29 პარტიიდან 20 მოიგეს და 4 ყაიმით დაამთავრეს.

### მე-4 ტურის შედეგები

**8-წლიანები:** ელენა ბობოჩი-თამარ ესაძე (3) 0:1, ნინო დახუნდარიძე (1,5)-ქსენია სტრუკოვა 0.5:0.5, ლეონ პაიკენი-ნიკოლოზ კაჭარავა (2) 0:1.

**10-წლიანები:** ელენე კოსტავა (2,5)-კიგდემ ონური 0:1, მაილის რაგოთი-გვანცა მარგველაშვილი (2) 1:0, ფარიდ ასლანოვი-ლუკა ობოლაძე (1,5) 0.5:0.5, ნიკოლაი კალინცოვი-ნიკოლოზ პეტრიაშვილი (1) 0:1, სტეფან ჯოტანოვიჩი-მათე თოდაშვილი (1) 0:1.

**12-წლიანები:** სიმონა ლაკინსკა-ნატა ჯიბუტი (2,5) 0:1, ანასტასია პროტოპოპოვა-თეა ჭოლაძე (2) 0.5:0.5, ნინო დახუნდარიძე (2)-ალექსანდრე ივკოვიჩი 0:1, სარა ნაუსი-ნინო ჯალალონია (1) 0:1; თეო ტომულიჩი-ირაკლი ახვლედიანი (1) 0:1, ლუკა ლიჩელი (0,5)-ანატოლი სოფიჩუკი 1:0.

**14-წლიანები:** ნინო ხომერიკი (1,5)-ბორიანა პეტროვა 1:0, მარიამ ჭოლაძე (1,5)-სოფია სილვა 1:0, მაია მუმლაძე (0)-ანა მალოვა 0:1, ანა თედიაშვილი (0)-ქრისტინა ესპინოზა 1:0; ნიკა ლვამბერია (2)-ელხან ბაირამოვი 1:0, იონელ ბარბული-ნოე თუთისანი(1) 0:1.

**16-წლიანები:** ანა ივანოვი-ანა შამათავა (2) 1:0, კურილე მონპერტი-დეა გოგიშვილი (2) 0:1, სედა ალევი-ნანი უნაფქოშვილი (1,5) 0:1, კაროლა ჰუბერი-ლიკა კობეშავიძე (1) 0:1; ირაკლი ბერაძე (2)-შალვა ნადირაშვილი (2) 1:0.

**18-წლიანები:** დიანა ბასიუ-მერი არაბიძე (3) 0.5:0.5, ანა ივეკოვიჩი-მარიამ დანელია (2) 0:1; ანგელ არიბასი-ზურაბ ჯავახაძე (3) 0:1.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ჩოგბურთი



# 10 ქვეყანა და 10 ათასი დოლარი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს და უკრაინის ჩოგბურთის ფედერაციების ერთობლივი ძალისხმევით ლელო მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დაიწყო საერთაშორისო ტურნირი - „საქართველოს თასის" გათამაშება (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) ქალთა შორის. შეჯიბრებაში 10 ქვეყნის წარმომადგენელი ჩაება. საკვალიფიკაციო ეტაპზე 18 ქართველი ჩოგბურთელი ცდიდა ძალებს. მათგან მხოლოდ ხუთმა გაიარა ძირითად ბადეში, სადაც პირველ ნომრადაა განთესილი უკრაინელი მარინა ზანევსკა (400). მეორე-მესამე ნომრები არიან სოფიო ქვაცაბაია (458) და თათია მიქაძე (470). სამივემ წარმატებით გაიარა ორი წრე: ქვაცაბაიამ იტალიელ გიდა კლერიკისა (6:2, 6:3) და უკრაინელ ოლგა იანჩუკს (884) სძლია (6:4, 6:2). მიქაძემ უკრაინელი მარტა ნაჩინინი (6:1, 7:5) და თანამემამულე ანა ჯიქია დაამარცხა (6:0, 6:0), ზანევსკამ მოსკოველ ლინა ბოხუს (6:3, 7:5) და მარიამ ქურასბედიანის მძლეველ მარინ სოიდოვას მოუგო (6:0, 6:2).

ქართველთაგან პირველ წრეში, ქურასბედიანის გარდა, შეჯიბრებას გამოეთიშნენ მარიამ გოგოლაშვილი, ნინო სუჯაშვილი, ბარბარე ერისთავი. მეორე წრეში მათი ბედი გაიზიარეს ნათია გვიანმ (გუშინ იგი პოლინა მონოვასთან (რუსეთი, 791) დამარცხდა - 5:7, 6:7) და ბაბილინა მაჩაიძემ (გრმანელ ალინა ვესელს (836) დანებდა - 1:6, 2:6),

მეორე წრის დანარჩენი სამი შეხვედრა ასე დამთავრდა: ნადია კოლბი (უკრაინა, 676)-ელდესილავა კუზმენკოვა (ბელარუსი, 988)-6:0, 1:6, 6:3, ანი ამირაჯიანი (სომხეთი, 715)-დარია ბერეჟნაია (ყაზახეთი, 1224)-6:1, 3:6, 6:1, მაია კაციტაძე (რუსეთი)-ვიქტორია კისილევა (ბელარუსი, 765)-3:6, 6:1, 6:4.

მეოთხედფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ზანევსკა-მონოვა, მიქაძე-კოლბი, ამირაჯიანი-ვესელი, კაციტაძე-ქვაცაბაია.

წყვილთა მეორე წრის შეხვედრათა ანგარიშები: სოფიო ქვაცაბაია, თათია მიქაძე (ორივე-საქართველო)-მარიამ დოლაბეილი, თამარ ცხაკაია (ორივე-საქართველო) 6:2, 6:1, ოლგა იანჩუკი (უკრაინა), ვიქტორია კისილევა (ბელარუსი)-ალინა ფომინა, ნადია კოლბი (ორივე-უკრაინა) 6:4, 4:6, 10:7, ანასტასია ფრენკი (ლუქსემბურგი), ვიქტორია იემიალიანავა (ბელარუსი)-დარია ბერეჟნაია (ყაზახეთი), გიდა კლერიკი (იტალია) 6:2, 6:2, ბაბილინა მაჩაიძე, ნინო სუჯაშვილი (ორივე-საქართველო)-თინა ბოხუა (რუსეთი), ანა ჯიქია (საქართველო)-6:3, 1:6, 10:8.

ვაჟა დანელია

# ანამ მოუკლო

საქართველოს პირველმა ჩოგანმა ანა ტატიშვილმა (93) წარუმატებლად იასპარეზა კანადურ კვებეში, სადაც 220-ათასიან ტურნირში მე-8 ნომრად იყო განთესილი. „ბელ ჩელენჯზე" ანამ პირველივე წრეში ჩაიგო ფრანგ ჟული კოინთან, რომელიც აქამდე საკვალიფიკაციო ბატალიების გავლის წყალობით მივიდა - 7:5, 4:6, 4:6. ჩვენებური ჯურჯურბოთ რჩება კვებე სიბოში, რადგან ჯეიმი ჰემპტონთან (აშშ) ერთად წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალშია გასული. მიკლედ, ბოლო დროს 21 წლის ქართველი უფრო წყვილებში ყოჩაღობს, ერთეულებში კი მოუკლო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ძალოსნობა

# მეცხრე ადგილით დაკმაყოფილდა

ბუდაპეშტში 20-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზურაბ თავაძე 8 ჯგუფში გამოდიოდა. ქართველმა ათლეტმა ქენესე ცდა გამოიყენა, ორჭიდის ჯამში 300 კილოგრამი (135+165) მოაგროვა და ჯგუფში პირველ ადგილი კი დაიკავა, მაგრამ ფიცარზე უძლიერესთა გამოსვლის შემდეგ მისი შედეგი მხოლოდ მეცხრე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი.

ამ წონაში პირველ ადგილზე გავიდა რუსი ალბერტ შეიხოვი - 338 (151+187), მეორე-მესამე ადგილები კი, შესაბამისად, აღებანელ ეუსენ ჟულკუას - 330 (150+180) და ესპანელ ანდრეს მატას - 330 (145+185) ხვდათ. ვერცხლის მედალი ბედი ძალოსანთა პირადმა წონამ გადაწყვიტა.

ვაჟა დანელია

ლოტო წარმოგიდგენთ

## ქართული სპორტის ქრონიკა

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# თამაზ იმნაიშვილი



დაიბადა 28.07.1954, თბილისი. სასტენდო სროლა (მრგვალი სტენდი). მსოფლიოს ჩემპიონი (1981), მეორე (1993) და მესამე (1979, 90) პრიზიორი პირად პირველობაში, მრავალგზის პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში. ევროპის შვიდგზის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში (1977, 78, 80, 81, 84, 85, 87), სამგზის მეორე (1982, 84, 85) და მესამე პრიზიორი (1985) პირად ასპარეზობაში, ევროპის თასის მფლობელი პირად პირველობაში (1987), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონი პირად ჩათვლაში (1975), სსრკ მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი პირად და გუნდურ პირველობაში. მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდსმენი (1996, 125 ქ-125-იდან). სამი ოლიმპიადის მონაწილე: 1980 (მოსკოვი, IX), 1988 წელს (სეული) ნიჩანსარ შეჯიბრებაში მოაგროვა 146 ქულა (150-იდან) და სსრკ ნაკრების კიდევ სამ წევრთან ერთად 24 ფინალისტს შორის მოხვდა. ტურნირის ორგანიზატორებმა სსრკ ნაკრების ხელმძღვანელობას ოთხიდან ერთი ფინალისტის მოხსნა დაავალეს, მწვრთნელებმა კი არჩევანი ქართველ სპორტსმენზე შეაჩერეს და იგი ფინალს მიღმა დატოვეს, 1996 (ატლანტა, IX). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი (1994-2004), საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1992-იდან). ღირსების ორდენის კავალერი.

სათავეები

# სასტენდო სროლა



სასტენდო სროლა სასროლო სპორტის ნაირსახეობაა, საფანტის სროლა გლუვლულიანი თოფით საგანგებოდ მოწყობილ მოედანზე (სტენდზე) სპეციალური დანადგარიდან ნატყორცნ მფრინავ სამიზნეებზე.

სანადირო თოფით საფანტის მიზანში სროლა ცნობილია ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან. იმდროინდელი მონადირეები რაიმე საგანს ააგდებდნენ და ერთმანეთს სროლის სიზუსტეში ეჯიბრებოდნენ. ვიდრე სპორტული შეჯიბრების ფორმას მიიღებდა, სასტენდო სროლა შეძლებულთა და დიდგვაროვანთა აზარტულ გასართობად იყო მიჩნეული. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სამიზნედ გარეულ მტრედებს იყენებდნენ და ბუნების დამცველთა პროტესტის მიუხედავად, ეროვნულ საკონკურსო ტურნირებსაც აწყობდნენ განსაკუთრებით XVIII-XIX საუკუნეების საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში, სადაც მონადირეთა არაერთი სპეციალური კლუბი არსებობდა. მოგვიანებით ასეთი კლუბები ამერიკაშიც გაიხსნა. XIX საუკუნის 30-იან წლებში ბოსტონელმა მსროლელებმა ცოცხალი სამიზნეები შუშის ბურთულებით შეცვალეს. მალე ამერიკაშივე ვინმე ბოგარუსმა გამოიგონა ამგვარი ბურთულების ამოსატყორცნი სპეციალური მანქანა. 1880 წლიდან შუშის ბურთულების ნაცვლად შემოიღეს თიხის თეფშები და მოედან-სტენდები. XX საუკუნის დამდეგს გავრცელდა სატრანშეო სტენდი. 1920-იანი წლებიდან შემოვიდა მრგვალი სტენდი. დღეისათვის მხოლოდ სატრანშეო და მრგვალი სტენდი ითვლება კლასიკურ ვარჯიშებად და ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრებებიც იმართება..

**საქართველოში** სასტენდო სროლას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 30-იან წლებში.

ჩვენმა მესტენდურებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი წარმატებებით.

საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1 ივნისს. 2003 წლამდე აერთიანებდა ტყვიის სროლას, სასტენდო სროლას და მშვილდოსნობას.

## თარიღი

**15-21 სექტემბერი**

**15. 1944 წ.** დაიბადა **გიორგი სიჭინავა** - ფეხბურთი.

**15. 1979 წ.** დაიბადა **ირაკლი ჭოჭუა** - ბ/რ ჭიდაობა.

**15. 1969 წ.** დაიბადა **აკაკი ჩაჩუა** - ბ/რ ჭიდაობა.

**16. 1996 წ.** ერევანში დაიწყო და 1 ოქტომბერს დასრულდა ქალთა XVII და ვაჟთა XXXII საჭადრაკო ოლიამპიადა. საქართველო: ქალები-I, ვაჟები-VIII.

**17. 1988 წ.** 17 სექტემბერს დაიწყო და 2 ოქტომბერს დასრულდა ზაფხულის XXIV ოლიმპიური თამაშები სეულში (სამხრეთი კორეა). საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს 5 ოქროს, 2 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი.

**17. 2001 წ.** მცხეთასთან ავტოკატასტროფაში დაიღუპა **დავით ყიფიანი** - ფეხბურთი.

**18. 2007 წ.** ბ/რ ჭიდაობაში ბაქოში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს **დავით ბედინაძემ** (60) **რამაზ ნოზაძემ** (96 კგ), **ბადრი ხასაია** (84 კგ) მესამე პრიზიორი გახდა.

**19. 1980 წ.** დაიბადა **დიმიტრი იაშვილი** - რაგბი (საფრანგეთი).

**20. 1944 წ.** დაიბადა **ზარბეგ ებრალიძე** - ფეხბურთი.

**21. 1938 წ.** თბილისის „დინამომ" სსრკ IV ჩემპიონატის მატჩში შინ 7:1 დაამარცხა ხარკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდი.

## ვიქტორინა

**1. რომელ ქართველ ფეხბურთელს მოიხსენიებდნენ „ევროპელ გარინჩად"?**

ა — მიხეილ მესხს
ბ — სლავა მეტრეველს
გ — გიორგი სიჭინავას

**2. დაასახელეთ ცნობილი ქართველი კალათბურთელი, რომელსაც ყველა უმაღლესი სპორტული ტიტული ჰქონდა, მაგრამ არ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი?**

ა — ოთარ ქორქია
ბ — მიხეილ ქორქია
გ — ზურაბ საკანდელიძე

**3. ვინ იყო პირველი პროფესიონალი ჩოგბურთელი ქალი საქართველოში?**

ა — ლეილა მესხი
ბ — ალა ივანოვა
გ — რენა აბჟანდაძე

**4. ყველაზე მეტჯერ (5-ჯერ), რომელ ქართველს აქვს მონაწილეობა მიღებული ვაჟთა შორის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაში?**

ა — ზვიად იზორიას
ბ — ბაადურ ჯობავას
გ — მერაბ გაგუნაშვილს

**5. სად აიდგა ფეხი, როგორც მოჭიდავემ, პირველმა ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ციმაკურიძემ?**

ა — ფოთში
ბ — თბილისში
გ — ზესტაფონში

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ქართველი ქალი ფეხბურთელი, რომელიც უცხოეთის კლუბმა მიიწვია და კონტრაქტი გაუფორმა, არის საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრების ცენტრალური მცველი **თაკო ქველიძე**. იგი გერმანიის ობერლიგის გუნდ „კარლსრუეში" ჩაირიცხა 2011 წელს.

**პირველმა** საქართველოს წყალბურთელებიდან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **მიხეილ გიორგაძემ** (მეკარე) 1982 წელს სსრ კავშირის ნაკრებში.

**პირველად** საქართველოს მკლავჭიდელებმა საერთაშორისო სარბიელზე იასპარეზეს 1990 წელს **ვახტანგ მუსელიანის** ხელმძღვანელობით მოსკოვის ღია ჩემპიონატში.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. დოლი, რომელშიც სხვადასხვა ასაკის და შესაძლებლობის ცხენები მონაწილეობენ; 6. წარსულში კალათბურთის ცნობილი ქართველი სპეციალისტი, გიორგი...; 8. თბილისის "დინამოს" ყოფილი კალათბურთელი; 10. სპორტული ცურვის სტილი; 12. სპორტული ცეკვების ცნობილი კლუბი თბილისში; 13. მარტვილის საფეხბურთო კლუბი; 14. ფალავანი შოთა ...; 15. იხ. სურათი: საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი; 16. აგდამის "ყარაბახის" შემტევი ნახევარმცველი; 18. მოჭადრაკე ... მათნაძე; 19. აზერბაიჯანის "თურანის" ქართველი თავდამსხმელი; 20. ჭადრაკის ფიგურა; 23. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1980 წელს; 24. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 25. მცხეთის სტადიონის ყოფილი სახელი; 26. ოლიმპიური თამაშების პირველი ქართველი ჩემპიონი ძიუდოში.

**შვეულად:** 2. თურქეთის "ქაისერისფორის" მთავარი მწვრთნელი; 3. სპორტის სახეობა პლანერით; 4. ჰოლანდიური "ვიტესის" ქართველი მცველი; 5. საფეხბურთო კლუბი "...-ჯორჯია"; 7. უკრაინელი მძლეოსანი ქალი, რომელიც თარჯრბენში საქართველოს სახელით ასპარეზობდა; 9. შეჯიბრებისას დაღუპული ქართველი წყალში მხტომელი; 10. ევრობასკეტ 2011-ზე ჯგუფში საქართველოს მოწინააღმდეგე ქვეყანა; 11. თბილისის საკალათბურთო გუნდი; 13. აკადემიური ნავის ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი; 17. თბილისის ყოფილი საფეხბურთო კლუბი; 18. ევროპის მცირე ქვეყნების 1991 წლის თამაშების მასპინძელი ქვეყანა; 21. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 22. კომპლექსური საავტომობილო შეჯიბრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

**ინტერვიუ. დემიენ კომოლი**



ლივერპულის სპორტული დირექტორი დემიენ კომოლი

# ყველანი ერთად ენფილდისთვის

**დემიენ კომოლი არის ადამიანი, ვინც სპორტულ ვებგვერდებზე იშვიათად ჩანს. ის უმთავრესად მუშაობს და მერე შედეგებს იმკის. ამჯერად მან გამონაკლისი დაუშვა და "ლივერპულის" ოფიციალურ არხს ინტერვიუ მისცა, რომელიც მერე კლუბის ვებგვერდმა ბეჭდური სახით გამოაქვეყნა. კომოლი კლუბის ტრანსფერების გარდა მრავალ საინტერესო თემაზე ლაპარაკობს.**

**- როგორ შეაფასებდით "ლივერპულის" მიერ განხორციელებულ ტრანსფერებს?**

- ჩატარებული სამუშაოებით მოხარულები ვართ, მაგრამ შეფასება მხოლოდ სეზონის ბოლოს იქნება შესაძლებელი. მოდი, ვნახოთ, რომელ ადგილზე იქნება გუნდი მაისში და რა შედეგებს მიიღებს თასის გათამაშებებში. ამას გარდა, ეს არ არის სამუშაო ერთი სეზონისთვის. ესაა გათვლა მომდევნო წლებზე, მით უფრო, რომ ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელები შევიძინეთ. 2011 წლის ზაფხულზე რაც გავაკეთეთ ამის შედეგს რამდენიმე წელიწადში მოვიმკით. იმ მოთამაშეთა უმრავლესობა, ვინც კი მოვიყვანეთ, ჩვენი უპირველესი პრიორიტეტები იყვნენ. ამ ფეხბურთელებმა სწორედ ის პოზიციები გაამაგრეს, სადაც ყველაზე მეტად გვიჭირდა. პრობლემა იყო მარცხენა მცველის მოძებნა, მაგრამ ენრიკე დავიბევეთ და ძალიან კმაყოფილები ვართ.

**- რამდენი ადამიანი მონაწილეობდა სატრანსფერო საქმიანობაში?**

- მუშაობას იწყებენ სკაუტები. ისინი სასურველ ფეხბურთელს 1-2 წლის განმავლობაში აკვირდებიან, ხანდახან ეს პროცესი მეტიც გრძელდება. შემდეგ ისინი მოდიან კლუბში. მე და კენი დალგლიში კი საბოლოო გადაწყვეტილებას ვიღებთ. ამის შემდეგ მივმართავ კლუბის მესაკუთრეებს და ვუსაბუთებ, რატომ მინდა ამა თუ იმ ფეხბურთელის ყიდვა. ისინი კი გვაძლევენ ფულს. ბოლოს იწყება მოლაპარაკებები ფეხბურთელის კლუბთან. იშვიათად, რომ მოლაპარაკების პროცესი იოლი აღმოჩნდეს. ძალიან რთულად წარიმართა ეს ამბები სუარესის შემთხვევაში, გაჭიანურდა კოატესის ტრანსფერიც.

**- ამას წინათ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ სწორედ თქვენ დააჯერეთ მესაკუთრეები, რომ ფეხბურთელები ჯერ გვეყიდათ და შემდეგ გამოთხოვებოდით არასასურველებს. როგორ მოახერხეთ ეს?**

- დარწმუნება აქ არ გამოდის, რადგან ისინი არიან ადამიანები, რომლებიც მიეჩვივნენ ყველაფერში გამარჯვებას, რისთვისაც ოდესმე ხელი მოუკიდიათ. მათ თქვეს, რომ "ლივერპულის" წარმატებები სურდათ, ამისთვის კი კლუბში ყველაფერი თავდაყირა უნდა დამდგარიყო. არ გვქონდა უფლება გაგვერისკა და სხვებისთვის მიგვეცა ჩვენთვის სასურველი ფეხბურთელების ყიდვის შანსი. მათ მითხრეს, რომ თუკი შეგვეძლო გუნდის მნიშვნელოვნად გაძლიერება, მართლა ასე მოვიქცეთო. ისინი გვენდობოდნენ მე და კენი დალგლიშს.

**- ტრანსფერებში კენის როლი როგორია?**

- უდიდესი! იმიტომ, რომ მას ფეხბურთელში რამე თუ არ მოსწონს, ჩვენ მას არ ვიყიდით. მისი აზრი ფეხბურთელზე ყველაზე მნიშვნელოვანია გუნდში. სიტუაციას ყოველთვის ვიხილავთ სტივ კლარკთან ერთადაც, რადგან მას დიდი დრო გაუტარებია სხვა უმაღლესი დონის კლუბებში, სტივის გუნდებს უთამაშიათ ჩემპიონთა ლიგაშიც. ასე რომ, მასაც სოლიდური წილი შეაქვს საერთო საქმეში. როცა სათადარიგო მეკარეს ვეძებდით, აქ უდიდესი როლი ითამაშა ჯონ ახტენბერგმა, მეკარეთა მწვრთნელმა. ჩვენ მის გემოვნებას ვენდეთ, რადგან მას შეუძლია ყოველთვის შეამჩნიოს ის, რასაც ჩვენ ვერასოდეს დავინახავთ. მეკარეები ხომ თავის განსაკუთრებულ ენაზე ლაპარაკობენ.

**- ფეხბურთელებთან ერთად თუ იხილავთ სატრანსფერო გეგმებს?**

- დიახ, ფეხბურთელებზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მაგალითად ჯერარდს ჰენდერსონთან ერთად ნათამაშები ჰქონდა საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ და აზრი ვკითხეთ. სტივის იანვარში დავეკითხეთ სხვა ინგლისელ ფეხბურთელებზეც, მაგალითად ენდი კეროლზე. ასევე დავინტერესდით კუიტის აზრით, რადგან ის სუარესს კარგად იცნობდა.

**- ბევრს აინტერესებს, რატომ დაუთმეთ მეირელეში "ჩელსის"?**

- ჩვენ არ ვაპირებდით რაულის გაყიდვას, მაგრამ ის მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ სხვა კლუბში თამაში უნდოდა. აზრი არ აქვს შემადგენლობაში ისეთი ფეხბურთელის ყოლას, ვისაც თამაში არ სურს. ეს სიტუაცია ძალიან ჰგავდა ტორესის მდგომარეობას, რომელმაც ჩვენ სწორედ ამიტომ დაგვტოვა. მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცით. ასეთ დროს ჯობია მოთამაშეს შეელიო და მასში კარგი ფული აიღო.

**- კითხვები ჩნდება ალბერტო აკვილანის იჯარასთან დაკავშირებითაც.**

- ის ნიჭიერი ფეხბურთელია, შესანიშნავი მონაცემებით, მაგრამ ალბათ გესმით, რომ ჩვენ მის პოზიციაზე სტივენ ჯერარდი გვყავს. სწორედ ამიტომ ალბერტოს გაუჭირდებოდა სათამაშო პრაქტიკის მიღება. ამისთვის კიდევ რამდენიმე მიზეზი იყო. მისთვის კი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა რთული იყო. გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ აღფრთოვანებული დავრჩი იმით, როგორ იქცეოდა ალბერტო მოლაპარაკებების დროს. ის მხოლოდ ფეხბურთის თამაშზე ფიქრობდა და ფულს მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა.

**- მართალია, რომ "ლილისგან" თქვენ უარი მიიღეთ ედენ აზარის ტრანსფერის შესახებ?**

- მეც წავიკითხე მსგავსი ინფორმაციები და გარწმუნებთ, რომ ტყუილია. აზარი მართლა კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მისით ჩვენ დაინტერესებულები არ ვართ.

**- რატომ გაუშვით იჯარით პაჩეკო?**

- მისი გაშვება იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ გაგვეგო, შეძლებდა თუ არა რომელიმე გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას. შარშან ჩემპიონატში "ნორვიჩის" შემადგენლობაში მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. კარგად ითამაშა ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზეც და მსოფლიოს 20-წლამდელთა პირველობაზეც. ჩვენ ვაკვირდებოდით მის თამაშებს ამ ტურნირებზე. ასეთივე სიტუაციაა პეტრ გულაშის შემთხვევაშიც. ის საკმაოდ პერსპექტიული მეკარეა. ჩვენ ვგრძნობდით, რომ მას განვითარება სჭირდებოდა.

**- აშკარაა, რომ გუნდში სიტუაცია გამოსწორდა. არსებობს თუ არა რომელიმე ხაზი, რომელიც გაძლიერებას საჭიროებს?**

- ამ შეკითხვას საკუთარ თავსაც ვუსვამდი და მგონია, რომ ამ წუთას არა. ბოლო ორი სატრანსფერო ფანჯრის დროს კარგად ვიმუშავეთ. საერთო ჯამში, გუნდში 9 ახალი ფეხბურთელი მოვიყვანეთ, რითაც გუნდს სახე შევუცვალეთ. ვნახავთ, როგორ იმუშავებენ ფეხბურთელები და მივხვდებით, გვჭირდება თუ არა ახლები.

**- მოგვიყევით თქვენი და კენი დალგლიშის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.**

- ყველაფერი კარგად არის და არა მხოლოდ სატრანსფერო ფანჯრიდან მოყოლებული, არამედ მას მერე, რაც ის გუნდში მოვიდა. გაზაფხულზე ხანდახან განსხვავებულად ვფიქრობდით იმაზე, ვინ უნდა მოსულიყო ჩვენთან და ვის უნდა დაეტოვებინა გუნდი, მაგრამ ტრანსფერების პერიოდის მოახლოებასთან ერთად ჩვენ კარგად მოვემზადეთ, რადგან ზუსტად ვიცოდით, რა უნდა გაგვეკეთებინა. ჩვენ ერთ ხმაში ვამბობდით, რომ გვჭირდებოდა ეს და ეს ფეხბურთელი და ვცდილობდით მის ხელში ჩაგდებას. კენიმ ყოველთვის იცოდა, სად, როდის და რას ვაკეთებდი. მე მას საქმის კურსში ვაყენებდი, როგორ მიდიოდა ტრანსფერების ამბები. ვიმეორებ, ჩვენ მშვენიერი ურთიერთობები გვაქვს და არა მხოლოდ პროფესიული ინტერესის გამო, ზოგადადაც.

**ლივერპული**

# ისევ ლაზარეთში

"ლივერპულის" ბედშავმა მარჯვენა მცველმა **გლენ ჯონსონმა** "სტოკ სიტისთან" სეზონის პირველი შეხვედრა ჩაატარა. ინგლისელი **მარტინ შკრტელის** ნაცვლად მინდორზე 81-ე წუთზე შევიდა, თუმცა ტრავმის მისაღებად დარჩენილი დროც ეყო. იქამდე მას ზუსტად ხუთკვირიანი პაუზა ჰქონდა "ვალენსიასთან" აგვისტოს დასაწყისში მოგებული ამხანაგური მატჩის შემდეგ. ფეხბურთელმა "ბრიტანია სტედიუმზე" ტრავმა გაიმიზეზა და ახლა ისევ ხანგრძლივად მოუწევს უქმობა. ექიმებს ჯერ არ დაუდგენიათ, რამდენ ხანში შეძლებს ის ბოლომდე გამოჯანმრთელებას. *"მუხლის მყესები ისევ მაწუხებს. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ისევ ისეთი სერიოზული არ არის,"* - დაწერა 27 წლის ფეხბურთელმა "ტვიტერზე".

ფეხბურთი და სოციალური ქსელები რახანია საფეხბურთო ასოციაციებისა თუ კლუბების ახალი თავის ტკივილი გახდა. ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როცა მოთამაშეს ვირტუალურ სამყაროში გამოთქმული მოსაზრებების, გაშარჟებული მეტოქეებისა და მსაჯების გამო სჯიდნენ. ასეთი რამ გადახდა თავს ყოფილ ლივერპულელ **რაიან ბაბელს**, ვინც "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩის მეორე დღეს არბიტრი **ჰოვარდ ვები** ფოტოშოპში "იუნაიტედის" მაისურით "შემოსა" და **სტივ ჯერარდს** "ტვიტერზე" ისე გაუგზავნა. ამ საქციელისთვის (ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის გარდა, მთელ დედამიწაზე მიხვდნენ, რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყო) ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მისცეს.

"ლივერპული" ამჯერად შიდაგამოძიებას ატარებს 20 წლის **ნათან ეკლსტოუნის** გამონათქვამის გამო. აი, რამ გამოიწვია დირექტორატის (უფრო მეტად კლუბის ამერიკელი მესაკუთრეების) აღშფოთება: *"მე არ ვაპირებ, მასმედიის მჯეროდეს და ვამტკიცო, რომ შეტევები (ლაპარაკია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტზე) ორგანიზებული იყო ტერორისტების მიერ"*. "ლივერპულის" პრესსამსახურმა ამ გამონათქვამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთა: *"კლუბი მეტისმეტი ყურადღებით შეისწავლის საკითხს და თანაც აცნობებს ნათან ეკლსტოუნს, რომ მის წინააღმდეგ დაწყებულია გამოძიება იმ გარემოებების გამო, რისი წყალობითაც ეს ფრაზა მოხვდა მის გვერდზე. ასევე აცნობებს, რომ ყოველივე ამან მისთვის სერიოზული შედეგები შეიძლება მოიტანოს"*.



**ამბები**

## ფეხბურთელები მეხმა იმსხვერპლა

12 სექტემბერს კამერუნის ქალაქ დუალაში მატჩის დროს მეხმა ორი ფეხბურთელი იმსხვერპლა. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, თამაშამდე ძლიერი წვიმა და ჭექა-ქუხილი დაწყებულა. სტადიონს მცირე ინტერვალით მეხი რამდენჯერმე დაეცა. ერთ-ერთმა მასპინძელი გუნდის 17 წლის მცველი **ბუბა აჰმადუ** და 20 წლის ნახევარმცველი **ერმან კეპჩი** იმსხვერპლა. ისინი სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამწუხაროდ, ორივე გზაში გარდაიცვალა. მეხმა დააზარალა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი და მსაჯი. მათი ტრავმების შესახებ სააგენტოები არაფერს იუწყებიან. დაზარალებულთა კლუბმა "ნუსიიმ" დროებით ყველა თამაში და ვარჯიში გადადო.

## დისკვალიფიკაცია უხეშობის გამო

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "სანდერლენდის" 26 წლის მცველ **ფილიპ ბერდსლის** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. მიზეზი გახდა ის, რომ ფეხბურთელმა **კრეიგ გარდნერთან** შეჯახების შემდეგ ძირს დაცემულ მეტოქე ნახევარმცველ **ხუან მატას** ზურგზე ფეხი დაადგა. მატჩის არბიტრმა **ლი პრობერტმა** მომენტი რეაგირების გარეშე დატოვა. ფეხბურთელი საფეხბურთო ასოციაციაში გამოცხადდა, თუმცა თავის მართლება დამაჯერებლად ვერ შეძლო.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ფილიპ ბერდსლი (მარჯვნივ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასი ამერიკიდან

არგენტინა. აპერტურა. VI ტური

## ორხელისუფლებიანობა დიდი ჯახის წინ

### რამონ დიასი ეშმაკებს მიხედავს

**კოლონი-სან ლორენსო 3:1**

**გოლები:** 1:0 ფუერტესი (22), 2:0 ფუერტესი (50), 2:1 ჯილიოტი (67), 3:1 იგუაინი (86)

**გოდოი კრუსი-ოლ ბოისი 6:1**

**გოლები:** 0:1 ე. დომინგესი (22), 1:1 რამირესი (28), 2:1 პერეა (44 ს.კ.), 3:1 რამირესი (46), 4:1 კარუსო (53), 5:1 ვილიარი (58), 6:1 კურბელო (86)

**გაძევება:** დომინგესი (60. ოლ ბოისი)

**ესტუდიანტესი-ტიგრე 1:3**

**გოლები:** 0:1 ლუნა (5), 0:2 მორალესი (22-პენ), 0:3 მარტინესი (25), 1:3 კასტელიონე (61 ს.კ.)

**გაძევება:** ალბილი (18. ესტუდიანტესი)

**რასინგი-ოლიმპო 1:0**

**გოლი:** 1:0 გუტიერესი (19-პენ)

**ბანფილდი-არსენალი 0:1**

**გოლი:** 0:1 სელაია (6)

**ბელგრანო-ინდეპენდიენტე 2:0**

**გოლები:** 1:0 პერეირა (37), 2:0 პერეირა (46)

**ბოკა-სან მარტინი 1:0**

**გოლი:** 1:0 ერვიტი (75)

**ველესი-სანტა ფე 0:1**

**გოლი:** როსალესი (86)

**არხენტინოსი-ლანუსი 0:4**

**გოლები:** 0:1 რეგეირო (37), 0:2 პავონე (79), 0:3 გონსალესი (80), 0:4 ვალერი (87-პენ)

**ატლეტიკო-ნიუელსი 0:0**

**18 სექტემბერს მაგარი მატჩი გველის - ორი ლიდერის ჯახი, „ლანუსი" „ბოკა ხუნიორსს" მასპინძლობს. აპერტურას მე-6 ტურის შემდეგ 14-14 წინ სწორედ ეს ორი გუნდი გაიჭრა, რაფაელას „ატლეტიკოს" 2-ტურიანი ლიდერობა კი წარსულს ჩაბარდა.**

## ტურის მოვლენები

კრიზისი რამდენიმე ისეთ კლუბში გრძელდება სეზონის წინ, რომ ძნელად წარმოვიდგენდით - „ესტუდიანტესი" ბოლო წლების ერთ-ერთი სტაბილური გუნდია, მაგრამ **ალეხანდრო საბელას** გარეშე ვერ ყოჩაღობს. „ველეს სარსფილდმა" ლიდერები უკვე დაწყებულ ჩემპიონატში დაყიდა და მათი სრულფასოვანი შემცვლელები არ ჰყავს. შავი სერია აქვს „ინდეპენდიენტესაც", თუმცა „ეშმაკთა" გულშემატკივრებს ოპტიმიზმის საბაბიც აქვთ - შემდეგი ტურიდან „ინდე" ნაოსნობას ახალი მესაჭის, **რამონ დიასის** მეთაურობით იწყებს.

მენდოსური „გოდოი კრუსი" არცთუ დიდი ისტორიის კლუბია, ვერც დიდი ფინანსებით დაიკვეხნის და მეტიც, არც ქალაქში ჰყავს ბევრი გულშემატკივარი, მაგრამ ბოლო წლებია ეს გუნდი გვაოცებს კარგი თამაშით. მენდოსელები რეგულარულად კარგავენ ლიდერებს, მწვრთნელებს, მაგრამ მაინც მაღალ დონეზე თამაშობენ. **ხორხე და სილვას** გუნდმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო, თუმცა ბოლო განსაკუთრებით გამოსაყოფია - 6-1-ს ხშირად არ იგებენ. პარალელურად „გოდოი კრუსმა" კოპა სუდამერიკანადან „ლანუსი" გამოაძევა.

ჩემპიონატში ორხელისუფლებიანობაა, „ლანუსსა" და „ბოკა ხუნიორსს" აბსოლუტურად იდენტური აქვთ ყველა მონაცემი. ის კი არა, ამ ორი გუნდის თამაშის სტილიც თითქოს ერთნაირია - არცთუ თვალსასეირო, მაგრამ წარმატებული.

„ბანფილდის" კატასტროფულ თამაშს ბოლო არ უჩანს, გუნდმა ყველა მატჩი წააგო და ჩემპიონატში ჯერ ვერ გაიტანა გოლი. დიდი ხანია, არგენტინის ჩემპიონატში ასეთი საშინელი სტარტი არავის ჰქონია.

## ტურის ციფრები

წინა ტურთან შედარებით დიდი პროგრესია - 25 გოლი (14-11 მასპინძელთა სასარგებლოდ). ბუნებრივია, ეს „გოდოი კრუსის" დამსახურებაა, რომელმაც ერთბაშად 6 გოლი გაიტანა ტურში. სამმა ფეხბურთელმა, **რამირესმა, პერეირამ** და **ფუერტესმა** შეძლეს დუბლის შესრულება. რუბენ რამირესი 5 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა.

## ტურის მატჩი

გოდოი კრუსი VS ოლ ბოისი

## ტურის გმირი

**დიეგო ვილიარი** (გოდოი კრუსი)

მან გოლი გაიტანა და სამი საგოლე პასი გააკეთა.

## ტურის გოლები

ესტებან ფუერტესი (კოლონი), **ხორხე** კურბელო (გოდოი კრუსი), კარლოს ლუნა (ტიგრე).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანუსი | 6 | 4 | 2 | 0 | 8-1 | 14 |
| 2. ბოკა | 6 | 4 | 2 | 0 | 8-1 | 14 |
| 3. ატლეტიკო | 6 | 4 | 1 | 1 | 9-5 | 13 |
| 4. რასინგი | 6 | 3 | 3 | 0 | 6-1 | 12 |
| 5. ტიგრე | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 6. კოლონი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-5 | 11 |
| 7. გოდოი კრუსი | 6 | 3 | 1 | 2 | 11-8 | 10 |
| 8. ბელგრანო | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 9. სანტა ფე | 6 | 2 | 2 | 2 | 4-6 | 8 |
| 10. ველესი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-5 | 7 |
| 11. სან ლორენსო | 6 | 2 | 1 | 3 | 7-7 | 7 |
| 12. ნიუელსი | 6 | 1 | 4 | 1 | 4-4 | 7 |
| 13. ინდეპენდიენტე | 6 | 2 | 1 | 3 | 3-5 | 7 |
| 14. არსენალი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-6 | 7 |
| 15. სან მარტინი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-6 | 6 |
| 16. ოლ ბოისი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-10 | 6 |
| 17. ოლიმპო | 6 | 1 | 2 | 3 | 4-7 | 5 |
| 18. არხენტინოსი | 6 | 0 | 4 | 2 | 3-9 | 4 |
| 19. ესტუდიანტესი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-10 | 2 |
| 20. ბანფილდი | 6 | 0 | 0 | 6 | 0-9 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - რამირესი (გოდოი კრუსი); 4 - გუტიერესი (რასინგი); 3 - ფუერტესი (კოლონი), განდინი (ატლეტიკო), ჯილიოტი (სან ლორენსო), მატოსი (ოლ ბოისი), პერეირა (ბელგრანო).

**მომდევნო ტური**

16 სექსტემბერი: **სან მარტინი-ბელგრანო, ოლიმპო-გოდოი კრუსი, ინდეპენდიენტე-კოლონი.**

17 სექტემბერი: **ტიგრე-არსენალი, ოლ ბოისი-ბანფილდი, სან ლორენსო-ატლეტიკო.**

18 სექტემბერი: **ნიუელსი-ველესი, ესტუდიანტესი-არხენტინოსი, ლანუსი-ბოკა, სანტა ფე-რასინგი.**



ეს ეს არის „ბოკას" დარიო ცვიტანიჩმა ხელსაყრელი შანსი ქარს გაატანა

ბრაზილია. სერია A. XXIII ტური




ლეანდრო დამიაომ პალმეირასს შავი დღე გაუთენა

## კორინთიანსის იღბალი, ფლას კრიზისი და დამიაოს ჰეთ თრიკი

**სანტოსი-კრუზეირო 1:0**

**გოლი:** 1:0 ბორჟესი (13)

**გაძევება:** ლეო (67. კრუზეირო), ფაბრისიო (90. კრუზეირო)

**ამერიკა-ავაი 2:2**

**გოლები:** 1:0 ჟილსონი (8), 2:0 ანდრე დიასი (27), 2:1 ვილიამი (77), 2:2 კლევერსონი (83)

**პალმეირასი-ინტერნასიონალი 0:3**

**გოლები:** 0:1 ლეანდრო დამიაო (24), 0:2 ლეანდრო დამიაო (83), 0:3 ლეანდრო დამიაო (90)

**ფლუმინენსე-კორინთიანსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ფრედი (22)

**სეარა-ატლეტიკო გ. 1:1**

**გოლები:** 1:0 ეგიდიო (38), 1:1 ფელიპე (88)

**კორიტიბა-ბოტაფოგო 5:0**

**გოლები:** 1:0 ემერსონი (43), 2:0 მარკუს აურელიო (53-პენ), 3:0 ბილი (65), 4:0 რაფინია (81), 5:0 ევერტონ კოშტა (88)

**შენიშვნა:** ანდერსონ აკინოს (14 თამაში, 5 გოლი) არ უთამაშია (დისკვალიფიკაცია).

**ფიგეირენსე-ვასკუ და გამა 1:1**

**გოლები:** 1:0 ველინგტონ ნემი (4), 1:1 ფაგნერი (16)

**ფლამენგო-ატლეტიკო პ. 1:2**

**გოლები:** 0:1 ერაკლესი (39), 0:2 გერონი (46), 1:2 ველინტონი (82)

**გაძევება:** გერონი (69. ატლეტიკო)

**გრემიო-სან პაულუ 1:0**

**გოლი:** 1:0 დუგლასი (65)

**ატლეტიკო მ.-ბაია 2:0**

**გოლები:** 1:0 მანო ალვეში (45-პენ), 2:0 მანო ალვეში (55)

**გაძევება:** პაულო მირანდა (45. ბაია)

„სანტოსის" და „კრუზეიროს" მატჩი შეიძლებოდა ტურის ცენტრალური ყოფილიყო, მაგრამ ახლა სხვა დროა - „სანტოსი", უბრალოდ, მოვალეობის მოხდის მიზნით გამოდის ამ სეზონში, „კრუზეიროს" კი ერთადერთი საფიქრალიღა შერჩა - კოპა სუდამერიკანაზე მოხვედრა. კლასით „სანტოსი" მაინც უკეთესი გუნდია, თუმცა მასპინძელთა უდიდესი უპირატესობა მხოლოდ ერთ გოლში აისახა, რომელიც ჩემპიონატის ბომბარდირმა **ბორჟესმა** გაიტანა. ჯერ 30 წლის ფორვარდს სტუმართა მეკარემ აულო, შემდეგ მსაჯმა „სანტოსის" გოლი საეჭვო თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩათვალა და ბოლოს, როგორც იქნა, **ნეიმარმა** და **ალან კარდეკმა** გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია და ბორჟესი დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანეს. ეს ბორჟესის მე-16 გოლია ჩემპიონატში. უნდა ყოფილიყო მე-17-ეც, მაგრამ მისი თავური გოლი არ ჩათვალეს, შეცდომით დააფიქსირეს თამაშგარე მდგომარეობა. მსაჯების არაობიექტურობა ამით არ მორჩენილა, მათ „სანტოსის" კარში პენალტი მოიგონეს, მაგრამ არგენტინელმა **მონტილიომ** პენალტი ააცილა. ეს ყველაფერი პირველ ტაიმში ხდებოდა. მეორე ტაიმში „კრუზეიროს" უპირატესობა მართლაც ჰქონდა, იმავე მონტილიოს კარგი თამაშის წყალობით, მაგრამ „სანტოსმა" 3 ქულა შეინარჩუნა.

„კორინთიანსი" სტუმრად „ფლუმინენსესთან" დამარცხდა, ლიდერმა მოქმედ ჩემპიონთან წააგო, მაგრამ პირველი ადგილი მაინც შეინარჩუნა. ყველაფერი **ფრედის** საჯარიმომ გადაწყვიტა, ფორვარდს ის კარგად არ შეუსრულებია, მაგრამ ცოცხალი კედლიდან რიკოშეტით ბურთი კარში გავიდა. ზუსტად იმავე დროს „ინტერნასიონალმა" ნაწილებად დაშალა „პალმეირასი" - 3:0. სამივე გოლი სტუმართაგან **ლეანდრო დამიაომ** გაიტანა. „ვერდაოს" კარში ჰეთ თრიკის შესრულების შემდეგ ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელს ჩემპიონატში 13 გოლი დაუგროვდა.

„კორინთიანსს" ბედი წყალობს, პირველ ადგილზე გადასვლის შანსი „ბოტაფოგოს" და „ვასკუ და გამას" ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. „ბოტაფოგო" სულაც შერცხვა, „კორიტიბასთან" 0:5 დამარცხდა. სულ ბოლოს „სან პაულუ" თამაშობდა, ახლა ამ გუნდს ჰქონდა პირველ ადგილზე გადასვლის შანსი, მაგრამ „გრემიომ" **დუგლასის** გოლის წყალობით აჯობა მეტოქეს, „სან პაულუს" ვერც **რივალდოს** გამოსვლამ უშველა.

„ფლამენგოში" კრიზისი დაიწყო. სხვანაირად როგორ ავხსნათ „რუბრონეგროს" მარცხი აუტსაიდერ „ატლეტიკო პარანაენსესთან"? უკვე 8 მატჩია **რონალდინიოს** გუნდმა მოგების სიხარული არ იცის.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორინთიანსი | 23 | 13 | 4 | 6 | 35-23 | 43 |
| 2. ვასკუ და გამა | 23 | 12 | 6 | 5 | 33-27 | 42 |
| 3. სან პაულუ | 23 | 12 | 5 | 6 | 35-28 | 41 |
| 4. ბოტაფოგო | 22 | 12 | 4 | 6 | 36-25 | 40 |
| 5. ფლუმინენსე | 23 | 12 | 1 | 10 | 30-26 | 37 |
| 6. ფლამენგო | 23 | 9 | 9 | 5 | 38-31 | 36 |
| 7. ინტერნასიონ. | 23 | 9 | 8 | 6 | 39-30 | 35 |
| 8. პალმეირასი | 23 | 8 | 10 | 5 | 29-23 | 34 |
| 9. კორიტიბა | 23 | 9 | 5 | 9 | 39-29 | 32 |
| 10. ფიგეირენსე | 23 | 8 | 7 | 8 | 28-30 | 31 |
| 11. ატლეტიკო (გ) | 23 | 8 | 6 | 9 | 29-27 | 30 |
| 12. გრემიო | 22 | 8 | 6 | 8 | 27-27 | 30 |
| 13. სანტოსი | 21 | 8 | 5 | 8 | 29-32 | 29 |
| 14. კრუზეირო | 23 | 8 | 4 | 11 | 30-28 | 28 |
| 15. სეარა | 23 | 7 | 6 | 10 | 30-37 | 27 |
| 16. ატლეტიკო (მ) | 23 | 7 | 3 | 13 | 30-40 | 24 |
| 17. ბაია | 23 | 5 | 9 | 9 | 25-32 | 24 |
| 18. ატლეტიკო (პ) | 23 | 5 | 7 | 11 | 24-36 | 22 |
| 19. ავაი | 23 | 5 | 6 | 12 | 27-48 | 21 |
| 20. ამერიკა | 23 | 3 | 9 | 11 | 30-44 | 18 |

**ბომბარდირები:** 16 - ბორჟესი (სანტოსი), 13 - ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), 12 - რონალდინიო (ფლამენგო), მონტილიო (კრუზეირო); 9 - დეივიდი (ფლამენგო), რაფაელ მოურა (ფლუმინენსე), ვილიამი (ავაი).

**მომდევნო ტური**

17 სექტემბერი: **ატლეტიკო გ-ატლეტიკო მ, სან პაულუ-სეარა, ვასკუ და გამა-გრემიო.**

18 სექტემბერი: **ატლეტიკო პ.-ფიგეირენსე, ავაი-პალმეირასი, ბაია-ფლუმინენსე, ბოტაფოგო-ფლამენგო, კორინთიანსი-სანტოსი, კრუზეირო-ამერიკა, ინტერნასიონალი-კორიტიბა.**

**კოპა სუდამერიკანა. II ეტაპი**

**ლა ეკიდადი (კოლუმბია)-ლიბერტადი (პარაგვაი) 0:1, უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე)-ნასიონალი (ურუგვაი) 1:0, ლდუ კიტო (ეკვადორი)-ტრუხილიანოსი (ვენესუელა) 4:1.**

*საპასუხო მატჩები 20 და 21 სექტემბერს*

**პარაგვაი. აპერტურა. XXII ტური**

**ინდეპენდიენტე-ტაკუარი 1:0, რუბიო ნუ-ნასიონალი 2:3, სოლ დე ამერიკა-3 დე ფებრერო 1:3, სპორტივო-ოლიმპია 3:1, სერო პორტენიო-გუარანი 0:1**

1. ნასიონალი - 47 ქულა, 2. ოლიმპია - 42, 3. ლიბერტადი - 39

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### ამბები

ჩოგბურთი

## სტოსური დევისის თასზე მიიწვიეს

დევისის თასზე ავსტრალიის ნაკრების კაპიტანმა **პატრიკ რაფტერმა** თანამემამულე **სამანტა სტოსურს** ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვება მიულოცა და ისიც კი განაცხადა, რომ მზად არის თავის გუნდში მიიწვიოს ავსტრალიური ქალთა ჩოგბურთის ლიდერი.

*„გვინდა, რომ სტოსურმა ჩვენს გუნდში ითამაშოს. საინტერესოა, შევძლებთ თუ არა დევისის თასზე მის განაცხადში შეყვანას?!“*, - იხუმრა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა.

რაფტერმა ისიც თქვა, რომ სტოსური კარგი მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა ავსტრალიელი მოთამაშეებისთვის: *„ის ბრწყინვალე სპორტსმენია და ყოველთვის თავდაუზოგავად მუშაობს“*, - განაცხადა რაფტერმა.

## მხოლოდ ფედერერის იმედად

დევისის თასის მატჩების წინ, შესაძლოა, სერიოზული დანაკლისი განიცადოს შვეიცარიის ნაკრებმა. ფეხი დაიზიანა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **სტანისლას ვავრინკამ.**

მიუხედავად ამისა, შვეიცარიელთა მეორე ნომერს იმედი აქვს, რომ შეძლებს პარასკევს კორტზე გასვლას. თუ ასე არ მოხდა, ავსტრალიასთან გასვლითი შეხვედრის მთელი სიმძიმე მსოფლიოს მესამე ჩოგანს, **როჯერ ფედერერს** დააწვება.

ავსტრალია და შვეიცარია მსოფლიოს ჯგუფში გადასასვლელ მატჩში ხვდებიან ერთმანეთს.

## რაონიჩი სამპრასს შეხვდება

კანადელი **მილოშ რაონიჩი** 17 ნოემბერს კანადაში გამართავს საჩვენებელ შეხვედრას ამერიკული ჩოგბურთის ლეგენდასთან **პიტ სამპრასთან.**

20 წლის რაონიჩი ამჟამად 30-ე ადგილს იკავებს ATP-ის რეიტინგში, სამპრასი კი 40 წლისაა და 2003 წელს დაასრულა კარიერა. ასე რომ, ძალები, წესით და რიგით, არათანაბარი უნდა იყოს.

ოლიმპიზმი

## ბონუსი მეტროს მემანქანეებს

ლონდონის ოლიმპიური თამაშების პერიოდში ბრიტანეთის დედაქალაქის მეტროპოლიტენის მემანქანეებს ხელფასი მოემატებათ. ლაპარაკია დაახლოებით 500 ფუნტ სტერლინგზე. გარდა ამისა, მემანქანეებს ზედმეტი სამუშაოსთვის დამატებით თანხებს გადაუხდიან.

2012 წლის ზაფხულის თამაშების პერიოდში ლონდონის მეტრო დამატებითი მატარებლების გაშვებას აპირებს.

ველოსპორტი

## იტალიამ და ბელგიამ შემადგენლობები დაასახელეს

დაახლოებით ერთ კვირაში დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და მასში მონაწილე გუნდების მწვრთნელები სეზონის ბოლო მნიშვნელოვანი სტარტისთვის შემადგენლობებს ასახელებენ.

იტალიელთა დამრიგებელმა **პაოლო ბეტინიმ** 10-კაციანი სია გამოაქვეყნა, რომელშიც ლიდერის როლი **დანიელე ბენატისა** და **საშა მოდოლოს** ექნებათ.

იტალიელთა რიგებში ვერ მოხვდნენ **ივან ბასო, დანილო დი ლუკა, ალესანდრო პეტაკი, მიკელე სკარპონი** და **დავიდე რებელინი**. ახალი წესების თანხმად, დოპინგის მიღებისთვის დისკვალიფიცირებულ ველომრბოლელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

მსოფლიო რეიტინგის ლიდერი **ფილიპ ჟილბერი** გახდა ბელგიის ნაკრების კაპიტანი. ამ გუნდს ჩემპიონატის წინ სერიოზული დანაკლისი აქვს - მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ტომ ბოონენი** ვერ მიემგზავრება დანიაში, რადგან ერთი კვირის წინ ხელი მოიტეხა და პლანეტის პირველობისთვის გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებს.

მძლეოსნობა

## ჟელეზნის ახალი შეგირდი ჰყავს

ლეგენდარული ჩეხი მძლეოსანი, შუბის მტყორცნელი **იან ჟელეზნი** 28 წლის ფინელი **ტერო პიტკამიაკის** მწვრთნელი გახდა. სკანდინაველმა ცოტა ხნის წინ დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე კვალიფიკაცია ვერ გაიარა. ასეთი რამ პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის კარიერაში არასოდეს მომხდარა.

პიტკამიაკი ჟელეზნის სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატის დროს შეხვდა და მომზადებაში დახმარება სთხოვა. ჩეხი ლეგენდა დათანხმდა თანამშრომლობას, პარალელურად ძველ შეგირდებთანაც გააგრძელებს მუშაობას.

მოტოსპორტი

## არგენტინა ბრუნდება

2013 წლიდან არგენტინის ეტაპი მოტოგრანპრის კალენდარში დაბრუნდება. რბოლა სანტიაგო დელ ესტეროს პროვინციაში ტერმას დე რიო ჰონდოს ავტოდრომზე გაიმართება.

ბოლოს არგენტინამ მოტოგრანპრის ეტაპს 1999 წელს ბუენოს აირესში უმასპინძლა. მაშინ რბოლის გამარჯვებული გახდა **კენი რობერტსი-უმცროსი.**

სერიის ორგანიზატორებმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს არგენტინის პრეზიდენტ **კრისტინა ფერნანდესთან.**

ჰოკეი

## დალასი გაკოტრდა

რთული პერიოდი უდგას ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ „დალას სტარზს“. ცნობილია, რომ მის ამჟამინდელ მფლობელს **ტომ ჰიქსს** დიდი ხანია უნდა კლუბის გაყიდვა, მაგრამ ვერაფრით მოელაპარაკა პოტენციურ მყიდველებს.

გუშინ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰიქსი „სტარზის“ ბანკროტად გამოცხადებას, შემდეგ კი მის აუქციონზე გაყიდვას აპირებს. ვინც მეტ თანხას შესთავაზებს, „სტარზიც“ მას დარჩება. „დალასის“ ხელში ჩასაგდებად მთავარ პრეტენდენტად ბიზნესმენ **ტომ გალიარდის** ასახელებენ.

რაც შეეხება მომავალ სეზონში „სტარზის“ მონაწილეობას, კლუბის გაკოტრება და მისი შემდგომი გაყიდვა რეგულარულ ჩემპიონატში გამოსვლაზე არ იმოქმედებს.

### ჩოგბურთი

# სერენა და ენდი მიქსტს ითამაშებენ


სერენა უილიამსი

ამერიკის ჩოგბურთის ასოციაციამ აშშ-ის ღიას ფინალში მომხდარი ინციდენტის გამო, 2000 ათასი დოლარით დასაჯა **სერენა უილიამსი. სამანტა სტოსურთან** გადამწყვეტი მატჩის მეორე სეტში სერენამ იქამდე დაიყვირა თავისი საყვარელი: Come on, სანამ ბურთი კორტზე დაეშვებოდა. ამის გამო მსაჯმა ქულა სტოსურს მიანიჭა და მასპინძელმა გეიმი წააგო. საპასუხოდ, უმცროსმა უილიამსმა ორჯერ არცთუ კორექტული ფრაზა ესროლა მთავარ მსაჯს.

ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა არ მიანიჭა სერენას საქციელს „სერიოზული დარღვევის“ კატეგორია. შესაბამისად, უილიამსს არ ემუქრება „დიდი სლემის“ მომდევნო ტურნირიდან მოკვეთა, როგორც ეს მსგავს შემთხვევებში ხდება ხოლმე. ასე რომ, ამერიკელი პრაქტიკულად მშრალი გამოვიდა ამ რთული სიტუაციიდან.

ეს არ არის ამერიკის ღია პირველობაზე სერენა უილიამსის მონაწილეობით პირველი სკანდალი. ორი წლის წინ, ბელგიელ **კიმ კლაისტერსთან** ნახევარფინალში აშშ-ის ღიას სამგზის ჩემპიონმა უცენზურო სიტყვები იხმარა ხაზის მსაჯის მისამართით, ბოლოს კი მოკვლით დაემუქრა მას. იმ ეპიზოდმა სერიოზული სკანდალი გამოიწვია და სერენას სოლიდური ჯარიმა გამოუწერეს.

■ ■ ■

ამასობაში, უმცროსმა უილიამსმა „ტვიტერის“ მეშვეობით აცნობა გულშემატკივრებს, რომ ის 2012 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე მიქსტში აპირებს თანამემამულე **ენდი როდიკთან** ერთად თამაშს.

*„მე და ენდიმ გადავწყვიტეთ, ავსტრალიაში ერთად ვითამაშოთ. ძალიან გვიყვარს ეს ქვეყანა. შეიძინეთ ბილეთები, არ ვხუმრობ!“* - დაწერა სერენამ.

როგორც ჩანს, უმცროსი უილიამსი და როდიკი ლონდონის ოლიმპიადისთვის იწყებენ მზადებას. გაისად, ზაფხულის თამაშების პროგრამაში შერეული წყვილების ტურნირია შეტანილი.

# ნოვაკი ყველაზე მდიდარია

## ჯოკოვიჩი და ნადალი დევისის თასზე არ იქნებიან?

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ერთ სეზონში მოპოვებული ჰონორარებით აბსოლუტური რეკორდი დაამყარა. 2011 წელს სერბმა ჩოგბურთელმა კორტზე 10,6 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და გააუმჯობესა ესპანელი **რაფაელ ნადალის** რეკორდი, რომელიც 2010 წლის სეზონის შედეგების მიხედვით 10,17 მილიონ დოლარს უდრიდა. ამ ინფორმაციას ATP-ის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

10 მილიონის გამოსამუშავებლად ჯოკოვიჩმა 12 ტურნირში მონაწილეობა იკმარა, ნადალმა კი თითქმის იგივე თანხა 17 ტურნირში შეაგროვა. კიდევ ერთი ჩოგბურთელი, რომელმაც ერთ სეზონში 10 მილიონზე მეტი თანხა მიიღო, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერია** - 2007 წელს მისი მონაგარი 10,13 მილიონი იყო, ტურნირების რაოდენობა კი - 16.

ჯოკოვიჩს წელს 10 ტურნირი აქვს მოგებული, მათ შორის, „დიდი სლემის“ სამი ჩემპიონატი და ხუთი „მასტერსი“.

ATP-სთან კომენტარში ნოვაკმა განაცხადა, რომ ბედნიერი იქნება, თუ 2012 წელს იმის ნახევარს მიაღწევს, რაც 2011 წელს აჩვენა. სერბმა ისიც აღნიშნა, რომ ძალიან უნდა საფრანგეთის ღია პირველობის მოგება, მაგრამ ამისთვის დრო არის საჭირო.


ნოვაკ ჯოკოვიჩი

■ ■ ■

კვირის ბოლოს ჯოკოვიჩს დევისის თასის ნახევარფინალში მოუწევს თამაში. ტურნირის მოქმედი ჩემპიონი საკუთარ მოედანზე ეთამაშება არგენტინას, რომელიც ოპტიმალური შემადგენლობით ჩადის ბელგრადში.

ნოვაკი გუშინ უნდა ჩასულიყო ბელგრადში, თუმცა ჯერ ცნობილი არ არის, ითამაშებს თუ არა მსოფლიოს პირველი ჩოგანი არგენტინელთა წინააღმდეგ. სერბული პრესის ინფორმაციით, ჯოკოვიჩმა, შესაძლოა, დაღლილობის გამო გამოტოვოს აღნიშნული შეხვედრა. მასპინძლების კაპიტანმა **ბოგდან ობრადოვიჩმა** უკვე განაცხადა, რომ მისი გუნდი ნოვაკის გარეშეც მზად არის არგენტინასთან საბრძოლველად.

*„მას ორი დღე ექნება მოსამზადებლად, რის შემდეგაც მივიღებთ გადაწყვეტილებას მისი შემადგენლობაში დაყენების შესახებ*, - ამბობს ბოგდანოვიჩი. - *ნოვაკი ნამდვილი პროფესიონალია და დიდი ხანია მიჩვეულია მჭიდრო გრაფიკით თამაშს. მაგრამ მის გარეშეც შეგვიძლია ფონს გასვლა. ჩვენ ძლიერი გუნდი გვყავს“.*

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩის გარდა სერბეთის ნაკრებში შედიან **იანკო ტიპსარევიჩი, ვიქტორ ტროიცკი** და **ნენად ზიმონჯიჩი.**

■ ■ ■

ანალოგიური პრობლემები აქვს ესპანეთის ნაკრებსაც - ამ გუნდის კაპიტანმა **ალბერტ კოსტას** ჯერ არ იცის, შეძლებს თუ არა გუნდის ლიდერი რაფაელ ნადალი საფრანგეთის წინააღმდეგ ნახევარფინალში თამაშს. კოსტას თქმით, საბოლოო გადაწყვეტილება მსოფლიოს მეორე ჩოგანის სამედიცინო შემოწმების შემდეგ გახდება ცნობილი.

*„სიმართლე გითხრათ, სულაც არ ვგრძნობ დაღლილობას,* - ამბობს ნადალი სააგენტო AP-სთან კომენტარში. - *მცირე დასვენება მჭირდება, მაგრამ გამოფიტული არ ვარ“.*

*„უახლოეს დღეებში შევაფასებთ რაფას მდგომარეობას,* - განაცხადა კოსტამ. - *თუ ის მწყობრში იქნება, აუცილებლად ითამაშებს“.*

### ფორმულა 1

# სება რეკორდს უმიზნებს


სებასტიან ფეტელი

მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა და მიმდინარე სეზონის ლიდერმა **სებასტიან ფეტელმა** წლევანდელ ჩემპიონატში, შესაძლოა, ერთ სეზონში მოპოვებული ქულების რაოდენობით (პროცენტული მაჩვენებელი) რეკორდი დაამყაროს. ამ მომენტისთვის გერმანელ პილოტს 325 შესაძლებლიდან 284 ქულა აქვს, რაც 87.4 პროცენტს შეადგენს. რეკორდის მფლობელი კი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერია**, რომელმაც 2002 წლის სეზონში 170-დან 144 ქულა დააგროვა, ანუ საერთო რაოდენობის 84.7 პროცენტი.

*„რა თქმა უნდა, სასიამოვნო იქნება ერთ სეზონში ქულების რაოდენობით რეკორდის მოხსნა,* - ამბობს სებასტიან ფეტელი გაზეთ „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. - *მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე დიდი მიღწევა ეკუთვნის აირტონ სენას, რომელმაც ზედიზედ სამი-ოთხი წელი ერთ ჩემპიონატში ყველაზე მეტი პოული მოიპოვა. ვფიქრობ, ის ფორმულა 1-ის ნამდვილი ლეგენდაა“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# მესიჯი მოთამაშეებს: ნახევარი სეზონი არ იქნება



ბილი ჰანტერი

სამშაბათს, ნიუ იორკში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელებისა და მოთამაშეთა პროფკავშირის მორიგი შეხვედრა გაიმართა. მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის წინ ყველას იმედი ჰქონდა, რომ ამჯერად მხარეები მაქსიმალურად მიუახლოვდებოდნენ კომპრომისს. ამ ოპტიმიზმის საფუძველს წინა დღეებში გამართული შეხვედრები იძლეოდა, სადაც მოლაპარაკებებისას გარკვეული პროგრესი შეინიშნებოდა.

მაგრამ, როგორც სააგენტო AP იუწყება, ამჯერად არანაირ პროგრესზე ლაპარაკი არ შეიძლება - მხარეებმა ვერც ერთ პრინციპულ საკითხზე ვერ მიაღწიეს შეთანხმებას. შეგახსენებთ, რომ უკვე სამ კვირაში უნდა გაიხსნას საწვრთნელი ბანაკები და ახლა შანსი იმისა, რომ სეზონი დროულად დაიწყება, ძალიან მცირეა.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მოთამაშეები მზად იყვნენ კლუბების ბოსებისკენ შემხვედრი ნაბიჯი გადაედგათ, მაგრამ მოპირდაპირე მხარისგან იმავეს ვერ ელირსნენ - მფლობელები კვლავინდებურად ითხოვენ ხელფასებისა და კონტრაქტების ხანგრძლივობის მკვეთრად შემცირებას.

პროფკავშირების შეფი **ბილი ჰანტერი** ვერ მალავდა ამ შეხვედრისგან მიღებულ ნეგატიურ განწყობას: *„უკვე ვაცნობეთ მოთამაშეებს, რომ, შესაძლოა, ნახევარი სეზონი დასვენებამ მოუწიოთ. ძალიან იმედგაცრუებული დავრჩით მფლობელების წინადადებებისგან. მოლაპარაკებებში არანაირი პროგრესი არ ყოფილა“.*

# ადელმანმა მგლები ჩაიბარა

„მინესოტა ტიმბერვულვზის“ ახალი მთავარი მწვრთნელი გახდა 64 წლის **რიკ ადელმანი**. მხარეებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას და ადელმანი „მგლების“ ისტორიაში რიგით მეცხრე დამრიგებელი გახდა.

ვეტერან სპეციალისტთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ის წელიწადში 5 მილიონ დოლარს მიიღებს. ადელმანს „მინესოტას“ მთავარ მწვრთნელად კვირის ბოლო წარადგენენ.

რიკი ბოლო ოთხი სეზონი „ჰიუსტონ როკეტსში“ მუშაობდა, მანამდე კი „პორტლენდს“, „გოლდენ სტეიტსა“ და „საკრამენტოს“ წვრთნიდა. მას მოგება-წაგების შესანიშნავი ბალანსი აქვს - 945-616. გარდა ამისა, NBA-ში მწვრთნელის რანგში გატარებული 20 სეზონიდან მან 16-ჯერ გაიყვანა თავისი გუნდები პლეი ოფში.

■ ■ ■

როგორც ჩანს, გაირკვა „მილუოკი ბაქსის“ ავსტრალიელი ცენტრის **ენდრიუ ბოგუტის** ლოკაუტის პერიოდში დასაქმების საკითხი. „ირმების“ ლიდერი ამ დღეებში მოკლევადიან კონტრაქტს გააფორმებს „სიდნეი კინგზთან“. მოსაგვარებელია ერთადერთი საკითხი: ავსტრალიურ კლუბს მოუწევს ბოგუტის 40-მილიონიანი კონტრაქტის 500 ათას დოლარად დაზღვევა.

ბოგუტი ხშირად იმეორებდა, რომ ევროპიდან შეთავაზებები არ აინტერესებს და მხოლოდ ავსტრალიურ კლუბებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

მძლეოსნობა

# ბოლტის რევანში

პლანეტის უსწრაფესმა ადამიანმა, იამაიკელმა სპრინტერმა **უსაინ ბოლტმა** მსოფლიოს ჩემპიონატზე „მოკლე სპრინტში“ განცდილი კრახის შემდეგ შელახული პრესტიჟის აღდგენა ზაგრებში, IAAF-ის „მსოფლიო გამოწვევის“ (World Challenge) სერიის ტურნირზე გადაწყვიტა.

როგორც გახსოვთ, ბოლტი ტეგუში 100 მეტრის ფინალიდან ფალსტარტის გამო მოხსნეს. მართალია, შემდეგ იამაიკელმა 200 მეტრი და ესტაფეტა მოიგო, მაგრამ უსაინი ძალიან შეწუხებული ჩანდა ყველაზე პრესტიჟული დისციპლინის წაგების გამო.

წესით, ბოლტს ნამდვილად გამოუკეთდებოდა ხასიათი ზაგრებში გამარჯვების შემდეგ. მართალია, მან სეზონის საუკეთესო დრო ვერ გააუმჯობესა (9.78 წამი - **ასაფა პაუელი**), სამაგიეროდ, 9.85-ით წლევანდელ პირად რეკორდს ჩამოაკლო სამი მეასედი წამი.

ფინალური გარბენისას კვლავ იჩინა თავი ბოლტის მთავარმა პრობლემამ - ცუდმა სტარტმა. უსაინი დაახლოებით საწყისი 60 მეტრი ჩამორჩებოდა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, სენტკიტსელ **კიმ კოლინზსა** და ტრინიდადელ **რიჩარდ ტომპსონს**. მაგრამ შემდეგ ვიხილეთ იამაიკელის საფირმო აჩქარება და დიდი უპირატესობით გამარჯვება. აღსანიშნავია, ამ გარბენში მხოლოდ უსაინმა შეძლო 9 წამიდან გამოსვლა.



ბოლტის ფინიში ზაგრებში

ქალების მოკლე სპრინტში ტეგუში ნაჩვენები შედეგი გაიმეორა **კარმელიტა ჯეტერმა**. ეს ამერიკელის ზედიზედ მეექვსე გამარჯვებაა 100 მეტრზე, სულ კი ამ სეზონში ათი სტარტიდან ცხრაჯერ მივიდა პირველი ფინიშთან.

ზაგრებში მხოლოდ ბოლტს არ ჰქონდა კლასი დასამტკიცებელი. როგორც გახსოვთ, კუბელ **დაირონ რობლესს** ტეგუში 110 მეტრზე თარჯრბენში მოპოვებული ოქროს მედალი ჩამოართვეს, რადგან ბოლო მეტრებზე ჰკრა ხელი ჩინელ **ლიუ სიანს**.

რობლესს სერიოზული კონკურენტები ჰყავდა - **ჯეისონ რიჩარდსონი** და **დევიდ ოლივერი**, შესაბამისად, გარბენი საკმაოდ სწრაფი გამოვიდა. კუბელმა სეზონი საუკეთესო დროით მოიგო - 13.00, რიჩარდსონმა კი 13.04 წამით პირადი რეკორდი დაამყარა.

ანალოგიურ დისციპლინაში ქალებს შორის დაუმარცხებელია **სალი პირსონი** - მას სეზონში არც ერთი დამარცხება არ აქვს და ზედიზედ გამარჯვებათა რიცხვი ათს აღწევს. პირსონმა ტეგუში ფანტასტიკური შედეგი აჩვენა - 12.28 წამი და იგივეს გაკეთება შეეძლო ზაგრებში, მაგრამ მეოთხე ბარიერზე წაიფორხილა და ამჯერად 12.68 წამით დაკმაყოფილდა.

სეზონის ფინიში არ გამოსდის ხორვატ სიმაღლეზე მხტომელ **ბლანკა ვლასიჩს**. მსოფლიოს ჩემპიონატის წაგების შემდეგ ვლასიჩს რუსი **ანა ჩიჩეროვასთვის** რევანშის აღება შეეძლო, მაგრამ კვლავ დამარცხდა. ორივემ ასპარეზობა 1.85 მეტრიდან დაიწყო და 2.04 მეტრზე შეჩერდა. ჩიჩეროვას 2 მეტრის დასაძლევად ერთი ცდა დასჭირდა, ვლასიჩს - ორი და რუსმა ისევ დაამარცხა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი.

### კაცები

**100 მ.** 1. უსაინ ბოლტი (იამ) - 9.85; 2. კიმ კოლინზი (სტ. კიტს) - 10.01... 6. ჯასტინ გეტლინი (აშშ) - 10.17... **400 მ.** 1. ლაშონ მერიტი (აშშ) - 45.22... **1500 მ.** 1. ნიქსონ კიპლიმო (კენ) - 3:30.94... **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. ჰილარი კიპსანგი (კენ) - 8:12.81... **110 მ/თარჯრბენი.** 1. დაირონ რობლესი (კუბ) - 13.00; 2. ჯეისონ რიჩარდსონი (აშშ) - 13.04; 3. დევიდ ოლივერი (აშშ) - 13.20... **სიგრძე.** 1. ალექსანდრ მენკოვი (რუს) - 8.18; **ბირთვი.** 1. რიზ ჰოფა (აშშ) - 21.73; 2. კრისტიან კანტველი (აშშ) - 21.55... **ბადრო.** 1. ჟოლტან კოვაგო (უნგ) - 64.91... **ურო.** 1. დილშოდ ნაზაროვი (ტაჯ) - 80.30...

### ქალები

**100 მ.** 1. კარმელიტა ჯეტერი (აშშ) - 11.00... **200 მ.** 1. შილონი კალვერტი (იამ) - 22.55; 2. შერონ სიმპსონი (იამ) - 22.95; 3. დები ფერგიუსონ-მაკენზი (ბაჰ) - 22.97... **400 მ.** 1. ნოვლენ უილიამს-მილსი (აშშ) - 50.31; 2. ანასტასია კაპაჩინსკაია (რუს) - 50.40; 3. შერიკა უილიამსი (იამ) - 50.45... **800 მ.** 1. მეგი ვესეი (აშშ) - 1:58.64... **100 მ/თარჯრბენი.** 1. სალი პირსონი (ავსტრა) - 12.68... **სიმაღლე.** 1. ანა ჩიჩეროვა (რუს) - 2.00; 2. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 2.00... **სიგრძე.** 1. ოლგა ზაიცევა (რუს) - 6.73...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### იტალია

#### სერია C1/A

| | |
|---|---|
| ლუმეცანე-ტარანტო | 0:3 |
| კომო-პრო ვერჩელი | 1:0 |

### გერმანია

#### III ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ხემნიცი-ბაბელსბერგი | 2:1 |
| ობერჰაუზენი-კარლ ცაისი | 1:2 |
| ოფენბახი-შტუტგარტი A | 2:0 |
| უნტერჰახინგი-ვერდერი A | 0:2 |

### დანია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ვეილე-ბლოხუსი | 5:0 |

### დანიის თასი

| | |
|---|---|
| ბრაბრანდი-სონდერიისკი | 0:1 |
| დალეფიელდე-აკადემისკი | 0:3 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 0:1 |

### შვედეთის თასი

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-კალმარი | 2:2 დ.დ. 3:4 |

### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| პანაიტორიკოსი-ასტერასი | 1:0 |

### სლოვენიის თასი

| | |
|---|---|
| გარმინი-ნაფტა | 1:0 |
| ოდრანცი-ინტრებლოკი | 0:7 |
| სენტური-რუდარი | 0:10 |
| ზავრცი-დომჟალე | 5:0 |
| ტომლინი-გორიცა | 1:2 |
| კოპერი-ოლიმპია | 2:0 |

### ლატვია

| | |
|---|---|
| ფკ იურმალა-იურმალა | 2:0 |
| იეგლავა-ოლიმპსი | 2:1 |
| სკონტო-ვენტსპილსი | 0:1 |

### ლიტვა

| | |
|---|---|
| კაუნასი-დაინავა | 0:2 |
| ტაურასი-ბანგა | 1:0 |
| ჟალგირისი-კრუოია | 2:0 |
| შიაულიაი-ატლანტასი | 3:1 |

### აზერბაიჯანი

| | |
|---|---|
| სუმგაიტი-ინტერი | 0:2 |

### [illegible]

| | |
|---|---|
| ვეგალტა-ჯუბილო | 0:0 |
| შიმიცუ-ნიიგატა | 2:1 |
| იოკოჰამა-კავასაკი | 4:0 |
| ურავა-ომიია | 2:0 |

### ჩემპიონთა ლიგა

#### აზია

| | |
|---|---|
| სუვონი-ზობაჰანი | 1:1 |
| სერეზო-ჟეონბუკი | 4:3 |
| სეპაჰანი-ალ სადი | 1:0 |
| ალ იტიჰადი-სეული | 3:1 |

### კოლუმბია

| | |
|---|---|
| იტაგუი-დეპორტივო კალი | 2:1 |

## კალათბურთი

### ევრობასკეტი

#### 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ესპანეთი-სლოვენია | 86:64 |
| მაკედონია-ლიტვა | 67:65 |

## ფრენბურთი

### ევროპის ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-ესტონეთი | 3:0 |
| საფრანგეთი-თურქეთი | 3:1 |
| ჩეხეთი-პოლონეთი | 1:3 |
| ფინეთი-სლოვენია | 3:2 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| ავტომობილისტი-მეტალურგი (ნ) | 2:3 |
| ბარისი-ტრაქტორი | 4:3 |
| ცსკა-ავანგარდი | 1:2 |
| სპარტაკი-ტორპედო | 1:4 |
| დინამო (მნ)-იუგრა | 3:1 |

## ჩოგბურთი

### WTA. ტაშკენტი

| | |
|---|---|
| როდინა-ბირნეროვა | 6:4, 4:6, 1:6 |
| უ. რადვანსკა-ამანმურადოვა | 6:7, 6:4, 6:3 |
| კრუნიჩი-კირსტეა | 3:6, 4:6 |
| ლარიერი-რიბარიკოვა | 6:4, 6:4 |
| სავინიხი-სევასტოვა | 7:6, 3:6, 6:3 |
| კუდრიავცევა-დიატჩენკო | 6:1, 2:6, 6:3 |
| დანილიდუ-დოი | 7:6, 6:4 |
| პერვაკი-შარიპოვა | 6:3, 6:3 |

### WTA. კვებეკი

| | |
|---|---|
| კრაიჩეკი-კუანი | 7:5, 4:6, 6:1 |
| პაჩეკი-ლეპჩენკო | 6:7, 6:3, 7:6 |

TV პროგრამა

## 15 სექტემბერი. ხუთშაბათი

### GMG-ფეხბურთი

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. V ტური. აუგსბურგი-ლევერკუზენი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. II ტური. რომა-კალიარი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. V ტური. პსჟ-ბრესტი.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. IV ტური. სანდერლენდი-ჩელსი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. III ტური. ვალენსია-ატლეტიკო.
**00:00** სუპერმატჩი.

### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-მაიამი.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II წრე. რადეკ შტეპანეკი-მილოშ რაონიჩი. მემფისი. აშშ.
**16:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II წრე. რობერტ კენდრიკი-მილოშ რაონიჩი. მემფისი. აშშ.
**18:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შალკე.
**20:00** კალათბურთი . ევროლიგა. ოთხთა ფინალი. მე-3 ადგილისთვის. რეალი-მონტეპასკი. ბარსელონა. ესპანეთი.
**21:40** მძლეოსნობა. IAAF-ის სერია - World Challenge. ბერლინი. გერმანია.
**23:55** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-მაიამი.

### I არხი

**11:25** რაგბი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-აშშ. ახალი ზელანდია (LIVE).
**18:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. საფრანგეთი-საბერძნეთი. ლიტვა (LIVE).
**21:45** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. რუსეთი-სერბეთი. ლიტვა (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**20:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ციურიხი-სპორტინგი (LIVE).
**22:55** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფულჰემი-ტვენტე (LIVE).

### НТВ-პლუსი (სპორტი)

**19:55** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1/4 ფინალი. ჩეხეთი (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. შტურმი-ლოკომოტივი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ონლაინი)

**17:55** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1/4 ფინალი. ჩეხეთი (LIVE).
**20:25** ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 55, 59, 63 კგ. ფინალები. თურქეთი (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბირმინგემი-ბრაგა (LIVE).

### НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

**20:45** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დინამო (კ)-სტოკი (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. აუსტრია-მეტალისტი (LIVE).

### НТВ-პლუსი (კალათბურთი)

**18:55** ევროპის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. საფრანგეთი-საბერძნეთი. ლიტვა (LIVE).
**21:45** ევროპის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. რუსეთი-სერბეთი. ლიტვა (LIVE).

### SPORT+

**16:40** ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1/4 ფინალი. ჩეხეთი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. შემროკი-რუბინი (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. უდინეზე-რენი (LIVE).

### EUROSPORT

**16:00** ცხენოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**23:00** სნუკერი. მასტერსი. I დღე. სან პაულუ. ბრაზილია (LIVE).

### EUROSPORT-2

**21:00** სნუკერი. მასტერსი. I დღე. სან პაულუ. ბრაზილია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ევრობასკეტი 2011

# მაკედონია ნახევარფინალში

## ამ გუნდს ჩვენ კინაღამ მოვუგეთ

პირველ ნახევარფინალურ მატჩში სლოვენიის ნაკრებმა ისეთი ტემპითა და შემართებით დაიწყო ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაში, რომ ბევრმა გაიფიქრა - როგორც იქნა, ევრობასკეტის ფავორიტი სერიოზულ და ღირსეულ მოწინააღმდეგეს გადაეყარა და ამჯერად მაინც ვნახავთ თანაბარ თამაშსო.

პირველ მეოთხედში **ბოჟიდარ მალკოვიჩის** შეგირდები აშკარად კარნახობდნენ თამაშს ევროპის მოქმედ ჩემპიონს. რაც მთავარია, ისინი არ იმჩნევდნენ მოედანზე ძმები **გასოლების** ყოფნას და სამნამიან ზონაში დომინირებდნენ. ასე რომ, ფავორიტს კარგა ხანი მდევრის როლში მოუწია ყოფნამ. მეოთხედის ბოლოს სლოვენიამ სამქულიანი ჩააგდო და საწყისი ათი წუთი შვიდი ქულით მოიგო - 23:16.

მეორე მეოთხედში ესპანეთის ნაკრებმა მთავარი ნაკლი გამოასწორა - დაცვას მიაქცია ყურადღება და მერე როგორ! დაახლოებით სამი წუთი სლოვენია ქულის აღებას ვერ ახერხებდა, ხოლო მეორე მეოთხედის საერთო ანგარიში იყო 19:8 **სერჯო სკარიოლოს** შეგირდების სასარგებლოდ. გარდა დაცვაში აქტიურობისა, **ფერნანდესი** და **ნავარო** ხშირად აშვებინებდნენ შეცდომას მეტოქეს. არსად იყო ის ტყორცნები, რომელსაც სლოვენიელები პირველ მეოთხედში აგდებდნენ. საწყისი მონაკვეთის შვიდი ქულით წაგების შემდეგ ესპანეთმა თამაში შემოატრიალა და თავად გავიდა წინ ოთხი ქულით - 35:31.

მეორე ტაიმში ესპანეთის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. მესამე მეოთხედში მალკოვიჩის შეგირდების სრული განადგურება ვიხილეთ. ხუან კარლოს ნავარომ და პაუ გასოლმა ყველა ბურთი ჩააგდეს, ყველაფერი მოხსნეს და ჩაჭრეს. ამ 10-წუთეულში განვითარებულ მოვლენებზე ანგარიშიც კარგად მეტყველებს - 36:14. პირენეელთა უპირატესობა, რომელმაც მეოთხე მეოთხედი ფორმალობად აქცია, 25 ქულას უდრიდა.

მეოთხე მეოთხედში კი ესპანეთის ნაკრები გასართობად იყო გასული მოედანზე, მაგრამ ეს მომენტიც ვერ გამოიყენა სლოვენიამ. ეს გუნდი კვლავ ცუდად ისროდა. ტყორცნების რეალიზაციის მაღალი პროცენტი სლოვენიას მხოლოდ პირველ მეოთხედში ჰქონდა, შემდეგ კი ესპანეთმა უბრალოდ გაანადგურა მეტოქე.


ევრობასკეტის გმირები

სლოვენიელებმა მეოთხე მეოთხედი მხოლოდ იმის გამო მოიგეს (19:15), რომ გასოლებს მისცეს დასვენების საშუალება. საბოლოოდ, შეხვედრის ანგარიშია - 86:64 და ესპანეთი კვლავაც ევრობასკეტის მთავარი ფავორიტია.

აღსანიშნავია რამდენიმე საინტერესო სტატისტიკური მომენტი:

პირველ ტაიმში ესპანეთმა 35 ქულა დააგროვა, მესამე მეოთხედის ათ წუთში კი მისი მონაგარი 36 ქულა იყო. ამ 36 ქულიდან 17 ხუან-კარლოს ნავაროს ეკუთვნოდა. საბოლოოდ, ეს მცველი 26 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო. ბრწყინვალე ორმაგი დუბლი ჰქონდა პაუ გასოლს - 19 ქულა და 16 მოხსნა.

პირველ ათ წუთში 23 ქულის ჩაგდების შემდეგ, მომდევნო 23 ქულის დასაგროვებლად სლოვენიელებს 21 წუთი დასჭირდათ.

■ ■ ■

გუშინდელ მეორე ნახევარფინალში ირკვეოდა ესპანეთის მეტოქე. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ მასპინძელი ლიტვა დაასრულებდა მაკედონიურ ზღაპარს და ამ გუნდს შინ გაამგზავრებდა, მაგრამ მოხდა პირიქით - მაკედონიელებმა ევრობასკეტის ყველაზე ხმაურიანი სენსაცია შემოგვთავაზეს და მინიმუმ ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში თამაში გაინაღდეს.

პირველივე წუთებიდან ლიტველებმა ინიციატივა მოიპოვეს. მათ იოლად გამოსდიოდათ მეტოქის სამნამიანში შესვლა, რისი წყალობითაც სწორედ ამ ზონიდან მოიპოვეს 4-4 ქულა **სონგაილამ** და **კალნეიტისმა**, რასაც **იასაიტისის** სამქულიანი დაემატა. მაგრამ მაკედონიაც კარგი პროცენტით ესროდა და შორს არ გაუშვა მასპინძელი. მართალია, თავიდან **ბო მაკალებს** თამაში არ წაუვიდა, სამაგიეროდ სხვები იოლად უმკლავდებოდნენ ლიტვის ზონურ დაცვას და პირველ მეოთხედში სამიდან ორი სამქულიანი ჩაუგდეს. თანაც **დოკუზოვსკის** შეგირდები მეტოქის ფარზეც ყოჩაღობდნენ.

ლიტვამ ოდნავ კომფორტული უპირატესობით წინ გასვლა მეოთხედის შუაში შეძლო - 17:10, მაგრამ მაკედონიის ტაიმ-აუტის შემდეგ სიტუაცია გათანაბრდა. მაკალებმა ნელ-ნელა იპოვა თავისი თამაში, მისმა გუნდმა კი დაცვაში მოქმედება გამოასწორა და საბოლოოდ, ლიტვამ თითქმის სამი წუთის განმავლობაში ქულა ვერ აიღო. წერტილი კი საწყის მეოთხედს **ილიევსკისა** და მაკალების დუეტმა დაუსვა. პირველმა ჩაჭრა გააკეთა და მეორემ ჯარიმით ჩააგდო - 18:20.

მეორე მეოთხედის პირველი ხუთი წუთი ორივე გუნდი კარგად იცავდა თავს და ამ მონაკვეთის ანგარიში - 3:3 ამის ნათელი დადასტურებაა. მასპინძლებმა თამაში კემზურას ტაიმ-აუტის შემდეგ გამოასწორეს. ძალიან კარგი სამსვლიანი კომბინაცია **იავტოკასის** ჩატენვით დასრულდა, შემდეგ კი **კაუკენასმა** და **პოჩიუსმა** იყოჩაღეს - 29:21. ამჯერად უკვე დოკუზოვსკის მოუწია ტაიმ-აუტის აღებამ და ამ სვლამაც გაამართლა - რვაქულიანი ჩამორჩენა ოთხ ქულამდე დავიდა - 30:34.

ბალკანელებმა ლიტვის დაწევა მესამე მეოთხედში მოახერხეს. მისი დასრულებიდან შვიდნახევარი წუთით ადრე **ვოიდან სტოიანოვსკიმ** სამქულიანი ჩააგდო - 38:38. ლიტვამ ძალიან მალე მიიღო ხუთი გუნდური ჯარიმა, მაგრამ საჯარიმოს ხაზიდან მაკედონიელები ხშირად აცილებდნენ. და მაინც, ცოტა ხნით მათ შეძლეს წინ გასვლა - მაკალების ერთი ზუსტი საჯარიმოთი ანგარიში გახდა - 42:41.

მეოთხედის ბოლომდე ტაბლოზე კიდევ ორჯერ დაფიქსირდა საყაიმო ანგარიში და ლიტვამ ბოლო ორ წუთში მოახერხა მცირე გაქცევა. **ვალანჩუნასისა** და იასაიტის დამსახურებით მეოთხე მეოთხედი ასეთი ანგარიშით დაიწყო - 52:49.

ბოლო მეოთხედის დასაწყისში სონგაილას საშუალო მანძილიდან ტყორცნას ვოიდან სტოიანოვსკიმ მეხუთე (ხუთიდან) ზუსტი სამქულიანით უპასუხა. თუმცა ლიტველთა მორიგი შეცდომები ბალკანელებმა კარგად ვერ გამოიყენეს. დოკუზოვსკის შეგირდებს შეტევაში თამაში აერიათ და მხოლოდ თავისი მეხუთე იერიშის შემდეგ შე[illegible]ო მაკედონიამ ახლოს მისვლა: ისევ სამქულიანი, ა[illegible]ჯერად **ანტიჩისგან** და 55:56.

ლიტველები ისევ გაიქცნენ, მაგრამ ანტიჩმა და მაკალებმა კვლავ დაიბრუნეს მატჩის გადარჩენის შანსი და 63:65-ზე დაიწყო შეხვედრის ბოლო წუთი. ანგარიში ნახევარი წუთი არ შეცვლილა, შემდეგ 15 წამში კი ლიტველებმა ორჯერ მოასწრეს ბურთის დაკარგვა, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც: სტოიანოვსკის ჩაჭრის შემდეგ ილიევსკიმ გადამწყვეტი სამქულიანი ჩააგდო - 66:65. ლიტვას 11 წამი და ორი ტაიმ-აუტი ჰქონდა თამაშის გადასარჩენად, მაგრამ იასაიტისმა კუთხიდან ააცილა, მოხსნა კი ანტიჩმა მოიგო. ამას მოჰყვა ლიტველთა ჯარიმა, თუმცა საფინალო სირენამდე 0.5 წამი იყო დარჩენილი და ამიტომაც მაკედონიის ორ ჯარიმას ყოველგვარი აზრი დაკარგული ჰქონდა.

67:65 - მაკედონიამ მასპინძლების ძლევით ევრობასკეტის ყველაზე ხმამაღალი სენსაცია დააფიქსირა. ახლა, ლიტვაში რამდენიმედღიანი გლოვა იქნება.

### 1/4 ფინალი

**ესპანეთი-სლოვენია 85:64**

**16:23, 19:8, 36:14, 14:19**

ე: ნავარო (26), პ. გასოლი (19+16 მოხსნა+3 დაფარება), მ. გასოლი (7+5 მოხსნა), ფერნანდესი (8+5 მოხსნა), კალდერონი (9+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), იბაკა (9), ლიული (3), რეიესი (3), სან ემეტერიო (2).

ს: გ. დრაგიჩი (14+5 მოხსნა), ბეგიჩი (10+5 მოხსნა), ლორბეკი (7), ოზბოლტი (6), სმოდიში (6), იაგოდნიკი (6), სლოკარი (4), მურიჩი (4+3 ჩაჭრა), ლაკოვიჩი (3), ზ. დრაგიჩი (2), რუპნიკი (2).

**მაკედონია-ლიტვა 67:65**

**18:20, 12:14, 19:16, 18:13**

მ: მაკალები (23), ვ. სტოიანოვსკი (15), ილიევსკი (12), ანტიჩი (8+8 მოხსნა), სამარძინსკი (7+10 მოხსნა), ჩეკოვსკი (2+5 მოხსნა).

ლ: იავტოკასი (13+6 მოხსნა), სონგაილა (12), კაუკენასი (6), კალნიეტისი (9+9 მოხსნა+4 პასი), იასაიტისი (9+6 მოხსნა), იასიკიავიჩუსი (7+5 პასი), იანკუნასი (4), ვალანჩუნასი (3+6 მოხსნა), პოჩიუსი (2).




# სერბებს ცენტრი აკლდებათ?

სერბეთისა და რუსეთის დღევანდელ მეოთხედფინალში **დუშან ივკოვიჩის** გუნდს, შესაძლოა, შესუსტებული შემადგენლობით მოუწიოს თამაშმა. ეროვნული გუნდის საუკეთესო ცენტრმა **ნენად კრსტიჩმა** თურქეთთან მატჩის დროს დაიზიანა ფეხი, მცველ **ალექსანდრ რაშიჩს** კი ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები აქვს.

ამ კალათბურთელების მოედანზე გასვლის საკითხი უშუალოდ მატჩის წინ გაირკვევა. კრსტიჩს რუსებთან თამაშის კარგი შანსი აქვს, რაშიჩისთვის კი, სავარაუდოდ, ევრობასკეტი უკვე დასრულებულია.

■ ■ ■

ლიტვური კალათბურთის ლეგენდა **შარუნას იასიკიავიჩუსი** ახლოა თელ-ავივის „მაკაბისთან" კონტრაქტის გაფორმებასთან. ისრაელის ჩემპიონის რიგებში ვეტერანმა გამთამაშებელმა უნდა შეცვალოს ამერიკელი **ჯერემი პარგო**, რომელმაც მოულოდნელად NBA-ში დაბრუნება გადაწყვიტა.

როგორც ისრაელის პრესა წერს, იასიკიავიჩუსის ხელფასი სეზონში 250 ათასი დოლარი იქნება. შევახსენებთ, რომ შარასი **პინი გერშონის** ლეგენდარული „მაკაბის" წევრი იყო და ამ კლუბთან ერთად ევროლიგა მოიგო.


შარუნას იასიკიავიჩუსი

ევრობასკეტზე იასიკიავიჩუსი საშუალოდ 10.6 ქულასა და 4.8 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

ასევე იტყობინებიან, რომ „მაკაბის" სურს ამერიკელი ფორვარდის **რიჩარდ ჰენდრიქსის** შენარჩუნება, რომელსაც, თავის მხრივ, აქტიურად ეპატიჟება ესპანური „კახა ლაბორალი".

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**